



საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო



შემოსავლების
სამსახური



2017
წლის

ანგარიში

ურთიერთობა
მარტივია

ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახურის

2017 წლის
ანგარიში

საბაჟო დეპარტამენტი	9
საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი	27
მომსახურების დეპარტამენტი	47
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი	35
აუდიტის დეპარტამენტი	61
საგადასახადო ადმინისტრირების დეპარტამენტი	71
საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი	81
დავების დეპარტამენტი	89
იურიდიული დეპარტამენტი	103
ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი	111
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტი	115
ფინანსური დეპარტამენტი	127
პროფესიული ეთიკისა და მონიტორინგის დეპარტამენტი	133



ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სახელით, მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ 2017 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიში. ეს გახლავთ, სამსახურის მიერ, საჯაროდ გამოქვეყნებული, რიგით მე-5, წლიური შედეგების ამსახველი დოკუმენტი, რაც კიდევ ერთხელ, ნათლად ადასტურებს ჩვენს ურყევ პოზიციასა და სურვილს ვიყოთ ღია, გამჭვირვალე, განვითარებაზე ორიენტირებული საჯარო სამსახური, რომელიც ამავე დროს, ბიზნეს სექტორთან საპარტნიორო ურთიერთობის გზით, ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისთვის ბრუნავს. უწყების საქმიანობის წლიური ანგარიშის გასაჯაროება, არ გახლავთ შემოსავლების სამსახურის საკანონმდებლო ვალდებულება, ეს არის ჩვენი სურვილი, საზოგადოებას მივანდოთ სრული ინფორმაცია ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო სტრუქტურის წინაშე მდგარი ამოცანების შესასრულებლად განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

2017 წლის შედეგები მკაფიოდ ასახავს ჩვენს მიერ განსაზღვრული მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების მხრივ მიღწეულ სერიოზულ პროგრესს, მათ შორის: გადასახადების გადახდის ვალდებულებათა ნებაყოფლობით შესრულების; საგადასახადო და საბაჟო კანონდარღვევათა როგორც პრევენციის, ისე გამოვლენისა და აღმოფხვრის; ქვეყნის ეკონომიკური საზღვრების დაცვის; ჩვენს მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა გაუმჯობესების და ხელმისაწვდომობის გამარტივების კუთხით.

დიდი ძალისხმევა იქნა მიმართული ნებაყოფლობითი გადახდევინების ხელშეწყობის მიმართულებით. შევეცადეთ კიდევ უფრო მარტივი და კომფორტული ყოფილიყო გადასახადის გადამხდელსა და შემოსავლების სამსახურს შორის ურთიერთობა. ამ მხრივ, ჩვენ მუდმივად ვხვდებით შეთავაზებული ელექტრონული მომსახურების დონესა და ხარისხს. ეს ამოცანა უცვლელი რჩება მიმდინარე წელსაც. ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მომსახურება ერთი მხრივ კიდევ უფრო ამარტივებს მომსახურების მიღების ხელმისაწვდომობას, ამცირებს ბიზნესის მიერ სამსახურთან ურთიერთობისათვის საჭირო დროსა და დანახარჯებს, ურთიერთობას უფრო მოქნილს, გადამხდელზე მორგებულს ხდის, მეორე მხრივ ზრდის პირდაპირი და ირიბი მონიტორინგის შესაძლებლობებს და ამცირებს საგადასახადო რისკებს, რომლებიც გადასახადების დამალვას და გადახდებისგან თავის არიდების ფაქტებს უკავშირდება.

მიუხედავად გაწეული საქმიანობისა და გადამხდელების საგადასახადო კულტურის განუხრელი ზრდისა, ბოლო წლების განმავლობაში კვლავ გვხვდება კონტრაბანდის, სხვადასხვა თაღლითური სქემების განხორციელების, გადასახადების დამალვის, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის

მცდელობის ფაქტები. ასეთ კანონდარდვებთან უკომპრომისო ბრძოლა, იდენტიფიცირებული, თუ პოტენციური ფისკალური რისკების გამოვლენა და მინიმიზაცია, ეკონომიკური საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა - ეს ჩვენი მთავარი გამოწვევა და ყოველდღიური საქმიანობაა.

2017 წლის განმავლობაში განხორციელდა სამსახურის სტრუქტურული რეფორმა. შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეულები. შესაბამისად, ჩვენ კიდევ უფრო გავზრდით სამსახურის ეფექტიანობას დასახული მიზნების მიღწევისა და ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

2017 წელს, საქართველო რეგიონში გამორჩეულად წარმატებულ ქვეყნად იქნა მიჩნეული როგორც სხვადასხვა ეკონომიკური, ასევე არაეკონომიკური საერთაშორისო შეფასებების მიხედვით. მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენი სამსახურის თითოეულ თანამშრომელს გაწეული საქმიანობისთვის და ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში შეტანილი წვლილისთვის. პატიოსნება, მაღალი პროფესიონალიზმი, გუნდურობა და საქმის ერთგულება – ეს ის თვისებებია, რომელიც ჩვენს თანამშრომლებს გამოარჩევს. ისინი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სადარაჯოზე ყოფნის საამაყო და საპასუხისმგებლო მისიას პირნათლად ასრულებენ. ეს ის საფუძველია, რომელიც ჩვენი სამსახურის წარმატებას განაპირობებს.

რაც შეეხება მიმდინარე წელს, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ 2018 წელი დაიკავებს გამორჩეულ ადგილს ჩვენი სამსახურის საქმიანობის ისტორიაში. ეს იქნება ერთგვარი გარდატეხის წელი შემოსავლების სამსახურის 2017-2020 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი რეფორმებისა და პროექტების განსახორციელებლად, რის შედეგადაც, შემოსავლების სამსახური ჩამოყალიბდება თანამედროვე, ძლიერ ფისკალურ ინსტიტუციად. გადასახადების გადამხდელებთან ურთიერთობა და მათ მიერ ბიუჯეტთან ანგარიშვალდებულება კიდევ უფრო მარტივი, პროგნოზირებადი და სამართლიანი გახდება. ამასთან, ეტაპობრივად განხორციელდება ჩვენი პროცედურების, ნორმატიული ბაზისა და პრაქტიკის ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული, ევროპულ კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან ჰარმონიზაცია, რაც კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე. ჩვენ გვყავს თანამშრომელთა სათანადო გუნდი და გაგვაჩნია რწმენა, რომ შევძლებთ ჩვენს წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტასა და გამოწვევების დაძლევას.



პატივისცემით,
გიორგი თაბუაშვილი
ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე
შემოსავლების სამსახურის უფროსი





პირველი რიგი
(მარცხნიდან მარჯვნივ)

ვახტანგ ლაშქარაძე
შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე,
საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ხატია მოისწრაფიშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობისა
და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი

გიორგი თაბუაშვილი
ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე
შემოსავლების სამსახურის უფროსი

სალომე ჟორჟოლიანი
ადამიანური რესურსების მართვისა და
განვითარების დეპარტამენტის უფროსი

მამუკა ჯანგულაშვილი
საგადასახადო მონიტორინგის
დეპარტამენტის უფროსი

მეორე რიგი

რომან ბულაძე
დავების დეპარტამენტის უფროსი

ლევან წითელაშვილი
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ნოდარ კაკრიაშვილი
საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრის უფროსი

მამუკა ტარაშვილი
შემოსავლების სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ირაკლი შარტავა
შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გომარელი
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

სამსონ ურიდია
საერთაშორისო ურთიერთობათა
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ბუბუხიშვილი
მომსახურების დეპარტამენტის უფროსი

გიორგი პატარიძე
საგადასახადო ადმინისტრირების
დეპარტამენტის უფროსი



საბაჟო გამშვები პუნქტი სარფი



#გამართივებულისაბაჟოსერვისები



მოგესალმებით მეგობრებო,

ჩემთვის, დიდი პატივია, წარმოგიდგინოთ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ, განხორციელებული საქმიანობის წლიური ანგარიში. 2017 წელს, საბაჟო დეპარტამენტი, უდიდესი პასუხისმგებლობით აგრძელებდა ქვეყნის წინაშე დაკისრებული მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულებას, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ეკონომიკური და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვასა და უზრუნველყოფას. ამავდროულად, დეპარტამენტის პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება კანონიერი ვაჭრობის ხელშეწყობა, გადამხდელებისთვის და საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე პირებისთვის საბაჟო პროცედურების გამარტივება, ახალი ელექტრონული სერვისების დანერგვა, საზღვრის კვეთასთან და საქონლის გაფორმებასთან დაკავშირებული უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. საბაჟო დეპარტამენტი აქტიურად აგრძელებს თანამშრომლობას, როგორც ქვეყნის შიგნით მოქმედ სამთავრობო უწყებებთან, ასევე სხვა ქვეყნის შესაბამის სამსახურებთან. ამ წარმატებული თანამშრომლობის შედეგია, მეზობელ ქვეყნებთან ელექტრონულ რეჟიმში ინფორმაციის წინასწარი გაცვლის შესაძლებლობა, რაც საშუალებას იძლევა ამაღლდეს საბაჟო კონტროლის ეფექტურობა და გამარტივდეს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საზღვარზე გადაადგილება. დარწმუნებული ვარ, საბაჟო დეპარტამენტი წარმატებით გააგრძელებს კანონიერი ვაჭრობის ხელშეწყობას, ახალი ელექტრონული სერვისებისა და მომსახურებების დანერგვას და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის განვითარებაში.

პატივისცემით,

ვახტანგ ლაშქარაძე,

შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე

საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი



საზღვრის ერთობლივი მართვა და ინფორმაციის გაცვლა

2017 წელს აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა საბაჟო გამშვები პუნქტების ერთობლივი მართვისა და ინფორმაციის გაცვლის მიმართულებით:

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის

საბაჟო გამშვებ პუნქტებზე „ვალე“ და „კარნახი“ ამოქმედდა ინფორმაციის მიმდინარე რეჟიმში ელექტრონული გაცვლა. შესაბამისად, თურქეთის რესპუბლიკასთან არსებულ ყველა საბაჟო გამშვებ პუნქტზე აღნიშნული რეჟიმი სრულად ფუნქციონირებს;

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის

საბაჟო გამშვებ პუნქტზე „წითელი ხიდი“ ინფორმაციის მიმდინარე რეჟიმში გაცვლა სრულად ფუნქციონირებს;

ძალაში შევიდა შეთანხმება – „საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის შესახებ, მონაცემების წინასწარი გაცვლის ორგანიზების თაობაზე“.



ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრი (JMOC) – ზღვაზე სამართლებრივი რეჟიმის კონტროლის, საფრთხეების პრევენციის, გამოვლენის და მათზე რეაგირების მიზნით, 24 საათის განმავლობაში ფუნქციონირებს.



გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროსა (UNODC) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) ერთობლივი პროექტის – კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში, 2017 წლის 20 ივნისიდან, ამოქმედდა საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილებული/გადასაადგილებელი ტვირთების უსაფრთხოების კონტროლის ერთობლივი დანაყოფი, რომელშიც შედიან შემოსავლების სამსახურის, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლები.



ევროკავშირთან ინტეგრაცია

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში მუშაობა გრძელდება:

- ➔ საერთო ტრანზიტის კონვენციასთან მიერთებაზე;
- ➔ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ინსტიტუტის იმპლემენტაციაზე. ამ მიზნით, ეროვნულ კანონმდებლობაში შეტანილ იქნა რიგი ცვლილებები;
- ✓ ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის ერთობლივი მართვის საპილოტე პროექტის ფარგლებში, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ საბაჟო გამშვებ პუნქტ „წითელი ხიდი“ დაწყებულია ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა;

- ✓ 2017 წლის 1 დეკემბრიდან, დაწყებულია არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლი;
- ✓ შემუშავდა და დამტკიცდა პროცედურული სახელმძღვანელოები ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული და არაცხოველური წარმოშობის სურსათის სასაზღვრო კონტროლისათვის;
- ➔ ამოქმედდა „ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების პროგრამის“ (CIB) მესამე ფაზა, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია საბაჟო გამშვები პუნქტების „წითელი ხიდის“, „სადახლო-საავტომობილოს“ უახლესი ინფრასტრუქტურით აღჭურვა;
- ➔ მიმდინარე წლის 1 სექტემბერს ძალაში შევიდა „ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2016 წლის 27 ივნისის შეთანხმება, რომლითაც განისაზღვრა შეღავათიანი ტარიფით დაბეგვრას დაქვემდებარებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნუსხა.



საკონსულტაციო საბჭო

სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის გამჭვირვალობისა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის პრინციპების განმტკიცების მიზნით, შეიქმნა და აქტიურად ფუნქციონირებს საბაჟო დეპარტამენტის საკონსულტაციო საბჭო. საბჭოს ინიციატივით გადასახადის გადამხდელებთან შეხვედრა გაიმართა.

გადამხდელთა ნებაყოფლობითი კანონმორჩილების წახალისების, ინფორმირებულობის, შემცენების დონის ამაღლებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით:

- ➔ განახლდა საინფორმაციო ბროშურები;
- ➔ მომზადდა საინფორმაციო გრაფიკული ვიდეორგოლები;
- ➔ გაიმართა შეხვედრები გადამხდელებთან და საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე პირებთან იმპორტ-ექსპორტისა და საკანონმდებლო სიახლეების შესახებ;
- ➔ გაფორმების ეკონომიკურ ზონებსა და საქონლის გაფორმების განყოფილებებში განუელ მომსახურებაზე, ელექტრონული ფორმით განხორციელდა გადამხდელთა კმაყოფილების კვლევა. მიღებული მონაცემების დამუშავების შედეგად გამოვლენილ მოთხოვნებზე მოხდა შესაბამისი რეაგირება.



პრიორიტეტული წესით, შემაჯიბრობად ვადებში, გასაფორმებალი საქონლის ჩამონათვალს დაემატა

- ✓ ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში დეკლარირებული საქონელი;
- ✓ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონელი;
- ✓ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კუთვნილი/მფლობელობაში არსებული საქონელი.



საქონლის გაფორმების გამარტივების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები:

- იმპორტის ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილი ერთი მიმდების მისამართით, გაგზავნილი საქონლის დანიშნულების ადგილზე წარდგენა სავალდებულო აღარ არის, თუ საქონლის დათვალიერება გაფორმების საგადასახადო ორგანოს ტერიტორიაზე შეუძლებელია და იგი განთავსდება საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე;
- საბაჟო დეკლარაციის შევსებისა და გაფორმების პროცედურებისათვის აუცილებელი დროის დაზოგვის, გაფორმების ადგილის განტვირთვის მიზნით, წახალისდა დეკლარანტების/იმპორტიორების მიერ, შევსებული საბაჟო დეკლარაციით საქონლის გაფორმება და ამ შემთხვევაში, იმპორტის გადასახდელების გადახდა ნაცვლად საქონლის გაშვებიდან 5 დღის ვადისა, შესაძლებელია გადახდილ იქნეს – 10 კალენდარული დღის ვადაში;
- იმპორტის გადასახადისაგან, სრულიად გათავისუფლებულ საქონელს დაემატა საგანმანათლებლო, სამეცნიერო/კულტურული მიზნებისათვის, საერთაშორისო ფორუმებისა და სპორტული შეჯიბრებებისთვის შემოტანილი საქონელი;
- გაფორმების ადგილამდე მიტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან მის გატანამდე 90-დღიანი ვადა, გავრცელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქის (მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქის, რომელიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეა) მიერ შემოტანილ, უცხოეთში რეგისტრირებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალების მისაბმელზეც/ნახევრად მისაბმელზეც;
- იმპორტის გადასახდელებისაგან (დღგ, აქციზი და იმპორტის გადასახადი) გათავისუფლდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისებისა და საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად, ბორტზე მიწოდებისთვის განკუთვნილი საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების იმპორტი ან/და მიწოდება;
- საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8711 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) იმპორტი, გათავისუფლდა დამატებული ღირებულების გადასახადისაგან და იბეგრება მხოლოდ აქციზის განაკვეთით, ხოლო ელექტროძრავიანი მოტოციკლი (მოპედის ჩათვლით) სრულად გათავისუფლდა საბაჟო გადასახდელებისგან.



ჯარიმების ლიბერალიზაცია და ოპტიმიზაცია

- განახევრდა საბაჟო საწყობის ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანებართვო პირობის დარღვევისათვის განსაზღვრული ჯარიმა (4000 ლარი შემცირდა 2000 ლარამდე). შესაბამისად, ასევე განახევრდა ამავე ქმედების განმეორებით ჩადენისათვის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობაც (12000 ლარის ნაცვლად განისაზღვრა 6000 ლარით);
- ფულადი ჯარიმის ნაცვლად, გაფრთხილების გამოყენება გახდა შესაძლებელი „საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიერ საბაჟო კონტროლის ზონის დატოვების, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის გადატვირთვა ან გადმოტვირთვის“ სამართალდარღვევისა და „ფიზიკური პირის მიერ 3 000 ლარამდე ღირებულების საქონელზე წარდგენილ საბაჟო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტაციაში, არასწორი მონაცემის არსებობისას იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირების“ სამართალდარღვევის შემთხვევაშიც;
- საზღვაო გზით შემოტანილი კონტეინერის მფლობელი, თავისუფლდება იდენტიფიკაციის საშუალებების მოხსნის, დაზიანების ან არასათანადო ნიშანდების პასუხისმგებლობისაგან, იმ შემთხვევაში თუ არ ფიქსირდება საქონლის განკარგვის, დაკარგვის ან განადგურების ფაქტი.



გადასახადის გადამხდელისთვის პროცედურების გამარტივების მიზნით დანერგილი ელექტრონული სერვისები და პროგრამული მოდულები

- უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მისანიჭებლად წარსადგენი განაცხადის ელექტრონული ვერსიის დანერგვა – უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მისაღებად განაცხადის მატერიალურად წარდგენის ნაცვლად, ექსპორტიორს საშუალება ექნება ვებგვერდის (www.rs.ge) მეშვეობით გააკეთოს ელექტრონული განაცხადი და ასევე, ელექტრონულად მიიღოს პასუხი სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით;
- თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს საქონლის აღრიცხვის მოდული – თიზ-ის საწარმოში საქონლის დოკუმენტური წესით აღრიცხვას, ჩაანაცვლებს ელექტრონული აღრიცხვა, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს თიზ-ის საწარმოს საქონლის აღრიცხვას და საჭიროების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოსთვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენას. პროგრამული მოდული მუშაობს სატესტო რეჟიმში;
- წინასწარ დეკლარირებული საქონლის პრიორიტეტული წესით გაშვების მიზნით, საბაჟო გამშვებ პუნქტზე „წითელი ხიდი“, „ყაზბეგი“, „სადახლო-საავტომობილო“ და „სარფი“ დამონტაჟდა ტექნიკური საშუალებები: ა/მ ნომრის წამკითხველი კამერა და მონიტორი. აღნიშნული ტექნიკური საშუალებებით, მოხდება იმ ავტომობილის იდენტიფიცირება, რომლითაც გადაადგილდება წინასწარ დეკლარირებული საქონელი, მათი პრიორიტეტული წესით გაშვების მიზნით. მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის მიმართულებით.



ეფექტური საბაჟო კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით დანერგილი პროგრამული მოდულები

სპეციალური ავტოსადგომების (ე.წ. TIR პარკების) რიგის ელექტრონული სისტემის ამოქმედება დღეის მდგომარეობით არსებულ 6 სპეციალურ ავტოსადგომსა და საბაჟო გამშვებ პუნქტებზე „სარფი“, „წითელი ხიდი“ და „ლაგოდეხი“ დამონტაჟდა რიგების ელექტრონულად მართვის ტექნიკური საშუალებები. შედეგად, საზღვარზე მნიშვნელოვნად მოწესრიგდა ავტომობილების რიგები და გაუმჯობესდა საბაჟო გამშვები პუნქტების გამტარუნარიანობა.

ფიზიკური პირის ელექტრონული საბაჟო დეკლარაცია

შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში შეიქმნა ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ელექტრონული მოდული, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საბაჟო კონტროლი და აღრიცხვიანობა, შემცირდა დეკლარაციის შევსებისათვის საჭირო დრო.



კინოლოგიური მომსახურება

- ორმხრივი თანამშრომლობის პროექტი კინოლოგიის სფეროში – გერმანიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროებს შორის, ხელი მოეწერა ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებას კინოლოგიის განვითარებაში მხარდაჭერის შესახებ;
- ჩეხეთის საბაჟო ადმინისტრაციასა და ჩეხეთის განვითარების სააგენტოსთან, მიმდინარეობს კინოლოგიის სფეროში მხარდაჭერის 2 წლიანი პროექტის იმპლემენტაციისათვის საჭირო პროცედურები;

- განხორციელდა სამსახურებრივი ძალების მომზადება, თამბაქოს ნაწარმის ძებნისა და აღმოჩენის მიმართულებით;
- კინოლოგიური მომსახურების გაწევის მიზნით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

სპეციალური ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა

- საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟდა სტაციონარული რენტგენო სკანერი, მიმდინარეობს სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.




მებაჟეთა სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება

- მებაჟე-ოფიცერთა, ფიტოსანიტართა და ვეტერინართა გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა თემატიკის სწავლებაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.


სტატისტიკური მონაცემები

გაფორმებული სასაქონლო საბაჟო დეკლარაციების რაოდენობა




გაფორმდა 277,969 სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია, მათ შორის 207,184 – იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში, ხოლო 45,091 – ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში.

წინასწარ დაბეჭდილი დეკლარაციების რაოდენობა




იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში წინასწარ დაიბეჭდა დეკლარაციების **26,63 %**

სასაქონლო საბაჟო დეკლარაციებით გაფორმებული საქონლის ღირებულება




2017 წლის 12 თვის მდგომარეობით **33,327,920,678** ლარის ღირებულების საქონელი გაფორმდა; 2016 წელს - **29,127,209,278** ლარის, ხოლო 2015 წელს, გაფორმებული საქონლის ღირებულებამ **24,677,346,317** ლარი შეადგინა.

დარიცხული იმპორტის გადასახდელები




დარიცხულმა იმპორტის გადასახდელებმა **4,030,328,424** ლარი შეადგინა.

გამარტივებული საბაჟო დეკლარაციები (მათ შორის, საფოსტო გზავნილები)



წინასწარი გადაწყვეტილებები, სასაქონლო ექსპერტიზები



2017 წელს, სასაქონლო კოდის განსაზღვრის შესახებ 46 წინასწარი გადაწყვეტილება გაიცა და 12,563 სასაქონლო ექსპერტიზა ჩატარდა.


არასატარიფო კონტროლი

წარმოშობის სერტიფიკატები


შემოსავლების სამსახურში წარმოშობის სერტიფიკატების გაცემისთვის განაცხადის წარდგენა შესაძლებელია, როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონულად. ამასთან, შემოსავლების სამსახური წარმოშობის სერტიფიკატს უფასოდ გასცემს;

შემოსავლების სამსახურის მიერ, სულ 35,091 წარმოშობის სერტიფიკატი გაიცა, მათ შორის, 24,647 პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი CT-1, 4,823 წარმოშობის პრეფერენციული სერტიფიკატი EUR.1, ხოლო 2,660 გაცემულია ევროკავშირის ქვეყნებში საქონლის ექსპორტის შემთხვევაში.

წარმოშობის სერტიფიკატები



ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნებართვები




- გაიცა ორმაგი დანიშნულების პროდუქციის 206 ნებართვა;
- ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრში დარეგისტრირდა 202 ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი;
- გაიცა არაიოდიზებული მარილის იმპორტის 287 ნებართვა;
- გაიცა საბაჟო საწყობის საქმიანობის 11 ნებართვა;
- გაიცა თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის 5 ნებართვა;
- საბაჟო მონაცემთა ავტომატიზირებული სისტემაში - ASYCUDA განხორციელდა 174 პირის თავდაპირველი დაშვება;

- უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსი მიენიჭა 8 გადამხდელს;
- სატრანსპორტო საშუალებების დასკანერების შედეგად გამოვლინდა სამართალდარღვევის 830 ფაქტი, ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხული თანხა 319,147 ლარს შეადგენს.

არაიოდირებული მარილის იმპორტის ნებართვა

იოდის, სხვა მიკროელემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით, საქართველოში საკვები დანიშნულებით დასაშვებია, მხოლოდ იოდირებული მარილის იმპორტი, ხოლო არაიოდირებული მარილის იმპორტი ხორციელდება შესაბამისი ნებართვის საფუძველზე.



ინტელექტუალური საკუთრება

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა, საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია და ამ უფლებების დაცვაში შემოსავლების სამსახურს მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვა უზრუნველყოფს, როგორც მომხმარებლის დაცვას (კონტრაფაქციული და უფლების დარღვევით

წარმოებული საქონლისაგან), ასევე უფლებების მფლობელების უფლების დაცვას;

2017 წელს, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრში, 202 ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი დარეგისტრირდა;


შემოსავლების სამსახური ახორციელებს, უფლების მფლობელის უფლებების დაცვას, ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტზე, რომელიც შეტანილია შემოსავლების სამსახურის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრში.

სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის განხორციელება

ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის დროს, ლაბორატორიული კვლევის მიზნით, აღებულ იქნა 2,484 ნიმუში. ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის დროს დარღვევები გამოვლენილია 114 სასაქონლო პარტიაში.


ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის მიზნით, (საკარანტინო მავნე ორგანიზმებზე კვლევის მიზნით) ლაბორატორიაში გაიგზავნა 1,893 ნიმუში, ფიტოსანიტარიული კონტროლის დროს, დარღვევები გამოვლინდა 62 სასაქონლო პარტიაში, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების კვლევის მიზნით, ლაბორატორიაში გაგზავნილ იქნა 1,506 ნიმუში, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების არსებობა დადასტურდა 4 სასაქონლო პარტიაში, სურსათის/ცხოველთა საკვების გენმოდიფიცირებული კომპონენტების შემცველობის კვლევის მიზნით, ლაბორატორიაში გადაიგზავნა 689 ნიმუში, გენმოდიფიცირებული კომპონენტების შემცველობა დადასტურდა 47 სასაქონლო პარტიაში.

2017 წლის 1 დეკემბრიდან, ამოქმედდა საქართველოს მთავრობის N567 დადგენილება – „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“




არაცხოველური წარმოშობის სურსათში, მძიმე მეტალების ლაბორატორიულ კვლევას, დაექვემდებარა 20 ნიმუში, ხოლო მცენარეულ ცხიმზე დამზადებულ სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის ლაბორატორიულ კვლევას -14 ნიმუში.

სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის კუთხით განხორციელებული საქმიანობა



სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული ნებართვები და სერტიფიკატები



საკანონმდებლო აქტებში განსახორციელებელი ცვლილების პროექტები

2017 წელს, საბაჟო მეთოდოლოგიის სამმართველოს მიერ, მომზადდა საკანონმდებლო აქტებში განსახორციელებელი 88 ცვლილების პროექტი, საიდანაც ძალაში შევიდა 54

რისკის პროფილებითა და მონაცემთა ბაზების დამუშავების შედეგად გამოვლენილი სამართალდარღვევები

- ➔ საბაჟო დეკლარაციებთან დაკავშირებული სამართალდარღვევები
 - ✓ რისკის პროფილებით შერჩეულ დეკლარაციებზე გაზრდილი ღირებულება – **39,274,031** ლარი;
 - ✓ რისკის პროფილებით შერჩეულ დეკლარაციებზე წინასწარ გადახდილი იმპორტის გადასახდელები – **171,220,527** ლარი;
 - ✓ არასწორად გავრცელებული შეღავათები, პრეფერენციები, არასწორი სასაქონლო კოდები – **30,044** ლარი;
 - ✓ რეგისტრირებული დეკლარაციების მიმდინარე კონტროლი – **53,120** ფაქტი.
- ➔ საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული სამართალდარღვევები
 - ✓ ფიზიკური პირი/ავტოსატრანსპორტო საშუალება – **1,213** ფაქტი;
 - ✓ აღრიცხვის მონმობა – **949** ფაქტი;
 - ✓ ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები – **96** ფაქტი;
 - ✓ ძვირფასეულობა (ძვირფასი ქვები და ლითონები) – **78** ფაქტი;
- ➔ გადამოწმების შედეგად გამოვლენილი სხვაობები – 3,563,126 ლარი;
- ➔ „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსი მიენიჭა **43** გადამხდელს.

კინოლოგ-ოფიცრების მიერ, სამსახურებრივი ძალების დახმარებით გამოვლენილია 25 სამართალდარღვევის ფაქტი.


საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების კუთხით

- ლურჯ დერეფანში შესამოწმებლად **4,797** დეკლარაცია განაწილდა, საიდანაც შემოწმება დასრულდა **3,118** დეკლარაციაზე, ხოლო შემოწმება მიმდინარეობს **1,679** დეკლარაციაზე;
- დასრულდა **3,547** დეკლარაციის შემოწმება, რომელიც **2017** წლამდე შეირჩა ლურჯ დერეფანში შესამოწმებლად;
- ბრძანებით დაინიშნა **83** კამერალური/გასვლითი შემოწმება, საიდანაც **78** კამერალური/გასვლითი შემოწმება დასრულებულია, **3** კამერალური/გასვლითი შემოწმება მიმდინარეობს, ხოლო **2** კამერალური/გასვლითი შემოწმება შეჩერებულია;
- შედგენილია **130** აქტი, რომელთაგან **56** აქტი შედგენილია გაფორმების ორგანოში ჩასწორების მიზნით. აქტებით დასარიცხი თანხა შეადგენს **351,310** ლარს, ხოლო შუალედური აქტით დასარიცხი თანხა შეადგენს – **1,221,572** ლარს.


საბაჟო დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევები

2017 წელს, საბაჟო დეპარტამენტის მიერ 14,032 სამართალდარღვევის ფაქტი გამოვლინდა.

ამასთან, **11,878** საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტზე, სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ **16,712,579** ლარი შეადგინა, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის **1,755** ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ შეადგინა **1,038,044** ლარი.



საბაჟო გამშვებ პუნქტებზე გამოვლენილი სამართალდარღვევები (ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები, ძვირფასი ქვები და ლითონები, იარაღი, სიგარეტი)



საბაჟო დეპარტამენტის მიერ გამოვლინდა 4,364 გრამი სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების კანონდარღვევით შემოტანის ფაქტები; ასევე, 218,139 – აბი/კაფსულა, 271 – პაკეტი, 22 – ამპულა და 16 – ქილა სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანის ფაქტები.

2017 წელს გამოვლენილი მნიშვნელოვანი სამართალდარღვევები

2017 წლის განმავლობაში, საბაჟო დეპარტამენტის მეზაჟე-ოფიცრების მიერ, არაერთი მნიშვნელოვანი სამართალდარღვევა დაფიქსირდა. მათ შორის აღსანიშნავია, დიდი ოდენობით არადეკლარირებული ძვირფასი ლითონების, ელექტროტექნიკის, თამბაქოს ნაწარმის (სიგარეტი), ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერების საზღვარზე საბაჟო კანონმდებლობის დარღვევით გადაადგილების ფაქტები.



1 თებერვალს, შემოსავლების სამსახურის მეზაჟე-ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, აზერბაიჯანის მოქალაქის კუთვნილი ავტომობილის დათვალიერებისას, არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები (საერთო წონა 3,371,66 გრ.) და ბრილიანტის თვალი (5 ცალი) აღმოაჩინეს. საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 208,693,10 ლარი შეადგინა.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარისა და გურიის სამმართველოს გადაეცა;

1 ივნისს, საბაჟო გამშვები პუნქტში „წითელი ხიდი“, შემოსავლების სამსახურის მეზაჟე-ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, აზერბაიჯანის მოქალაქის კუთვნილი ბარგის დათვალიერებისას, ოქროს ნაკეთობები (1,181,87 გრ.) აღმოაჩინეს. საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 68,017,24 ლარი შეადგინა.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, საგამოძიებო დეპარტამენტის საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს გადაეცა;

19 აპრილს, საბაჟო გამშვები პუნქტში „კარნახი“, შემოსავლების სამსახურის მეზაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, სომხეთის მოქალაქის კუთვნილი ავტომობილის დათვალიერებისას, არადეკლარირებული **ოქროს ნაკეთობები** (საერთო წონით **1,908,3** გრამი) აღმოაჩინეს.

საქმე შემდგომი რეაგირებისათვის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა;



7 ოქტომბერს, საბაჟო გამშვები პუნქტში „წითელი ხიდი“, შემოსავლების სამსახურის მეზაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, აზერბაიჯანის მოქალაქის დათვალიერებისას, არადეკლარირებული 4 ცალი **ოქროს ზოდი** (საერთო წონით **2,202,2** გრ.) აღმოაჩინეს. საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ **130,749,13** ლარი შეადგინა.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა;

12 ოქტომბერს, საბაჟო გამშვები პუნქტში „გუგუთი“, შემოსავლების სამსახურის მეზაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, სომხეთის მოქალაქის კუთვნილი ავტომობილის დათვალიერებისას, დეკლარირებულ ყვავილებთან ერთად, არადეკლარირებული **სიგარეტი** (**1,309,000** ღერი) აღმოაჩინეს.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა;



7 სექტემბერს, საბაჟო გამშვები პუნქტში „სარფი“, შემოსავლების სამსახურის მეზაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის კუთვნილი ავტომობილის დათვალიერებისას, არადეკლარირებული **სიგარეტი** (**978,400** ღერი) აღმოაჩინეს.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა;

11 ოქტომბერს, საბაჟო გამშვები პუნქტში „ყაზბეგი“, შემოსავლების სამსახურის მეზაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, სომხეთის მოქალაქის კუთვნილი სატვირთო ავტომობილის დათვალიერებისას, არადეკლარირებული აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული **სიგარეტი** (**962,000** ღერი) აღმოაჩინეს.



საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა; 22 აგვისტოს, საბაჟო გამშვები პუნქტში „თბილისის აეროპორტი“, შემოსავლების სამსახურის მეზაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, ირანის მოქალაქის კუთვნილი ხელბარგის დათვალიერებისას, **3,9** კილოგრამი **ოპიუმი** აღმოაჩინეს.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს გადაეცა;



3 აგვისტოს, საბაჟო გამშვები პუნქტში „სარფი“, შემოსავლების სამსახურის მეზაჟე ოფიცრებმა, საქართველოს მოქალაქის კუთვნილი ავტომობილის დათვალიერებისას, არადეკლარირებულ საქონელი, კერძოდ, **მობილურ ტელეფონი** (**700** ცალი) და **მაჯის საათი** (**500** ცალი) აღმოაჩინეს. საქონლის საბაჟო საერთო ღირებულებამ **19,860** ლარი შეადგინა.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.



შეამოსაცდელის
სამსახური





ძვირფასო თანამემამულენო, ქალბატონებო და ბატონებო!

მოხარული ვარ, რომ კიდევ ერთი წელი, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, ვემსახურე ჩემს ქვეყანას. მომეცა საშუალება სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო და მნიშვნელოვან, ფისკალური და არაფისკალური ფუნქციის მატარებელ სახელმწიფო ორგანოში, ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში, მხარი დამეჭირა სამსახურის მიერ დასახული სტრატეგიული და საოპერაციო მიზნების მიღწევისთვის.

ყოველი წლის ბოლო, დროის საეტაპო მონაკვეთია, როცა არსებობს იმის მოლოდინი, რომ მოხდება მიღწეული შედეგების შეფასება, გარკვეული დასკვნის გაკეთება და სამომავლო გეგმების დასახვა, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს პრიორიტეტების შეცვლა, რაც თავისთავად ჯანსაღი პროცესია.

2017 წელს, სამსახურმა იბეიმა მისი შექმნიდან 10 წლისთავი, რაც, საქართველოში დინამიურად მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, ინსტიტუტის ჩამოსაყალიბებლად შეიძლება ჩაითვალოს დროის საკმარისად ხანგრძლივ პერიოდად. სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული შეიქმნა 7 წლის წინ. ამ ხნის განმავლობაში ჩემს გვერდით შეიკრიბა პროფესიონალთა გუნდი, რომელთა ერთობლივი ძალისხმევითაც გახდა შესაძლებელი განხორციელებულიყო ქვემოთ მოცემული საქმიანობა.

ცხადია, სამსახურის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან მჭიდრო, შედეგზე ორიენტირებული და გამომწვევებით აღსავსე თანამშრომლობის გარეშე ვერ იქნებოდა მიღწეული ვერც ერთი შედეგი. შესაბამისად, განსაკუთრებით მსურს ხაზი გავუსვა მათთან თანამშრომლობის უდიდეს მნიშვნელობას და მაღლიერება გამოვხატო სამსახურის თანამშრომლების, სახელმწიფო ორგანოში დასაქმებული ჩვენი კოლეგების მიმართ.

რა თქმა უნდა, ჩემი შესავალი სიტყვის დასკვნითი ნაწილი ეძღვნება ჩვენს უცხოელ პარტნიორებს, კოლეგებს და მეგობრებს. მაღლიერებას გამოვხატავთ მათ მიმართ. მაღლობას ვუხდით ურთიერთ ინტერესზე დაფუძნებული, აქტიური ურთიერთობით ინიცირებული, პროექტების მხარდაჭერისთვის და გვერდში დგომისთვის, სამსახურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

2018 წელს, ჩემი გუნდის თითოეულ წევრთან ერთად, მათი ქმედითი ჩართულობით, სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობით, კვლავაც გავაგრძელებთ ძალისხმევას, რომელიც მიმართული იქნება ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერისკენ, სამსახურის საქმიანობის ცნობადობის შემდგომი ამაღლებისკენ, ტექნიკური დახმარების პროექტების წარმატებით განხორციელებისკენ.

პატივისცემით,

სამსონ ურიდია

საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი

ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიმართულების გათვალისწინებით საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის 2017 წლიური ანგარიშის დასაწყისში წარმოდგენილია ერთი მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ” შეთანხმებით (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის ჩათვლით) აღებული ვალდებულებების განხორციელების მიზნით შესრულებული საქმიანობის ამსახველი სურათი.

იქიდან გამომდინარე, რომ შემოსავლების სამსახური წარმოადგენს ინტეგრირებულ, კომპლექსურ სახელმწიფო ორგანოს, მისი საქმიანობა საქართველოსთვის ზემოხსენებულ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტთან იკვეთება სხვადასხვა კომპონენტში. ეს კომპონენტებია საბაჟო, სანიტარიული, ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლი და საგადასახადო. შესაბამისად, აღნიშნული თანმიმდევრობით მოცემულია ინფორმაცია განვლილი წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების შესახებ.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი

შეთანხმების მე-13 დანართში 1987 წლის 20 მაისის „ტრანზიტის საერთო კონვენციისა (CTC)” და “საქონლით ვაჭრობის ფორმალობების გამარტივების შესახებ (SAD)” კონვენციებთან მიახლოების (შესაძლო მიერთების) და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)” დანერგვის მიზნით, შემოსავლების სამსახურის უფროსის, ჯერ კიდევ 2015 წლის 9 იანვრის, N186 ბრძანების მიხედვით შეიქმნა კომისია და სამუშაო ჯგუფი, რომელიც იკრიბება რეგულარულად. ახალი სატრანზიტო სისტემის ამოქმედება საშუალებას იძლევა კიდევ უფრო ამაღლდეს საქართველოს კონკურენტუნარიანობა. ვინაიდან, საქართველოს საბაჟო ადმინისტრაციის მიერ გაცემული ტრანზიტის დეკლარაციით, რომელიც იმავდროულად იქნება საბაჟო გარანტია, განხორციელდება ტვირთის შეუფერხებელი გადაზიდვა ევროკავშირის, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის სივრცეში შემავალი ქვეყნების (შემდგომ ტექსტში EFTA (ისლანდია, ნორვეგია, ლიხტენშტეინი, შვეიცარია)), ასევე თურქეთის რესპუბლიკის, სერბეთისა და მაკედონიის ტერიტორიაზე. აღნიშნული ქვეყნის საბაჟო ადმინისტრაციების მიერ დამატებითი დოკუმენტების გაცემის გარეშე;

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის პირველი პლატფორმა - „დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა“ (Democracy, Good Governance and Stability) საზღვრის ინტეგრირებული მართვის პანელის საფლავგმანო ინიციატივის ინსტიტუციონალური განვითარების პროექტის ფარგლებში, სამსახურის თანამშრომელთათვის სერბი ექსპერტების მხარდაჭერით ჩატარდა სამეტაპიანი სასწავლო პროგრამა. პროგრამის ფარგლებში ექსპერტებმა შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებს გააცნეს ზემოაღნიშნულ კონვენციებთან მიერთების, როგორც სამართლებრივი საკითხების, ასევე პრაქტიკული და საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) მექანიზმების ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები და წარმოდგენილი იქნა სერბეთის, როგორც კონვენციის ახალი წევრი ქვეყნის გამოცდილების მიხედვით, შესაბამისი რეკომენდაციები. ასევე, ორგანიზებულ იქნა სასწავლო ვიზიტი, რომლის მიმდინარეობისას, ქართველ ექსპერტებს შესაძლებლობა მიეცათ ადგილზე გაცნობოდნენ სისტემის ფუნქციონირების მექანიზმებსა და სერბეთის საბაჟო ადმინისტრაციის გამოწვევებს, კონვენციებთან მიერთებისა და ახალი ციფრული სატრანზიტო სისტემების განხორციელების პროცესებს;

2017 წლის, 24 იანვარს, 17 მარტსა და 7 ივლისს, ქ. ბრიუსელში (ბელგია), გაიმართა ევროკავშირისა და EFTA ქვეყნების ტრანზიტის საერთო კონვენციისა და საქონლით ვაჭრობის ფორმალობების გამარტივების შესახებ, კონვენციის სამუშაო ჯგუფის 166-ე, 167-ე და 168-ე შეხვედრა. სამუშაო ჯგუფისა და კომიტეტის წევრების შეხვედრებში, დამკვირვებლის სტატუსით, როგორც არაწევრი ქვეყანა ქართული მხარე რეგულარულად იღებს მონაწილეობას;

„ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტის დამშობილების“ პროგრამის ფარგლებში, წარმატებით დამტკიცდა და გამოცხადდა კონკურსი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ ინიცირებულ პროექტზე, რომელიც გულისხმობს ახალი სატრანზიტო სისტემის დანერგვისთვის მომზადებას. 2017 წლის 18 დეკემბერს, დამშობილების პროექტის განსახორციელებლად, (საქართველოში) ევროკავშირის დელეგაციაში შერჩეულ იქნა, ფინეთის, პოლონეთის და ლატვიის კონსორციუმი, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი უწყებებით: ფინეთის საბაჟო ადმინისტრაცია, პოლონეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ეროვნული შემოსავლების სამსახური და ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლების სამსახური. პროექტის დაწყება 2018 წლის დასაწყისში იგეგმება;

ასოცირების შეთანხმების მე-13 დანართის მიხედვით, „თანამეგობრობის საბაჟო კოდექსთან“ მიახლოების მიზნით, მომზადებული და საბაჟო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებებისა და ნორმატიული აქტების სამუშაო ვერსია განსახილველად მიეწოდა ევროკომისიას. 2017 წლის 17 მაისს, საბაჟო ქვეკომიტეტის ფარგლებში, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ევროკავშირის სამართლებრივი დოკუმენტი – „თანამეგობრობის საბაჟო კოდექსი“ ჩანაცვლდეს „კავშირის საბაჟო კოდექსით“. ევროკომისიამ არსებული პროექტის გადამუშავებისა და რეფორმულირების პროცესში დახმარების უზრუნველყოფის მიზნით, შეარჩია ტექნიკური ექსპერტი;

მიღებული საკანონდებლო ცვლილებების შედეგად, საქართველოში შემოღებულია შეთანხმებით გათვალისწინებული უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის ინსტიტუტი. ევროკომისიასთან აქტიური თანამშრომლობის ფორმატში გრძელდება მუშაობა კანონმდებლობის შემდგომ დახვეწასა და სრულ ჰარმონიზაციაზე;

2017 წლის, 7-11 აგვისტოს, საქართველოში, USAID და G4G მხარდაჭერით, AEO-ს თემაზე, პოლონელი ექსპერტის მონაწილეობით სამუშაო შეხვედრა გაიმართა. 24 ოქტომბერს, შედგა შეხვედრა შემოსავლების სამსახურის, USAID, G4G-ს და Deloitte-ის წარმომადგენლებს შორის, სადაც განიხილებოდა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მაძიებლებისა და უკვე ავტორიზებული პირების IT აუდიტის განხორციელების მიზნებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ჩარჩოსა და შესაბამისი სამუშაო სახელმძღვანელოების შემუშავება, თანამშრომლების გადამზადების პროცესში Deloitte-ს ექსპერტების შესაძლო ჩართულობა;

„ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ევროკავშირის შესაბამის რეგულაციასთან (No 608/2013) დაახლოების მიზნით შემოსავლების სამსახურში შეიქმნა შიდაუწყებრივი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის მიერ შემუშავებული კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი მიღებულ იქნა, საქართველოს პარლამენტის მიერ მიმდინარე წლის დეკემბერში. შესაბამისად, შეთანხმების მე-13 დანართით გათვალისწინებული, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ ვალდებულება შესრულებულია;

2017 წლის 21 აპრილს, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით მოხდა „პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების შესახებ“ რეგიონულ კონვენციასთან“ მიერთება; მოცემულ ეტაპზე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებში ცვლილებების შეტანის მიზნით, მიმდინარეობს პროცედურები საქართველოსა და ევროკავშირთან, ასევე თურქეთის რესპუბლიკასთან, რაც კონვენციით გათვალისწინებული დიაგონალური კუმულაციის ამოქმედებას გილისხმობს;

დიაგონალური კუმულაცია საქართველოს მეწარმეებს საშუალებას მისცემს გამოიყენოს ევროკავშირის, თურქეთის რესპუბლიკისა და EFTA-ს ქვეყნების ბაზარზე არსებული ნედლეული, ხოლო უკვე გადამუშავებული პროდუქტები ექსპორტით გაიტანონ ზემოაღნიშნული ქვეყნების ბაზრებზე, იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების შეღავათანი რეჟიმით. აღნიშნული შესაძლებლობა ცხადია კიდევ უფრო ზრდის ქვეყნის შედარებითი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელს.

სანიტარიული/ ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლი:

შემოსავლების სამსახური ახორციელებს რა, იმპორტირებულ საქონელთან დაკავშირებით კონტროლს სურსათის/ ცხოველთა საკვების უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისთვისა და მცენარეთა სიჯანსაღის უზრუნველყოფის მიზნით, პასუხისმგებელია ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი კონტროლის განსახორციელებლად შექმნას, სათანადო ინფრასტრუქტურა, დანერგოს იმპორტის კონტროლის სავალდებულო პროცედურები.

ევროკავშირის მირ დაფინანსებული „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის პირველი პლატფორმა – „დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა“ (Democracy, Good Governance and Stability) საზღვრის ინტეგრირებული მართვის საპილოტე პროექტის ფარგლებში, საბაჟო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდი“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული (SPS) სასაზღვრო კონტროლისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობასა და შესაბამის აღჭურვას ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში:

- ➔ 2017 წლის განმავლობაში, თბილისში, ბათუმსა და ახალციხეში, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებს „არაცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის პროცედურების შესახებ“ ტრენინგი ჩაუტარდათ. სწავლების დასრულების შემდეგ, 14 კურსამთავრებულმა, ეტაპობრივად 42 თანამშრომელი (ვეტერინარი, ფიტოსანიტარი, სანიტარი) გადამამზადა. 2018 წელს, კიდევ 60 თანამშრომლის გადამამზადება იგეგმება;
- ➔ 2017 წლის, 18-19 დეკემბერს, ბაქოში, „სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის შესახებ ინფორმაციის გაცვლისა და ელექტრონული სისტემების მართვის შესახებ“ სწავლება გაიმართა. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან 5 თანამშრომელი გადამამზადდა.

მიმდინარეობდა შემდეგ სახელმძღვანელოებზე მუშაობა:

- ✓ ვეტერინარული ნაწილი – ნიმუშების აღება ლაბორატორიული გამოკვლევისათვის (27 მარტიდან -31 მარტის ჩათვლით);
 - ✓ არაცხოველური წარმოშობის სურსათი/ცხოველის საკვების მეთოდური სახელმძღვანელოები (მისი შემუშავების მიზნით გაიმართა 3 შეხვედრა: 30 აპრილი – 4 მაისი, 17-19 ივლისი, 15-18 სექტემბერი);
 - ✓ ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო კონტროლის სახელმძღვანელო;
- 2017 წლის დეკემბერში შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით, მიღებულ იქნა, სამივე სახელმძღვანელო.

26-30 სექტემბერს, ლატვიაში (რიგის საზღვაო პორტი და აეროპორტი), გამოცდილების გაზიარების მიზნით, საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომელთათვის, ცხოველური და არაცხოველური წარმოშობის სურსათის სასაზღვრო კონტროლის შესახებ სასწავლო ტური ჩატარდა;

მიმდინარეობს სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის „წითელი ხიდის“ სანიტარული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლისათვის აუცილებელი შენობის მშენებლობა. კერძოდ დასრულდა მშენებლობის პირველი ფაზა (საერთო ღირებულება 528 885,70 აშშ დოლარი). დაიწყო მშენებლობის მეორე ეტაპი (სავარაუდო ღირებულება 440 000 აშშ დოლარი);

2017 წლის 4-8 დეკემბერს, პოლონელმა ექსპერტებმა ქართველ მეზაჟე ოფიცერებსა და ტექნიკურ პერსონალს (15 თანამშრომელი) სტაციონარული სკანერების გამოსახულების ნაკითხვა/ანალიზის მეთოდების შესახებ თეორიული და პრაქტიკული ტრენინგი ჩაუტარეს,

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროექტის ფარგლებში შეძენილია 498 000 ევროს ღირებულების SPS კონტროლისათვის საჭირო აღჭურვილობის ნაწილი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტებისთვის „წითელი ხიდი“ და „სადახლო“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ევროკავშირის ექსპერტის ვიზიტი სადახლოზე სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის განთავსებასთან დაკავშირებით და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები;

2017 წლის 11 -13 ოქტომბერს, თბილისში გაიმართა „ერთი მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ საქართველოს შორის“ ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული საბაჟო ქვეკომიტეტის ფარგლებში არსებული „პროექტის ჯგუფის“ შეხვედრა. ევროკავშირის მხრიდან წარმატებით შეფასდა ქართული მხარის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების სტატუსი. შეხვედრის ფარგლებში შემდგომი თანამშრომლობის კონკრეტული ღონისძიებები დაიგეგმა.

ევროკავშირის საბჭოს 86/560/EEC დირექტივა დღგ-ის დაბრუნების თაობაზე

GIZ-ის მიერ მოწვეული ექსპერტის მონაწილეობით თბილისში გაიმართა სამუშაო შეხვედრები და დღგ-ის დაბრუნების დირექტივასთან დაკავშირებით მომზადდა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში შესატანი ცვლილებების პირველადი პროექტი. აღნიშნული პროექტი განიხილა შემოსავლების სამსახურმა და ფინანსთა სამინისტრომ, მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ.

ევროკავშირის საბჭოს 2006/112/EC დღგ-ის დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია

USAID და G4G-ის მხარდაჭერით მიმდინარეობს იმ გავლენის შეფასება (RIA), რასაც გამოიწვევს ზემოაღნიშნული დირექტივის დანერგვა. ამ მიზნით, შემოსავლების სამსახურთან და ფინანსთა სამინისტროსთან კონსულტაციით, შერჩეულ იქნა 5 მნიშვნელოვანი საკითხი.

ევროკავშირის საბჭოს 92/83/EEC დირექტივა ალკოჰოლსა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის გადასახადის სტრუქტურის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია

ჰარმონიზაციის მიზნით მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მიღებულ იქნა, საქართველოს პარლამენტის მიერ.

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2007/74/ EC მოგზაურების დღგ-ის და აქციზის გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ

კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება და მოხდა ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში, იმ ნორმების მოყვანა, რომლებიც არეგულირებს მგზავრის მიერ ხელბარგით შემოტანილ სიგარეტსა და ალკოჰოლზე დღგ-ისა და აქციზისაგან გათავისუფლების საკითხს;

ევროკავშირში მიღებული, საჰაერო მგზავრებზე წინასწარი ინფორმაციის/მგზავრების პირადი მონაცემების გაცვლის შესახებ (API/PNR) სისტემის დანერგვის მიზნით, შემუშავდა და მიღებული იქნა საკანონმდებლო ცვლილებები. პარალელურად, ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანების შემუშავება.

ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ

ტრადიციულად, გრძელდება და ვითარდება სხვადასხვა ქვეყნის საბაჟო და საგადასახადო ადმინისტრაციებთან პარტნიორული ურთიერთობები.



აზერბაიჯანის რესპუბლიკა

2017 წლის განმავლობაში, საბაჟო ადმინისტრაციებს შორის შედგა, როგორც სამუშაო, ისე ხელმძღვანელი პირების შეხვედრები. შეხვედრების ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს, ახალი საბაჟო გამშვები პუნქტის მშენებლობის აუცილებლობასთან დაკავშირებული, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხები, შეაფასეს ამ სფეროში არსებული ვითარება და შეთანხმდნენ ოპერატიული თანამშრომლობის გაუმჯობესების გეგმაზე.



ამერიკის შეერთებული შტატები

2017 წლის 6 ივლისს, „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის საბაჟო ადმინისტრაციების ურთიერთდახმარების შესახებ“ შეთანხმება გაფორმდა. აღნიშნული შეთანხმების მიზანს წარმოადგენს საქართველოსა და აშშ-ის საბაჟო ადმინისტრაციებს შორის გრძელვადიანი და მდგრადი თანამშრომლობის განვითარება.

„საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესებისა და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“, ასევე 2016 წლის 30 ივნისს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურსა და ამერიკის შეერთებული შტატების შიდა შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმებული კომპეტენტურ უწყებათა შეთანხმების ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა ორი ქვეყნის შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებს შორის.



ბელარუსის რესპუბლიკა

მიმდინარე წლის 22-23 თებერვალს, შემოსავლების სამსახურს ბელარუსის რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარის, ბატონი იური სენკოს ხელმძღვანელობით, საბაჟო კომიტეტის დელაგაცია ესტუმრა. ეს გახლდათ ბელარუსის რესპუბლიკის საბაჟო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში. ვიზიტის ფარგლებში განხილულ იქნა, საბაჟო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები, ასევე, ხელი მოეწერა ორ დოკუმენტს.

- ოქმი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ – სსიპ შემოსავლების სამსახურსა და ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტს შორის, საპაერო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის მიმართ, საბაჟო სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- მემორანდუმი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ – სსიპ შემოსავლების სამსახურსა და ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტს შორის კადრების მომზადების სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

16 - 17 ნოემბერს, შედგა შემოსავლების სამსახურის დელეგაციის საპასუხო ვიზიტი მინსკში. ვიზიტის ფარგლებში მხარეებმა ხელი მოაწერეს 2 დოკუმენტს:

- საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის ორმხრივი ვაჭრობის ხელშეწყობის სისტემის შესახებ;

→ კადრების გადამზადების სფეროში თანამშრომლობის 2018 - 2019 წლების სამოქმედო გეგმას.

საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმებული ორმხრივი ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ შეთანხმების ძირითადი მიზანია ქვეყნებს შორის ვაჭრობის ხელშეწყობა და უსაფრთხოების სისტემების განვითარების უზრუნველყოფა. ამასთან, აღნიშნული შეთანხმება მაქსიმალურად გაამარტივებს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის სავალდებულო პროცედურებს.

11 - 12 დეკემბერს, შემოსავლების სამსახურს ესტუმრა ბელარუსის საბაჟო ადმინისტრაციის წარმომადგენლობითი დელეგაცია. ვიზიტის მიზანი იყო შემოსავლების სამსახურში განხორციელებული რეფორმების შესახებ გამოცდილების გაზიარება. გაიმართა შეხვედრები საბაჟო დეპარტამენტის სხვადასხვა სამმართველოების წარმომადგენლებთან, გავითარა პრეზენტაციები, განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა; წინასწარი ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი, საბაჟო დეკლარაციების დამუშავება (მწვანე კორიდორი, გამარტივებული პროცედურები), ეფექტური საბაჟო კონტროლის მეთოდების გამოყენება მათ შორის რისკების ანალიზი, ინფორმაციის გაცვლა, კორიდორების შერჩევა, გაფორმების შემდგომი აუდიტი, ეკონომიკურ ოპერატორებთან თანამშრომლობა, გამჭვირვალობა და სხვა. ვიზიტის ფარგლებში, სტუმრებმა დაათვალიერეს საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდი“ და თბილისის გაფორმების ეკონომიკური ზონა. აღნიშნული ვიზიტი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით გაიმართა.



გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

2016 წლის მარტში, ბერლინში, საქართველოსა და გერმანიის ფინანსთა სამინისტროებს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე 2017 წელს, საქართველოს საბაჟო კინოლოგიის ინსტიტუციონალური განვითარების პროექტი დაიწყო. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ორმა გერმანელმა ექსპერტმა კინოლოგიის სამმართველოში მიმდინარე სამუშაო პროცესები, პროგრამის ეფექტურობა და სამსახურებრივი ძალების წვრთნის მეთოდები შეაფასა. 13-17 მარტს, ქალაქ ბლეკედეში მდებარე კინოლოგიის ცენტრში, ვიზიტად მყოფი საბაჟო დეპარტამენტის 2 თანამშრომელი, გერმანული კინოლოგიის სისტემაში გატარებულ რეფორმებსა და გამოცდილებას გაეცნო. ამასთან, 20 მარტიდან 7 აპრილის ჩათვლით, ქართველი კინოლოგ-ინსტრუქტორები სამსახურებრივი ძალების წვრთნის პროცესსაც დაესწრნენ. პროექტის დასკვნითი აქტივობის ფარგლებში, 2017 წლის მაისში, გერმანელმა ექსპერტებმა ქართველ კინოლოგებთან ერთად საბაჟო გამშვებ პუნქტებში „წითელი ხიდი“, „სადახლო“ და „სარფი“ პრაქტიკული სწავლება განახორციელეს, რომელსაც 11 კინოლოგ-ოფიცერი ესწრებოდა.

საფინანსო ინფორმაციის ავტომატური გაცვლის გლობალური სტანდარტის (Common Reporting Standard) საპილოტე პროგრამის ფარგლებში, 2017 წლის ნოემბერში, პროგრამის დაწყების თაობაზე, ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა საქართველოს, გერმანიის ფედერაციისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) გამჭვირვალობისა და საგადასახადო მიზნებისთვის ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის (Global Forum) სამდივნოს შორის. 21-22 ნოემბერს, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საქართველოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გლობალური ფორუმის სამდივნოს წარმომადგენლები ესტუმრნენ. გერმანიის ფინანსთა ფედერალური სამინისტრო, გრძელვადიანი ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში, დიდი ოცეულისა (G 20) და OECD-ის საფინანსო ინფორმაციის გლობალური სტანდარტის (Common Reporting Standard) იმპლემენტაციის პროცესში, საქართველოს ტექნიკურ მხარდაჭერას განახორციელებს. პროექტი ფინანსური ინფორმაციის ავტომატურად გაცვლას ითვალისწინებს. 2018 წლიდან, GIZ საქართველოსა და გერმანიის ფედერაციას შორის ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში გაცვლის საპილოტე პროგრამის დაფინანსებისა და ადმინისტრირების პროცესს გაუწევს კოორდინაციას.



თურქეთის რესპუბლიკა

თურქეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, საზღვრისა და საბაჟო გამშვები პუნქტების ერთობლივი მართვის საფუძველზე, ორი ქვეყნის საბაჟო ადმინისტრაციებს შორის, ელექტრონულ რეჟიმში ინფორმაციის წინასწარი გაცვლა და რისკების ანალიზის პროცესი მიმდინარეობს. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, 2017 წლის იანვრიდან, მონაცემთა ელექტრონული გაცვლა ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტებზე: „ახალციხე“-„პოსოფი თურქგოზი“ და „კარნახი“-„ჩილდირ-აკტაში“. მომავალში იგეგმება ელექტრონული პროგრამების კიდევ უფრო გამარტივება და დახვეწა. კერძოდ, მოხდება რენტგენო ინსპექტირებისას დასკანერებული სატრანსპორტო საშუალებისა და საბაჟო კონტროლის მონაცემთა ელექტრონული ფორმით გაცვლა და შესაბამისი რისკების წინასწარი ანალიზი.

2017 წლის 14-15 დეკემბერს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი, ახალი გამშვები პუნქტის „მარადიდი“-„მურათლის“ მშენებლობის დაწყების საკითხის განხილვის მიზნით, თურქეთის საბაჟო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკების სარკინიგზო ხაზების გამაერთიანებელი ბაქო-თბილისი-ყარსის, ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სარკინიგზო პროექტის, იმპლემენტაციის დაწყებასთან ერთად ფუნქციონირებს კარნახი-ახალქალაქის სარკინიგზო საბაჟო გამშვები პუნქტი. ამასთან, იგეგმება აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის საბაჟო ადმინისტრაციებს შორის „აბრეშუმის გზის“ მაგისტრალის შეუფერხებლად ფუნქციონირებისთვის უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების ამოქმედება.



იაპონია

31 ოქტომბერს, ქ. ტოკიოში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დელეგაციამ, იაპონიის ფინანსთა სამინისტროს საბაჟო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პირებთან ორმხრივი შეხვედრები გამართა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურსა და იაპონიის ფინანსთა სამინისტროს საბაჟო ადმინისტრაციას შორის, პირველად შედგა ორმხრივი შეხვედრა. შეხვედრისას მხარეებმა თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილეს და ორ ქვეყანას შორის ურთიერთანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. ამასთან, მხარეებმა საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ, შეთანხმების გაფორმების მიზნით მოლაპარაკებების დაწყების მზადყოფნა დაადასტურეს.



ნიდერლანდების სამეფო

BEPS-ის ინკლუზიური პლატფორმის წევრობით აღებული საერთაშორისო ვალდებულებების სრულყოფილი შესრულების მიზნით, საქართველოსა და ნიდერლანდებს შორის გრძელვადიანი TWINING-ის პროგრამა დაიწყო. პროგრამის ფარგლებში, ჰოლანდიის მთავრობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურს BEPS-ის ინკლუზიური პლატფორმის წევრობით აღებული ვალდებულების მინიმალური პაკეტის დანერგვასა და განხორციელებაში აქტიურ დახმარებს გაუწევს.

ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სლოვენიაში, კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში, მიმდინარე სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას იღებენ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის იანვრიდან დღემდე, სლოვენიაში, CEF-ის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, ჰოლანდიის მთავრობის დაფინანსებით, 16 თანამშრომელი იქნა მივლინებული.

**რუსეთის ფედერაცია**

31 ოქტომბერს, რუსეთის ტერიტორიაზე, საბაჟო გამშვებ პუნქტში „ვერხნი ლარსი“ (საქართველო - სგპ „ყაზბეგი“) ორი ქვეყნის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა საბაჟო გამშვებ პუნქტთან მისასვლელი საავტომობილო გზის გაფართოების სამუშაოები განიხილეს. რუსეთ-საქართველოს საზღვარზე არსებული თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს სატრანზიტო ტვირთებისა და მგზავრთა ნაკადის სწრაფ გატარებს. 2018 წელს, მორიგი სამუშაო შეხვედრები გაიმართება.

19 დეკემბერს, შემოსავლების სამსახურმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას SGS-თან. აღნიშნული კომპანია 2011 წლის 9 ნოემბერს, ხელმოწერილი – „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“, შეთანხმებით გათვალისწინებული, ნეიტრალური, მესამე მხარის - შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობის მიერ შერჩეული კერძო კომპანიაა. SGS პასუხისმგებელი იქნება, შეთანხმებით გათვალისწინებული ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული მომსახურების განხორციელებაზე. ხელშეკრულება ძალაში შევა რუსეთის ფედერაციის მხრიდან ანალოგიური ხელშეკრულების გაფორმებისას.

**უკრაინა**

13 ნოემბერს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, შემოსავლების სამსახურის უფროსი გიორგი თაბუაშვილი უკრაინის სახელმწიფო ფისკალური სამსახურის თავმჯდომარეს მიროსლავ პროდანის შეხვდა. მხარეებმა საქართველოსა და უკრაინის შემოსავლების სამსახურებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის საკითხებზე, გამოცდილების გაზიარებისა და ინფორმაციის გაცვლის ასპექტებზე ისაუბრეს.

**უნგრეთი**

2017 წლის 21 აპრილს, თბილისში, ხელი მოეწერა „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და უნგრეთის ეკონომიკის სამინისტროს შორის საბაჟო სასაქონლო ოპერაციებზე სტატისტიკურ მონაცემთა ურთიერთგაცვლის შესახებ“ შეთანხმებას.

**ყაზახეთის რესპუბლიკა**

2017 წლის 7 ივნისის, თბილისში, ხელი მოეწერა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ყაზახეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროებს შორის, „საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის შესახებ წინასწარ მონაცემთა გაცვლის ორგანიზების შესახებ“ შეთანხმებას. შეთანხმების მიზანია საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების, შემოტანის ადგილებში, აგრეთვე, მხარეთა სახელმწიფოების ტერიტორიაზე დანიშნულების საბაჟო ორგანოებში, საბაჟო გაფორმების პროცედურების დაჩქარება, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება, როგორც ორმხრივ დონეზე საბაჟო კონტროლის უფრო ეფექტურად განხორციელებაზე, ასევე, რეგიონში სატრანზიტო პოტენციალის ამაღლებაზე.

**ჩეხეთის რესპუბლიკა**

2017 წლის 23 აგვისტოს, ჩეხეთის რესპუბლიკის გენერალური საბაჟო დირექტორატის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურსა და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტი „საქართველოს კინოლოგიის მომსახურების ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების“ პროექტის ფარგლებში

შემუშავდა. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში კინოლოგიური სამსახურის ეფექტიანობის გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს ნარკოტიკული საშუალებებისა და თამბაქოს კანონდარღვევით შემოტანის ფაქტების გამოვლენასა და აღკვეთას. ჩეხი კონოლოგების პირველი სამუშაო ვიზიტი საბაჟო დეპარტამენტის კინოლოგიის ცენტრში გაიმართა და 2018 წლის სამოქმედო გეგმა შეთანხმდა. 2017 წელს, პროექტის ფარგლებში შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის კინოლოგიის ცენტრს, საჩუქრად, ტექნიკური აღჭურვილობა გადაეცა. პროექტის პირველ ეტაპზე, ჩეხეთის საბაჟო ადმინისტრაციის კინოლოგიის ცენტრში, სამი კინოლოგ-ინსტრუქტორისა და ნარკოტიკულ საშუალებებზე განვრთნილი ძალებისთვის სამთვლიანი სასწავლო კურსის გავლა იგეგმება. 2018 წლის შემოდგომაზე, ქართველი კურსადმთავრებულები ჩეხ ექსპერტებთან ერთად, ანალოგიურ სწავლებას საქართველოში ჩაატარებენ.

2017 წელს, შემოსავლების სამსახურმა ვიეტნამის, ყაზახეთის, სომხეთის, კოლუმბიის საგადასახადო ადმინისტრაციების წარმომადგენლებს უმასპინძლა და საგადასახადო სფეროში განხორციელებული წარმატებული რეფორმების შესახებ გამოცდილება გაუზიარა.

რეგიონული თანამშრომლობა

ქვეყნის ტრანზიტული პოტენციალის ათვისების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ევროპისა და აზიის რეგიონული თანამშრომლობის პლატფორმებთან აქტიური ინტეგრაცია. საქართველო ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის (CAREC) ორგანიზაციის წევრი ქვეყანაა, სადაც აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან ერთად გაერთიანებულია ცენტრალური აზიის ქვეყნები და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (<http://www.carecprogram.org/index.php?page=carec-countries>).

2017 წლის 23 თებერვალს, თბილისში, აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და „ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამის (CAREC)“ ფარგლებში, ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით სამუშაო შეხვედრა გაიმართა. სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, CAREC ახორციელებს მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ და ეკონომიკურ პროექტებს, რაც მიზნად ისახავს რეგიონის ქვეყნებს შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარებას, სატრანსპორტო დერეფნის პოტენციალის გაზრდას. სამომავლო პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საბაჟო გამშვები პუნქტების მოდერნიზაციის, საზღვრის კოორდინირებული მართვის, ე.წ. ერთი ფანჯრის პრინციპის, ვაჭრობასთან დაკავშირებული სანიტარიული, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული კონტროლის პროცედურების რეფორმირების საკითხებს. აღნიშნულ ფორუმში, „ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამის“ ექსპერტებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ვაჭრობის ხელშეწყობის სფეროში ჩართული სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა. თბილისში გამართულ შეხვედრას, ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან ერთად უმსხვილესი სატრანსპორტო და გადამამუშავი კომპანიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

25 - 26 სექტემბერს, ქ. ალმაატში (ყაზახეთი), აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და „ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის (CAREC)“ პროგრამის სატრანზიტო სისტემის (CAREC Advanced transit System - CATS) და საბაჟო ინფორმაციის ურთიერთგაცვლის (Customs Information Common Exchange - ICE) საპილოტე პროექტის განხორციელების მიზნით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე მხარეებმა, პროექტის განსახორციელებლად, სამხრეთი (საქართველო, აზერბაიჯანი, ყაზახეთი) ხელშეკრულების ტექნიკური დეტალები მოამზადეს და დოკუმენტის პირველადი პროექტი შეიმუშავეს.

7-8 დეკემბერს, CAREC-ის ინსტიტუტის მმართველი საბჭოს მე-7 სხდომაზე, შემუშავდა ორგანიზაციის სტრატეგია, პრიორიტეტები, ოპერაციული გეგმის ანგარიში და დამტკიცდა ბიუჯეტი.

2017 წლის 30 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით, ქ. სეულში (კორეა), „აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის (CAREC)“ პროგრამისა და სამხრეთ კორეის საბაჟო ადმინისტრაციის ხელშეწყობით, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) – „ვაჭრობის ხელშეწყობის შეთანხმების“ (TFA) აღსრულებისა და „ვაჭრობის ხელშეწყობის ეროვნული კომიტეტის“ (NCTF) შესახებ სემინარი და სამუშაო შეხვედრები გაიმართა.

მიმდინარე წლის 18 – 23 ივნისს ქ. გუანჯოუში (ჩინეთი), ჩინეთის საბაჟო ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ვაჭრობის ხელშეწყობის საკითხებზე სემინარი გაიმართა. სემინარზე მონაწილე მხარეებმა განიხილეს ისეთი საკითხები როგორცაა: „ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივა“; ახალი ევრაზიული კონტინენტალური ეკონომიკური დერეფნის წახალისების მიზნით საბაჟო ადმინისტრაციების მიერ განხორციელებული ზომები; საბაჟო რისკების მართვა და ინოვაციები; ავტორიზებული ეკონომიკური სისტემები; საბაჟო საინფორმაციო ტექნოლოგიები; ციფრული საბაჟო; საბაჟო ტარიფები და სხვა. აღნიშნულ სემინარში მონაწილეობა მიიღეს: ჩინეთის, ესტონეთის, ირანის, ერაყის, ლატვიის, ლიტვის, მოლდოვას, საქართველოს, სომხეთის, სირიის და უკრაინის საბაჟო ადმინისტრაციების წარმომადგენლებმა.

2017 წლის, 12 – 13 დეკემბერს, ქ. ბანგკოკში (ტაილანდი), „ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამის (CAREC)“ ფარგლებში, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) „ვაჭრობის ხელშეწყობის შეთანხმების“ (TFA) აღსრულების შესახებ სემინარი და სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს „ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის“ წევრი ქვეყნების საბაჟო ადმინისტრაციებისა და პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. მხარეებმა ვაჭრობის ხელშეწყობის შეთანხმების განხორციელების, ხელშეკრულების შემადგენელი დებულებებისა და მუხლების კლასიფიკაციის საკითხები განიხილეს. ამასთან, CAREC-ის 2030 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების მიზნით, სხვადასხვა სახის პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარდა.

დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია – სუამი

(საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა)

31 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით, ნახიჩევანში (აზერბაიჯანი), სუამ-ის წევრი ქვეყნების (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) „ვაჭრობისა და ტრანსპორტირების ხელშეწყობის“ პროექტის მმართველი კომიტეტის 26-ე სხდომა ჩატარდა, ხოლო კიევში, სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა პრემიერ მინისტრების შეხვედრის ფარგლებში, „სუამ-ის წევრი სახელმწიფოების სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ საქონელთან და სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული, საბაჟო პროცედურების ცალკეული შედეგების ურთიერთ ცნობის თაობაზე“ მიღებულ ოქმის ხელის მოწერის ცერემონია გაიმართა.

13-14 ნოემბერს, სუამ-ის ქვეყნების „ვაჭრობისა და ტრანსპორტირების ხელშეწყობის“ პროექტის მმართველი კომიტეტის რიგით 27-ე სხდომა საქართველოში კერძოდ, კი ბორჯომში გაიმართა. შეხვედრისას, მხარეებმა სუამ-ის წევრი სახელმწიფოების სახელმწიფო საზღვრის გავლით, საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილებულ ტვირთებზე, საბაჟო სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის ოქმის პროექტი შეიმუშავეს. ამასთან, განხილულ იქნა სუამ-ის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიების გავლით სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის ტრანზიტის ხელშეწყობის შესახებ შეთანხმების პროექტი და სუამ-ის ციფრული სავაჭრო კვანძის პროექტის ძირითადი კონცეფცია.

2017 წელს, ევროპის საბჭოსა და OECD-ის ერთობლივ კონვენციას - „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ კიდევ 10 ქვეყანა შეუერთდა. შესაბამისად, საქართველოს გაუჩნდა საგადასახადო ინფორმაციის გაცვლის სამართლებრივი მექანიზმი შემდეგ ქვეყნებთან: კუკის კუნძულები, გვატემალა, მარშალის კუნძულები, ლიბანი, მალაიზია, მონაკო, პაკისტანი, პანამა, სენტ ლუსია, შვეიცარია.


თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ტექნიკური დახმარების პროექტები

24 - 27 აპრილს, შემოსავლების სამსახურმა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) რეგიონულ სემინარს უმასპინძლა. ფორუმში, 13 ქვეყნის საბაჟო ადმინისტრაციის, 9 საერთაშორისო ორგანიზაციისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. შეხვედრისას მხარეებმა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ტრანზიტის განახლებული სახელმძღვანელო განიხილეს და ეროვნულ/რეგიონული ტრანზიტის სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ პრეზენტაციები წარადგინეს. სემინარის ფარგლებში სტუმრებმა საბაჟო გამშვები პუნქტი, „წითელი ხიდი“ დაათვალიერეს და საბაჟო კონტროლის პროცედურებს ადგილზე გაეცნენ.

7 - 9 ივნისს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მხარდაჭერით, თბილისში, სასტუმრო „ბილტმორ თბილისში“ მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) საინფორმაციო ტექნოლოგიების მე-16 კონფერენცია და გამოფენა **(2017 World Customs Organization IT Conference and Exhibition)** გაიმართა. მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ასეთ მასშტაბურ ღონისძიებას საქართველომ პირველად უმასპინძლა. საინფორმაციო ტექნოლოგიების კონფერენცია და გამოფენა საბაჟო სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა და მასში, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის წევრი 180 ქვეყნის საბაჟო ადმინისტრაციების, საზღვრის მართვაში ჩართული სხვადასხვა უწყების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები მონაწილეობენ. აღნიშნულ ღონისძიებას 600-მდე დელეგატი დაესწრო. 18 ივლისს, თბილისში, შემოსავლების სამსახურის ინიციატივით, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს







ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (UNODC) მხარდაჭერით – „კონტეინერების კონტროლის პროგრამის“ ფარგლებში, ცენტრალური აზიის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ავღანეთისა და პაკისტანის საბაჟო ადმინისტრაციების ხელმძღვანელ პირებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრისას, მხარეებმა საბაჟო კუთხით რეგიონული უსაფრთხოების საკითხები განიხილეს და საქართველოში კონტეინერების კონტროლის პროგრამის დანერგვის შესახებ გამოცდილება გაიზიარეს. შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერა შემაჯამებელ დოკუმენტს და დამტკიცდა ქიმიური პრეკურსორების კონტროლის ერთობლივი რეგიონული ოპერაცია, რომელიც 2017 წლის 10-24 ოქტომბერს, წარმატებით განხორციელდა.

გემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 26 ივნისს, საბაჟო ტერმინალ „ლასარეს“ ბაზაზე საჰაერო ტვირთების კონტროლის ერთობლივი დანაყოფი შეიქმნა, რომელიც შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებით დაკომპლექტდა. დანაყოფის შექმნის მიზანია თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გავლით გადაადგილებული ტვირთებისა და მგზავრების ერთობლივი კონტროლი.

12-13 ივნისს თბილისში, მსო-ს RILO (Regional Intelligence Liaison Office) ECE-სა და შემოსავლების სამსახურის ორგანიზებით გაიმართა ეროვნული საკონტაქტო პირების (NCP) ყოველწლიური რიგით 21-ე შეხვედრა, სადაც საკონტაქტო პირებმა წარმოადგინეს ანგარიში ქვეყნის საბაჟო ადმინისტრაციაში საანგარიშო წლის მანძილზე განხორციელებული რეფორმების შესახებ; ასევე, გაცვალეს ინფორმაცია საბაჟო სამართალდარღვევების კუთხით რეგიონში არსებული მდგომარეობისა და ტენდენციების თაობაზე. 14-15 ივნისს გაიმართა შეხვედრა – „Global RILO Meeting“, რაც ითვალისწინებს მსოფლიო მასშტაბით RILO-ბის ოფისების ხელმძღვანელების შეხვედრას. ამასთან, შეხვედრის ორგანიზატორების თხოვნით, საქართველოში n-CEN-ის გამოყენების თემაზე, საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ნითელი ხიდი“ პრაქტიკული სწავლებები ჩატარდა.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის – „კონტეინერების კონტროლის პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოში მოქმედი დანაყოფების ყველა თანამშრომელს სხვადასხვა სახის სწავლება ჩაუტარდა. დასკვნით ეტაპზე გამართულ სწავლებას საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილე და დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ამავე პროგრამის ფარგლებში, 4-7 დეკემბერს, შემოსავლების სამსახურს უკრაინის სახელმწიფო ფისკალური სამსახურის დელეგაცია ესტუმრა. დელეგაციის წევრები შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვდნენ. სტუმრები, ასევე გაეცნენ კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში, თბილისსა და ფოთში მოქმედი ჯგუფების საქმიანობას.

2016 წელს, შემოსავლების სამსახურში, „მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ტვირთების შერჩევის“ ახალი სისტემა – „WCO CTS (Cargo Targeting System)“ დაინერგა. აღნიშნული სისტემის მუშაობის პროცესზე მონიტორინგის მიზნით, 2017 წლის 2-3 თებერვალს, საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო რისკების მართვის სამმართველოსა და იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა, ბათუმსა და ფოთში მოქმედი ჯგუფების წევრებთან, ასევე საზღვაო სატრანსპორტო კომპანიების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრები გამართეს. 17-21 სექტემბერს, საქართველოში ვიზიტად მყოფმა პროგრამის ხელმძღვანელმა პირებმა დადებითი შეფასება მისცეს შემოსავლების სამსახურის მიერ პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესებს. ამასთან, საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, პროგრამის სრული მხარდაჭერიდან გამომდინარე, გამოთქვეს მზადყოფნა შეიმუშაონ „ტვირთების შერჩევის სისტემის საჰაერო მოდულიც“.

28-20 ნოემბერს, საქართველოს, „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ ფარგლებში, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ვაჭრობის ხელშეწყობისა და კანონშესაბამისობის დირექტორატის ხელმძღვანელი ქალბატონი ანა ინოპოსა ესტუმრა. აღნიშნულ ფორუმში 50 ქვეყნიდან 1000-ზე მეტი დელეგატი მონაწილეობდა. დირექტორატის ხელმძღვანელმა ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და ელექტრონულ კომერციაში მიმდინარე რე-ფორმებზე ისაუბრა. ამასთან, სესიის მონაწილე დელეგატებმა დეტალურად იმსჯელეს ელექტრონული კომერციის შესაძლებლობებსა და გამოწვევებზე. ფორუმის ფარგლებში, ანა ინოპოსამ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებთან ორმხრივი შეხვედრები გამართა.

2017 წელს, **მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM)** თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა – „გაძლიერებული თანამშრომლობა დაცული საზღვრებისა და უსაფრთხო მიგრაციისთვის“ პროგრამის მეორე ფაზის საპროექტო წინადადება. პროგრამის დაწყების შემდეგ მოხდება, როგორც საბაჟოს ინსტიტუციონალურ განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელება, ასევე საბაჟო გამშვები პუნქტებზე, კონტროლისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის გადაცემა.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით, საპასპორტო კონტროლის პროცედურების შესახებ, საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომელთათვის რამდენიმე სწავლება გაიმართა.

2017 წლის დეკემბერში, ორმაგი დანიშნულების საქონლისათვის, 2018-2020 წლების პერიოდზე, ევროკავშირის P2P ექსპორტის კონტროლის პროგრამის მეორე ფაზა დამტკიცდა. პროგრამას ახორციელებს კონსორციუმი: საფრანგეთის ექსპერტიზის ცენტრი, საფრანგეთის ეკონომიკის სამინისტრო, გერმანიის ფედერალური ექსპორტის კონტროლის ოფისი, ლიუჟის უნივერსიტეტი და ლონდონის „King's College“. აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლას ეფექტური ექსპორტის კონტროლის სისტემებისა და თანამედროვე ტექნოლოგიური მიდგომების გამოყენებით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)

2012 წლიდან 2017 წლამდე, შემოსავლების სამსახურში, ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, საგადასახადო ადმინისტრაციის რეფორმების მხარდაჭერის მიზნით საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალურ საქმეთა დეპარტამენტის ექსპერტები მუშაობდნენ.

2017 წელს შემოსავლების სამსახურსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალურ საქმეთა დეპარტამენტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც დაიწყო სავალუტო ფონდის მიერ დაფინანსებული შემოსავლების მობილიზაციის ტექნიკური დახმარების სამწლიანი პროექტი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2017-2020 წლებში, შემოსავლების სამსახურში, პროექტის ფარგლებში დაიწყო მუშაობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეზიდენტმა მრჩეველმა. ტექნიკური დახმარების პროგრამით განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურში ყოველ წელს ხუთი მოკლევადიანი მრჩეველის ვიზიტი, მხარეთა შორის წინასწარ განსაზღვრული მიმართულებებით. ხუთწლიანი წარმატებული თანამშრომლობის გარდა აღნიშნული პროექტის დაწყება განაპირობა საგადასახადო ადმინისტრაციების სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით ფისკალურ საქმეთა დეპარტამენტის ექსპერტების მიერ მომზადებულმა ანგარიშმა. მასში ასახული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, შემუშავებულ იქნა ზემოხსენებული სამწლიანი ტექნიკური დახმარების გეგმა. სსფ-სა და სამსახურს შორის თანამშრომლობა არის სტრატეგიული მნიშვნელობის და უწყებაში მდგრადი სისტემის განვითარებას ემსახურება.

Good Governance Fund

2017 წელს, „კარგი მმართველობის ფონდისა“ (GGF) და „PricewaterhouseCoopers-ის“ (PWC) დაფინანსებით, შემოსავლების სამსახურში ახალი პროექტი დაიწყო. აღნიშნული პროექტის მიხედვით დახმარება განხორციელდება სხვადასხვა ფორმით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურს მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესის დანერგვასთან დაკავშირებით, ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, დღგ-ის ნაწილში კანონმდებლობასთან ჰარმონიზებაში, რისკებისა და აუდიტის მიმართულებით რეფორმების გატარებაში, ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებაში, საერთო მონაცემთა დამუშავებაში, ფულის გათვრება/სათამაშო ბიზნესის მიმართულებითა და ადამიანური რესურსების მართვა/განვითარების კუთხით.

USAID G4G

შემოსავლების სამსახური აქტიურად აგრძელებს თანამშრომლობას ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) მიერ უკვე ჩამოყალიბებულ მიმართულებებზე. ამასთან, დახმარება მოიცავს დღგ-ს კანონმდებლობის ჰარმონიზაციაში მხარდაჭერას, ე.წ. „ესტონური მოდელის“ დანერგვაში კონსულტაციებს, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ინსტიტუტის ჩამოყალიბებასა და სხვა მნიშვნელოვანი კვლევების ორგანიზებას.

IOTA

შემოსავლების სამსახური არის საგადასახადო ადმინისტრაციათა შიდა ევროპული ორგანიზაციის წევრი და აქტიურად მონაწილეობს მისი ეგიდით გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებში, რომლის მიზანია ქვეყნებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. 2017 წელს, შემოსავლების სამსახურის 20 თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა IOTA-ს ეგიდით გამართულ საერთაშორისო სემინარებსა თუ სამუშაო შეხვედრებში ჩართულობით.

15-16 მარტს, შემოსავლების სამსახურმა, საგადასახადო ადმინისტრაციების შიდა ევროპული ორგანიზაციის (IOTA) საკონტაქტო პირების რიგით 24-ე ფორუმს უმასპინძლა.

2017 წლის 28-30 ივნისს, ქალაქ კიევში, გამართულ გენერალურ ასამბლეაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, შემოსავლების სამსახურის უფროსი გიორგი თაბუაშვილი, საქართველო ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრად, ერთი წლის ვადით აირჩიეს.

Organization for Economic Cooperation and Development (OECD) Base Erosion and Profit Shifting (BEPS)

2016 წელს, საქართველო, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და დიდი ოცეულის (G 20) მიერ ინიცირებულ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) ინკლუზიურ პლატფორმას შეუერთდა, რითაც მინიმალური სტანდარტის დანერგვის ვალდებულება აიღო. გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და შემოსავლების სამსახური წარმოდგენილნი არიან OECD-ის I, VI, X და XI სამუშაო ჯგუფებში.

BEPS-ის პროექტის ერთ-ერთი საკითხია სახელმწიფოთა შორის ანგარიშგება (CBC, Country-by Country Reporting). ამ საკითხთან დაკავშირებით, შემოსავლების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების შიდა შემოსავლების სამსახურთან (IRS) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD).

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 5-7 აპრილს, BEPS-ის ინკლუზიური პლატფორმის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების რიგით მეორე რეგიონულ შეხვედრას, საქართველომ უმასპინძლა. BEPS-ის ფარგლებში ეს მეორე საერთაშორისო ღონისძიება იყო.

ამასთან, მიმდინარე წლის ოქტომბერში, საქართველოში, OECD-ის საგადასახადო პოლიტიკის და ადმინისტრირების დეპარტამენტთან ერთად ტექნიკური დახმარების პროგრამა დაიწყო. პროგრამის ფარგლებში, შეიქმნა სამოქმედო გეგმა და გაიწერა BEPS-ის მინიმალური სტანდარტის იმპლემენტაციის საკითხები, გამოიკვეთა დონორები და პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქმედებების განხორციელებასა და იმპლემენტაციის პროცესში დახმარებას გაუწევენ.

World Bank

საქართველომ მიმდინარე წელს, ასევე მიიღო ტექნიკური დახმარების პროგრამა მსოფლიო ბანკისგან (WB), რომელიც სხვადასხვა საკითხებთან ერთად საქართველოს დახმარებას გაუწევს BEPS-ის მინიმალური სტანდარტის იმპლემენტაციის საკითხებში.

ამასთან, მიმდინარე წლის 6-10 ნოემბერს, თბილისში, ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში, მსოფლიო ბანკის ჯგუფის ორგანიზებით, BEPS-ის იმპლემენტაციის საკითხებზე, სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე, რომელსაც მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები ესწრებოდნენ სამოქმედო რუკა შედგა, რის მიხედვითაც მოხდება შემდგომი დახმარებების იდენტიფიცირება.

საქართველო 2011 წლიდან არის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის წევრი. ამასთან, საქართველო 2020 წლამდე ვადით, არჩეულ იქნა Global Forum-ის ერთ-ერთი სამუშაო ჯგუფის - ექსპერტთა შემფასებელი ჯგუფის (Peer Review Group) წევრად. აღნიშნული ჯგუფში შესულია 30 წევრი სახელმწიფოს საგადასახადო ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

2017 წელს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების მიერ მოხდა ბელგიისა (ფრანგულენოვანი) და ჯერსის (ინგლისურენოვანი) საგადასახადო იურისდიქციის საკანონმდებლო ჩარჩოსა და პრაქტიკის შეფასება.

ინფორმაციის ავტომატური გაცვლის სამუშაო ჯგუფი (AEOI)

შემოსავლების სამსახური, 2015 წლიდან, აქტიურად არის ჩართული Global Forum-ის ინფორმაციის ავტომატური გაცვლის სამუშაო ჯგუფში. საქართველო, როგორც სამუშაო ჯგუფის წევრი ქვეყანა, გლობალური ფორუმის წევრი სახელმწიფოების კონფიდენციალურობის დაცვის შეფასებასა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვებში მანდატის ფარგლებში მონაწილეობს.

უწყება, ასევე ჩართულია OECD-ის მე-10 სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში და როგორც AEOI ჯგუფის წევრი მონაწილეობას იღებს საფინანსო ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში გაცვლის გლობალური სტანდარტის შემუშავებასა და სახელმწიფოთა მიერ, მათი ეფექტური დანერგვის/იმპლემენტაციის პროცედურების განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 17-18 ოქტომბერს, შემოსავლების სამსახურმა ინფორმაციის ავტომატური გაცვლის რეგიონულ შეხვედრას უმასპინძლა.

OECD/UNDP-ის ერთობლივი პროექტი, საგადასახადო ინსპექტორები საზღვრებს გარეშე (TIWB)

2017 წლიდან, შემოსავლების სამსახური ზემოაღნიშნულ პროგრამაში ჩაერთო. პროგრამის ფარგლებში, საქართველოში უკვე 3 მისია გაიმართა. აღნიშნული მისიის ფარგლებში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ექსპერტი შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო კონტროლირებელი ოპერაციების სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად მუშაობს სატრანსფერო ფასწარმოქმნის აუდიტზე და თავის გამოცდილებას უზიარებს ქართველ კოლეგებს. აღნიშნული პროექტი გაგრძელდება 2018 წლის პირველი ნახევრიდან.

თანამშრომლობა OECD -ის საგადასახადო ადმინისტრაციების ფორუმთან

საგადასახადო ადმინისტრაციების ფორუმის სამდივნოს მოწვევით, შემოსავლების სამსახურის უფროსმა, 27-28 სექტემბერს, დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობა მიიღო საგადასახადო ადმინისტრაციების ფორუმის ყოველწლიურ შეხვედრაში. ამჟამად, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ფორუმთან თანამშრომლობის გაფართოების მიზნით.

REVENUE
SERVICE



შემოსავლების
სამსახური

მომსახურების დეპარტამენტი



#მარტივიელექტრონულისერვისები



ძვირფასო მეგობრებო,

მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ, 2017 წელს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.

ჩვენი დეპარტამენტის მიზანია – უზრუნველყოს მარტივი, სწრაფი, სანდო და მომხმარებელზე მაქსიმალურად ორიენტირებული მომსახურების მიწოდება, რათა მომხმარებელმა, საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად, ნაკლები დრო და ენერგია დახარჯოს.

2017 წელს, მომსახურების გაუმჯობესების და გაფართოების, ასევე საგადასახადო კულტურის დანერგვის და ცნობადობის ამაღლების კუთხით, არაერთი ღონისძიება განხორციელდა.

2017 წელს, მომსახურების დეპარტამენტი ორიენტირებული იყო იმაზე, რომ შეთავაზებული სერვისები ყოფილიყო მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და გათვლილი ყველა კატეგორიის მომხმარებელზე.

დეპარტამენტის მიერ გაწეული პროფესიონალური მომსახურება და კონსულტირება თანამშრომელთა კვალიფიკაციის შედეგია; მოხარული ვარ, რომ წარმოვადგენ იმ გუნდს, რომლისთვისაც პრიორიტეტული მიმართულება არის მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობების არეალის გაძლიერება. ეს გუნდი მზად არის, დეპარტამენტის საქმიანობაში ქმედითი და შედეგზე გათვლილი წვლილი შეიტანოს.

ასევე ხაზგასასმელია მომხმარებლებთან ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა და კოორდინაცია, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა მომსახურების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების იმპლემენტაცია.

ჩვენ, ყველას, საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობაზე ბრუნვა და მისი უკეთესი მომავლის შექმნის მიზანი გვაერთიანებს და ამ სულისკვეთებით ვაგრძელებთ დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

2018 წელი იქნება უფრო მეტი წარმატების და სასიკეთო შედეგის მიღწევის პერიოდი.

პატივისცემით,
გიორგი ბუმბუტიშვილი
მომსახურების დეპარტამენტის უფროსი

2017 წელს, მოქალაქეთა მომსახურების სერვისცენტრებში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 679,529

2017 წელს, მოქალაქეთა მომსახურების სერვისცენტრებში მიღებული და დამუშავებული იქნა გადამხდელთა მიერ წარმოდგენილი 180-მდე სხვადასხვა შინაარსის **273,791** ელექტრონული განაცხადი.

2017 წელს, მომსახურების დეპარტამენტის საინფორმაციო სატელეფონო ცენტრის ოპერატორებმა, როგორც საგადასახადო, ისე საბაჟო კანონმდებლობის საკითხებთან დაკავშირებით 302,434 მომხმარებელს გაუწიეს კვალიფიციური კონსულტაცია.

2016 წელთან შედარებით მომხმარებელთა რაოდენობა 78,000 ზარით არის გაზრდილი.

შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე, გადასახადის გადამხდელთა მიერ, დისტანციურად განხორციელდა ვიდეოაქტივაციის 1,522 პროცედურა.

მოთხოვნის შესაბამისად, გადასახადის გადამხდელებს, ელექტრონული ფორმით გადაეგზავნათ **565** ნორმატიული აქტი/ამონარიდი ნორმატიული აქტიდან.

მომზადდა და საინფორმაციო სატელეფონო ცენტრის მონაცემთა ბაზას დაემატა **148 სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.**

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა საინფორმაციო სატელეფონო ცენტრის ინფრასტრუქტურისა და სერვისების განახლება. ამასთან, რეალურ რეჟიმში ინფორმაციის მისაღებად, იგეგმება უახლესი ონლაინ საკომუნიკაციო არხების დანერგვა.

მოძრავი სერვისცენტრის – RS CAR-ის საშუალებით, გადასახადის გადამხდელებს შესაძლებლობა აქვთ, მათთვის მოსახერხებელ ადგილას, დასახლებული პუნქტიდან გაუსვლელად, დროულად მიიღონ სასურველი მომსახურება. მოძრავი სერვისცენტრი მომხმარებელს ყოველთვიურად 36 ლოკაციაზე, იმ რეგიონებში ემსახურება, სადაც შემოსავლების სამსახურის სერვისცენტრები არ არის განთავსებული, მათ შორის მაღალმთიან რეგიონებში.




2017 წელს, RS CAR

7 739

მენარმე სუბიექტს მოემსახურა

2017 წელს, საგადასახადო კანონმდებლობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, საქართველოს მასშტაბით 31 რეგიონში „ღია კარის დღეების“ ფორმატში, გადასახადის გადამხდელთათვის შეხვედრები გაიმართა. შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესის თაობაზე და ავანსით დაბეგვრის რეგულაციებზე.

საგადასახადო კანონმდებლობის განმარტებასთან დაკავშირებით, კონსულტაციის განცვის მიზნით, ელექტრონული ფორმით (www.info@rs.ge) შემოსული/განხილული იქნა **16,240** წერილი, ხოლო მატერიალური ფორმით – **1,541** წერილი.



განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, განახლდა www.rs.ge-ზე „ხშირად დასმული შეკითხვების“ გვერდი;

დასრულდა საგანმანათლებლო პროექტი – „გადავიხადოთ გადასახადი უკეთესი მომავლისათვის“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის სხვადასხვა შინაარსის საინფორმაციო/სასწავლო კურსი ჩატარდა;

გადამხდელთათვის აქტუალური საკითხების განხილვის მიზნით, ასევე დაინტერესებულ პირებთან შეხვედრების ორგანიზებისა და რეგისტრაციის მიზნით, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე – www.rs.ge ამოქმედდა „საგადასახადო ფორუმი“.

2017 წელს, 1,085 გადასახადის გადამხდელს ბიუჯეტიდან 224,900,000 ლარის ოდენობის ზედმეტად გადახდილი თანხა დაუბრუნდა;

მათ შორის, ავტომატურად დაბრუნების სერვისით 78 გადამხდელს 10,000,000 ლარი დაუბრუნდა.

შესწავლილი იქნა **3,145** გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა;

საბაჟო სფეროში განხორციელდა **2,584** გადამხდელის ინფორმაციის შედარება;

მომზადდა და გაიცა **247** საჯარო ინფორმაცია;

განხორციელებულ სასაქონლო ოპერაციებზე - **1,504** ცნობა გაიცა, ხოლო საგადასახადო შეღავათების მიღების მიზნით - **58** ცნობა გაიცა;

ფიზიკური პირების მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ **420** მონაცემი გაიცა;

2017 წელს, 2,168 გადამხდელს სსკ-ს 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის შესაბამისად, ჩამოენერა დავალიანება თანხით 283,297,709 ლარი, ხოლო სსკ 309-ე მუხლის 45-ე ნაწილის საფუძველზე განხორციელდა 11 ადმინისტრაციული წარმოება.

დეკლარაციების/გაანგარიშებების დაგვიანებით წარდგენის და ინფორმაციის წარუდგენლობისთვის, შემონმშებული იქნა **56,033** პირი, საიდანაც შედგენილია **13,778** ოქმი/ ბრძანება სანქციის დარიცხვის თაობაზე თანხით – **4,672,867** ლარი;

დღგ-ის რეგისტრაციის დაგვიანების გამო, შესწავლილი იქნა **602** გადასახადის გადამხდელი, რის საფუძველზეც შედგა **521** ოქმი/ბრძანება სანქციის დარიცხვის თაობაზე, თანხით – **1,160,200** ლარი;

2017 წელს, საჯაროდ გამოქვეყნდა 13,139 საგადასახადო მოთხოვნა;



2017 წელს, გადასახადის გადამხდელებთან დაიგზავნა ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის მოთხოვნები: გადამხდელის ელ/გვერდზე 132,220 მოთხოვნა; ფოსტით I გაგზავნა – 53,638 მოთხოვნა; ფოსტით II გაგზავნა – 18,507 მოთხოვნა;

2017 წელს, მეწარმე სუბიექტებთან გაგზავნა 14,050 სხვადასხვა სახის საგადასახადო ვალდებულებების შეხსენებითი შეტყობინება;

აღნიშნული აქტით გადამხდელს საგადასახადო სამართალდარღვევის გამოსწორებისთვის ეძლევა ვადა 2 სამუშაო დღე. ამ ვადის მოქმედების პერიოდში, აღნიშნული დარღვევისთვის გადასახადის გადამხდელი არ ჯარიმდება;

ახლად დარეგისტრირებულ 29,934 ორგანიზაციას, მათი საქმიანობის საწყის ეტაპზე, უბნის ოფიცერთა სამმართველოს ოფიცრების მიერ, ადგილზე გასვლით/ტელეფონით, საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით, კონსულტაცია გაენიათ;

9,554 გადამხდელთან განხორციელდა ვადაგასული ან/და შემდგომი მიწოდებისთვის უვარგისი სასაქონლო/მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტის დადასტურება, რითაც გადამხდელს საშუალება მიეცა – ბალანსიდან ჩამოეწერა უვარგისი, გაფუჭებული საქონელი და თავიდან აერიდებინა ამ საქონლის დაბეგვრით გამოწვეული ზედმეტი საგადასახადო ტვირთი. აგრეთვე, მოხდა 372 საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლის განადგურების შესახებ განცხადების უზრუნველყოფა;



2017 წელს, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, დაუძლეველი ძალის (ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი) შედეგად დაზარალებულ 149 გადასახადის გადამხდელს, ბალანსიდან სრულად ჩამოეწერა განადგურებული/დაკარგული სასაქონლო/მატერიალური ფასეულობები ღირებულებით - 9,930,742ლარი; აღნიშნული პროცესი, დაზარალებული პირების დახმარების კუთხით, გრძელდება;

2,209 გადასახადის გადამხდელს ადგილზე ჩაბარდა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის დამადასტურებელი სერთიფიკატი და გაენია შესაბამისი კონსულტაცია;

უბნის ოფიცერთა მიერ, შედგენილ იქნა 193 სამართალდარღვევის ოქმი (რეგისტრაციის/სალარო აპარატის გარეშე საქმიანობაზე, რეგისტრაციის მოწმობის/ ფასმაჩვენებლების თვალსაჩინო ადგილას გამოუკვრელობაზე) თანხით – 23,500 ლარი;

82 620 გადასახადის გადამხდელის ობიექტებში განთავსდა შესაბამისი უბნის ოფიცრის/სექტორის უფროსის რეკვიზიტები, რაც გადასახადის გადამხდელს ეხმარება, საჭიროების შემთხვევაში, უბნის საგადასახადო ოფიცერთან დაკავშირებასა და დახმარების მიღებაში;



აზარტული და მომგებიანი თამაშების მოწყობის მიზნით, 2017 წელს, გაიცა 118 ნებართვა, საიდანაც, სანებართვო მოსაკრებლის სახით, ბიუჯეტში 28,745,000 ლარი შევიდა;

დაბეგვრის სპეციალური (შეღავათიანი) რეჟიმებით სარგებლობის მიზნით, მენარმე სუბიექტებზე ცალკეული სტატუსების მინიჭების პროცესი განხორციელდა: მიკრობიზნის სტატუსი – **4,736** გადამხდელზე, მცირე ბიზნის სტატუსი – **9,943** გადამხდელზე, ფიქსირებულის სტატუსი – **2,273** გადამხდელზე;

იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებისგან გათავისუფლების მიზნით, **137** გადასახადის გადამხდელის საიმპორტო საქონელს ჰუმანიტარული დახმარების სტატუსი მიენიჭა, ხოლო **324** გადასახადის გადამხდელის საიმპორტო საქონელს – გრანტის სტატუსი;

**TAX
FREE**

2017 წლის 12 თვეში,
TAX FREE-ის
გამოყენების უფლება,
810 სავაჭრო ობიექტზე,

252
პირს მიენიჭა

2017 წელს, 17 ორგანიზაციას საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი მიენიჭა;

მაღალმთიანი დასახლების სანარმოს სტატუსის მინიჭების მიზნით, განხილულ იქნა **205** განაცხადი, საიდანაც, მთავრობის განკარგულებით, **142** გადამხდელს მაღალმთიანი დასახლების სანარმოს სტატუსი მიენიჭა. აღნიშნული სტატუსის გადამხდელები სარგებლობენ საგადასახადო კოდექსით დადგენილი შეღავათებით; ისინი 10 კალენდარული წლის განმავლობაში საშემოსავლო, მოგებისა და ქონების გადასახადებისგან თავისუფლებიან;

განხილულ და დადასტურებულ იქნა **2,161** განაცხადი აქციზური/არააქციზური მარკების მოთხოვნაზე; შესაბამისად, განხორციელდა **1,122,229,323** მარკის გაცემის ორგანიზება;

ჩატარდა, 111 მოთხოვნის შესაბამისად, დროებითი ექსპორტის რეჟიმში გასაშვები აქციზური მარკების ნიშანდება/დალუქვა;

დაკმაყოფილდა გამოუყენებელი მარკების დაბრუნებაზე შემოსული 38 განაცხადი; ასევე ორგანიზება გაენია აქციზური/არააქციზური მარკების მოძრაობის აღრიცხვის ბაზაში 579 ცვლილებას/დამატებას/ახალი მომხმარებლის რეგისტრაციას;



2017 წელს საკონტროლო სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრში შეტანილ იქნა 2 მოდელის აპარატი და დღეის მდგომარეობით სულ მოქმედია 11 მოდელის საკონტროლო სალარო აპარატი;

2017 წელს, რეგისტრირებულია 51,089 საკონტროლო/სალარო აპარატი;

ჩვეთან გათანაბრებული დოკუმენტების აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით, გადასახადის გადამხდელთა ვებ-პორტალზე, ჩვეთან გათანაბრებული აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი შეიქმნა;

გადამხდელთა მიერ მიკრო და მცირე ბიზნის სტატუსების საქმიანობის წესის დარღვევისთვის, 233 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი შედგა;

2017 წელს, საქართველოს რეზიდენტობა მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილ 22 ფიზიკურ პირს მიენიჭა;

საქართველოს მთავრობასა და სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, 1,700 ცნობა გაიცა;




2017 წელს Privé მომსახურებით სარგებლობდა 300-ზე მეტი მსხვილი/საშუალო ზომის საწარმო. ამასთან, 2012 წლიდან, Privé სერვისით მოსარგებლე საწარმოთა რიცხვი გაიზარდა

და კონტრაქტორი კომპანიების მიერ განუწყვეტლივ ხდება ხელშეკრულებების გაგრძელება, რაც კომპანიების კმაყოფილების კვლევის მაღალ მაჩვენებელზე მეტყველებს. პირადი საგადასახადო მრჩეველი გადასახადის გადამხდელს მომსახურებას უწევს მისთვის სასურველ დროს/ადგილას, ასევე დისტანციურად: ტელეფონით, ვიდეოთვალით, ელ. ფოსტით, Live Chat-ით;

საგადასახადო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, სერვისით მოსარგებლე პირებთან, ღია კარის დღის ფორმატში, საინფორმაციო/საკონსულტაციო ტიპის შეხვედრები მოეწყო, სადაც ხუთასამდე დაინტერესებულმა პირმა მიიღო მონაწილეობა;

2017 წელს, შემოსავლების სამსახურმა, სამთავრობო პროგრამის ფარგლებში - „აწარმოე საქართველოში“ - შექმნილ ახალ საწარმოებს, მომდევნო 6 თვის განმავლობაში, Privé სერვისით უსასყიდლოდ მომსახურება და ბიზნეს საქმიანობის სწორად/ ეფექტიანად წარმართვაში დახმარება შესთავაზა.





საბაჟო გამშვები პუნქტი ყაზბეგი

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი

#ციფრულისაბაულო



მინდა წარმოგიდგინოთ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ, 2017 წელს განხორციელებული აქტივობების მცირე ჩამონათვალი, ჩვენი გუნდის მიერ შექმნილი პროდუქტები და პროგრამული მოდულები.

მთელი წლის მანძილზე, ჩვენი დეპარტამენტი, სხვა დეპარტამენტებთან ერთად, აქტიურად იყო ჩართული საგადასახადო თუ საბაჟო პროცედურების სრულყოფის პროცესებში და იმ მიზნების მიღწევაში, რომლებიც ნათლად არის ასახული შემოსავლების სამსახურის 2017-2020 წლების სტრატეგიულ გეგმაში.

მინდა ავღნიშნო რამდენიმე მნიშვნელოვანი და უკვე განხორციელებული პროექტი.

- არსებული სერვერების ინფრასტრუქტურის განახლება, რის შედეგადაც მივიღეთ ელექტრონული სერვისების მდგრადობა და უწყვეტობა;
- კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებთან, ინფორმაციის გაცვლის ახალი პლატფორმების შემუშავება, რომელიც მნიშვნელოვნად ამარტივებს გადასახადის გადამხდელების ურთიერთობას სხვადასხვა საჯარო თუ საფინანსო ინსტიტუტებთან;
- გადამხდელის ელექტრონული პორტალის – <https://eservices.rs.ge> მოდერნიზაცია, მომხმარებლისთვის სამართავ პანელზე ახალი ფუნქციებისა და მოდულების დამატება.

ჩვენი გუნდი მუდამ მზად არის ახალი, ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად და იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც შემოსავლების სამსახურის მიერ სტრატეგიული გეგმის დოკუმენტშია დეკლარირებული.

პატივისცემით,
ნოდარ კაკრიაშვილი
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის უფროსი

გადამხდელზე ორიენტირებული პროექტები

→ განახლდა და გაძლიერდა სერვერული/გამოთვლითი ინფრასტრუქტურა და გადამხდელისთვის შეიქმნა მეტად კომფორტული და უწყვეტი ბიზნეს გარემო;

ელექტრონული სერვისების გვერდი **eservices.rs.ge**

- ✓ განახლებული დიზაინი, გამარტივებული ნავიგაცია და მომხმარებელზე ორიენტირებული სამუშაო გარემო. ვებგვერდს დაემატა ახალი ჩანართი „აუდიტი“, სადაც თავმოყრილია ყველა დოკუმენტი თუ მიმონერა გადამხდელსა და აუდიტორს შორის. ფუნქცია ჩანართს დაემატა „ზოგადი ინფორმაცია“ ფიზიკური/იურიდიული პირებისთვის უძრავი ქონების, კომპანიის დამფუძნებლებისა და აუქციონზე შეძენილი საქონლის შესახებ. აღნიშნულ პორტალს ასევე, დაემატა ინფორმაცია საბაჟო სისტემებზე ნაღდი ფულის მოძრაობის შესახებ და საქონლის შენახვის ადგილების კლასიფიკატორი;
- ✓ შეიქმნა ახალი მომსახურება, რისი საშუალებითაც შესაძლებელია, შეიქმნას სხვადასხვა შინაარსის ჯგუფები და მოხდეს სხვადასხვა ტიპის იტერაცია. მაგალითად, შესაძლებელია გაიგზავნოს, როგორც საინფორმაციო, ასევე სავალდებულო შინაარსის შეტყობინება;

→ ელექტრონული დეკლარაციების ახალი ვერსიების შექმნა - გადასახადების ადმინისტრირების წარმოების წესის დამატებითი რეგულაციების შესაბამისად, ელექტრონული დეკლარაციების ახალი ფორმების მომზადება.

მომხმარებლების ადმინისტრირება

შეიცვალა გადამხდელის გვერდზე მომხმარებლების მართვის მოდული. ქვემომხმარებლად შესაძლებელია გამოცხადდეს ავტორიზებული ფიზიკური/იურიდიული პირი. ფიზიკური პირის შემთხვევაში, მომხმარებელს თავისი პორტალიდან საშუალება ეძლევა, ისარგებლოს სხვა გადამხდელის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებებით. იურიდიულ პირს შესაძლებლობა აქვს, მასზე განერილი უფლებებით, შექმნას გადამხდელის ქვემომხმარებლები;

უწყებათაშორისი ელექტრონული დოკუმენტბრუნვა (კომუნიკატორი)

შემოსავლების სამსახურის საქმიანობის პროცესში საჭირო გახდა ზემოაღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის მომზადება, რომლის საშუალებითაც გადასახადის გადამხდელს საშუალება ექნებათ, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის გამოყენებით, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში გადაგზავნონ/მიიღონ წერილები;

ფინანსური ანგარიშგების ფორმები

გადამხდელები, რომლებიც ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს წარუდგენენ ფინანსური ანგარიშგებების შესახებ ინფორმაციას, შეუძლით, გადამხდელის ელექტრონული გვერდიდან შეავსონ, როგორც ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია, ასევე ფინანსური ანგარიშგების ფორმები;

ETIR / IRU პროექტი

ინფორმაციის გაცვლის ელექტრონული სისტემა ავტომატიზაციის ტრანზიტის შესახებ;

ტირ-პარკის ვებსერვისები

საბაჟო გამშვებ პუნქტებთან მდებარე ავტოსადგომებზე რიგების მდგომარეობის შესახებ, ინფორმაციის გაცვლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რიგის მონესრიგებას;

eCustoms-ის სისტემაში საქონლის XML გენერაციის პროცედურები

გაფორმების ეკონომიკურ ზონაში საქონლის შესახებ ინფორმაციის ავტომატური გენერირება;

პროექტი „ფორუმი“

მოხდა ფორუმის განახლება და ახალი ფუნქციების დამატება;

პორტალი საბანკო დანესებულებებისთვის

საბანკო კრედიტის/სესხის ან მისი ნაწილის საქართველოს ეროვნულ ვალუტაში კონვერსიის პროგრამის ფარგლებში, ფიზიკური პირის შემოსავლის შესახებ ინფორმაციის გადამოწმება;

ღია ავტორიზაცია

სხვა უწყებამ, თავის სისტემაში, ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის ავტორიზაცია შესაძლებელია განახორციელოს, შემოსავლების სამსახურში ელექტრონული მომსახურებით სარგებლობისთვის მიღებული მომხმარებლის სახელითა და პაროლით;

საფოსტო გზავნილები

დათვალიერების ოქმის საფუძველზე, შესაძლებელია გზავნილების რეგისტრაცია/აღრიცხვის სერვისის უზრუნველყოფა, რისკების დადგენა და დათვალიერების ოქმის პორტალზე მიღება;

წინასწარი შეტყობინებების აღრიცხვა

წინასწარი შეტყობინებების რეგისტრაციისა და აღრიცხვის მოდულს დაემატა საერთო შესვლის დოკუმენტი - ფორმა 4, რომელსაც აქვს მხოლოდ იმპორტის სასაქონლო ოპერაცია. საერთო შესვლის დოკუმენტისთვის, მომზადდა შესაბამისი მონიტორინგის გეგმა. საბაჟო საზღვარზე შემოსვლისას, პროდუქცია, მეზაჟე ოფიცრისგან დამოუკიდებლად გაივლის სისტემურ კონტროლს. ამასთან, შემუშავდა ლაბორატორიაში გასაგზავნი ნიმუშის ოქმის ფორმა, რომელიც მეზაჟემ უნდა შეავსოს მონიტორინგის გეგმაში მოხვედრილი საქონლის შესაბამისად;

ელექტრონული განცხადები

აღნიშნულ განაცხადს, დაემატა QR კოდი, რაც იძლევა საშუალებას, დადგინდეს დოკუმენტის იდენტურობა და მარტივად მოხდეს მისი გადამოწმება;

გადამხდელის პორტალი

განხორციელდა სურსათის ეროვნული სააგენტოს და გარემოს დაცვის სამინისტროს საქმიანობებისთვის საჭირო განცხადებების წარდგენის ფუნქციონალი;

პროექტი - „ბიზნეს სახლი“

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, შექმნილია სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის ელექტრონული განცხადებების რეგისტრაციის სისტემა;



შიდა პროდუქტები

ინვენტარიზაციის პროგრამა

შექმნილი ინვენტარისა და სახარჯი მასალების აღრიცხვის სისტემა;

ექსპერტიზის ელექტრონული სისტემა - ფორმა 2

საბაჟო ოფიცრებისთვის, შემუშავდა ექსპერტიზის დასკვნის ელექტრონული სისტემა;

მოთხოვნების და ოქმების აღრიცხვა

შემუშავდა საგადასახადო მოთხოვნებისა და სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ერთიანი რეესტრი, რომელშიც გადამხდელზე ჩაბარებული დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია აღირიცხება. სისტემაში, ასევე გათვალისწინებულია ფოსტიდან მობრუნებული დოკუმენტის ხელმეორედ გაგზავნისა და საჭაროდ გამოქვეყნების ფუნქციები;

აღსრულების ეროვნული ბიუროს წერილების რეესტრი

შემუშავდა აღსრულების ეროვნული ბიუროდან შემომავალი წერილების აღრიცხვის სისტემა;

უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მიღება

შემუშავდა უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მისაღებად წარსადგენი განაცხადი და ასეთი სტატუსის მქონე პირების აღრიცხვის მოდული;

ქონების დაყადაღება

არსებულ პროგრამულ მოდულში განხორციელდა ახალი მოთხოვნების ინტეგრაცია და მესამე პირების რეესტრის წარმოება;

ინსპექტირების აქტი

“eCustoms“-ის სისტემაში შემუშავდა დეკლარაციებზე ინსპექტირების აქტის შედგენა და რეგისტრირებული აქტების შესახებ ინფორმაციის ვიზუალიზაცია;

“eCustoms “

საბაჟო დეკლარაციების შემსვები ორგანიზაციებისა და მათი სახელით უფლებამინიჭებული ფიზიკური პირების საძიებო სისტემა. სისტემის მიზანია, საბაჟო დეპარტამენტის შესაბამის სამსახურს გაუმარტივოს მომხმარებელთა მართვა;

ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაცია

არსებულ პროგრამულ მოდულში განხორციელდა ახალი მოთხოვნების ინტეგრაცია; კონტროლზე აყვანილი დეკლარაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; გამშვები პუნქტების და გაფორმების ადგილების კლასიფიკატორები);

ყადაღის აქტი

არსებულ პროგრამულ მოდულში განხორციელდა ახალი მოთხოვნების ინტეგრაცია (ქონების ნუსხის ბეჭდვა, ყადაღის აქტის საბეჭდი ფორმა, ექსპერტის შემსრულებელი, გადამხდელთან გაგზავნილი შეტყობინება, AN-DROID აპლიკაცია, ექსპერტის დასკვნა, აქტის საბეჭდი ვერსია);

გზავნილების სერვისები

საქართველოს ფოსტასთან ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლის სისტემა, რომელიც საფოსტო გზავნილების შესახებ ინფორმაციის ელექტრონულად მიმოცვლას უზრუნველყოფს;

საჯარო სამსახურის ბიურო

დეკლარაციის პროცესის სრულყოფისთვის ინფორმაციის მიღება/გაგზავნის სისტემა;

მიგრაციის სააგენტოს სერვისები

გადამხდელის შესახებ სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდება;

აუდიტის აქტების აღრიცხვის სისტემა

დაემატა დასრულებული აქტის განსაზღვრის საშუალება; ასევე, გადამხდელის გვერდზე აუდიტის აქტის და საგადასახადო მოთხოვნის ერთდროულად გადაგზავნის ფუნქცია.



REVENUE SERVICE



შეშორებული სავაჭრო

REVENUE SERVICE
შეშორებული სავაჭრო

P

აუდიტის დეპარტამენტი





მოგესალმებით, მეგობრებო!

მოხარული ვარ, რომ მეძლევა საშუალება, წარმოგიდგინოთ ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის მოკლე ანგარიში.

2017 წელი, კიდევ ერთი წარმატებული წელი იყო აუდიტის დეპარტამენტისთვის; იყო მრავალი გამოწვევა და სიახლე. რეორგანიზაციის შედეგად შეიცვალა სტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენზე დაკისრებული მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ფუნქციების წარმატებით შესრულებას. მოხარული ვარ, რომ წარმოვადგენ იმ გუნდს, რომლისთვისაც პრიორიტეტული მიმართულება არის და მომავალშიც იქნება, საგადასახადო შემოწმების პროცესში, როგორც გადასახადის გადამხდელის კანონიერი უფლებების, ასევე სახელმწიფოს ინტერესების დაცვა; გადასახადის გადამხდელის მეთად ჩართულობა საგადასახადო შემოწმების პროცესის დაწყებიდან დასრულებამდე; წინა სააუდიტო ანალიზის სტადიაზე გამოვვეთილ საგადასახადო რისკებზე რეაგირებით, საგადასახადო შემოწმების ეფექტურად და შემჭიდროვებულ ვადებში ჩატარება. აუდიტის დეპარტამენტის მისიის განხორციელებაში უმთავრესი წვლილი შეაქვს პროფესიონალთა გუნდს, რომელიც თავდაუზოგავად შრომობს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ისინი გამოირჩევიან პროფესიონალიზმით, გუნდურობით, კეთილსინდისიერებითა და ინოვაციურობით. ჩვენ ყველას საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობისთვის ზრუნვა და მისი უკეთესი მომავლის მიზანი გვაერთიანებს და ამ სულისკვეთებით ვაგრძელებთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

დარწმუნებული ვარ, რომ 2018 წელი იქნება კიდევ უფრო მეტი წარმატების მიღწევის პერიოდი.

პატივისცემით,

მამუკა ტერაშვილი


შემოსავლების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2017 წელს დასრულებული საგადასახადო შემოწმებები

აუდიტის დეპარტამენტის მიერ, 2017 წელს დასრულებულია **3,773** საგადასახადო შემოწმება; მათ შორის: გასვლითი – **1,194** კამერალური – **2,579**.

3,773 დასრულებული საგადასახადო შემოწმებით დარიცხული თანხა შეადგენს სულ **370,961,246** ლარს (ძირითადი გადასახადი, ჯარიმა); მათ შორის, დასრულებული **1,194** გასვლითი საგადასახადო შემოწმებით დარიცხული თანხა შეადგენს **164,998,009** ლარს; დასრულებული **2,579** კამერალური საგადასახადო შემოწმებით დარიცხული თანხა შეადგენს **205,963,237** ლარს.

დასრულებული შემოწმების ტიპი	შემოწმების რაოდენობა	ძირითადი	ჯარიმა	სულ
გასვლითი	1,194	98,751,269	66,246,740	164,998,009
კამერალური	2,579	113,607,179	92,356,058	205,963,237
სულ	3,773	212,358,448	158,602,798	370,961,246




2017 წელს, დასრულდა 175 გადასახადის გადამხდელის სმფ-ის ინვენტარიზაცია; ჯარიმის სახით დაკისრებულმა თანხამ შეადგინა 519,296 ლარი. ჩატარდა სხვა მიმდინარე კონტროლის პროცედურებიც: საკონტროლო შესყიდვა/შეთავაზება – 43, მონიტორინგი – 12, დათვალიერება – 15, სალაროს ინვენტარიზაცია – 12, ქრონომეტრაჟი – 2, ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია – 4, შერჩევითი ინვენტარიზაცია – 1.

N	თემა	რაოდენობა	დარ.თანხა
1	დათვალიერება	15	
2	სმფ-ის ინვენტარიზაცია	175	519,296
3	მონიტორინგი	12	
4	ქრონომეტრაჟი	2	
5	საკონტროლო შესყიდვა/შეთავაზება	43	
6	სალაროს ინვენტარიზაცია	12	
7	შერჩევითი ინვენტარიზაცია	1	
8	ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია	4	


საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტებთან დაკავშირებით, სულ აუდიტის დეპარტამენტში, 2017 წლის განმავლობაში შემოსულია 453 პრეტენზია; მათ შორის:

დაკმაყოფილდა ნაწილობრივ	179
დაკმაყოფილდა სრულად	4
არ დაკმაყოფილდა	190
ოქმი შედგა და საკითხი განუხილველი დარჩა	24
ოქმი შედგა და საკითხი განუხილველი დარჩა (ხანდაზმულობის გამო)	33
უარი ეთქვა მედიაციამ*	23

უარის საფუძველი შეიძლება იყოს საგადასახადო ორგანოში პრეტენზიის წარმოდგენის ვადის დარღვევა, პრეტენზიის არაუფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენა, კონკრეტული არგუმენტაციის არ არსებობა და სხვა, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი წესით.




გადამხდელს უფლება აქვს, პრეტენზია წარმოადგინოს მატერიალური (წერილობითი) ან ელექტრონული ფორმით; სულ შემოსულია 453 პრეტენზია, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:



2017 წლის პერიოდში განხორციელდა **1,157** აქტის პროექტის ხარისხის კონტროლი; ზოგიერთ შემთხვევაში, აუდიტის დეპარტამენტში მიმდინარე საგადასახადო შემოწმებების აქტების პროექტებით დარიცხულმა თანხებმა, ხარისხის კონტროლის სამმართველოს რეკომენდაციით, ცვლილება განიცადა; ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხების დამატებით დარიცხვა განხორციელდა სულ **298** შემ-


2017 წელს, გადამხდელთა პრეტენზიების განხილვის სავარაუდო თანხობრივი შედეგი



თხვევაში, ხოლო თანხამ შეადგინა **4,515,142** ლარი; დარიცხული თანხების შემცირება განხორციელდა **223** შემთხვევაში და შემცირებულმა თანხამ შეადგინა სულ **3,403,879** ლარი.

2017 წლის განმავლობაში, შესწავლილია შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტში და ფინანსთა სამინისტროში გასაჩივრებული საგადასახადო შემოწმებების აქტების შედეგები; აღნიშნულ პერიოდში, აუდიტის დეპარტამენტში ჩატარებული საგადასახადო შემოწმებიდან, **904** აქტი გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტში ან ფინანსთა სამინისტროში.

904 საჩივრიდან **449** აქტის პროექტი დაქვემდებარებული იყო ხარისხის კონტროლის პროცედურებს (დაკმაყოფილდა სრულად **28** საჩივარი – **6,2%**), **455** აქტის პროექტი არ იყო დაქვემდებარებული ხარისხის კონტროლის პროცედურებს (დაკმაყოფილდა სრულად 96 საჩივარი – **21,1%**).



2017 წლის განმავლობაში, აუდიტის დეპარტამენტის მიერ გატარებული ღონისძიებები:

1. შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 28 თებერვლის N4961 ბრძანებით დამტკიცდა „გასვლითი საგადასახადო შემოწმების პროცედურის რეგლამენტი“, რომელიც უზრუნველყოფს, გადასახადის გადამხდელის მეტ ჩართულობას და მონაწილეობას საგადასახადო შემოწმების პროცესში;
- რეგლამენტი მოიცავს ყველა პროცედურას, რომელსაც ატარებს დეპარტამენტი, თავისი ძირითადი საქმიანობის შესასრულებლად, პასუხისმგებელი სტრუქტურული დანაყოფებისა და ვადების მითითებით;



- გასვლითი საგადასახადო შემონმების პროცედურის რეგლამენტის შემუშავების მიზანია, გასვლითი საგადასახადო შემონმების განხორციელების პროცესში, როგორც გადასახადის გადამხდელის კანონიერი უფლებების, ასევე სახელმწიფოს ინტერესების დაცვა. წინა სააუდიტო ანალიზის სტადიაზე გამოკვეთილ საგადასახადო რისკებზე რეაგირებით, საგადასახადო შემონმების ეფექტურად და შემჭიდროვებულ ვადებში ჩატარება;
 - გასვლითი საგადასახადო შემონმების პროცედურის რეგლამენტი წარმოადგენს იმ კომპლექსური ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, გადასახადის გადამხდელის მეტ ჩართულობას და მონაწილეობას საგადასახადო შემონმების პროცესში, მეორე მხრივ, საშუალებას აძლევს აუდიტორს – მეტი ძალისხმევა და პროფესიული კვლევა-ძიება მიმართოს საგადასახადო რისკების გამოვლენაზე და მათზე რეაგირებით, გასვლითი საკონტროლო სამუშაოების სტადიაზე გამოავლინოს საგადასახადო სამართალდარღვევის კონკრეტული ფაქტები;
 - რეორგანიზაციიდან გამომდინარე, აუდიტის დეპარტამენტში განხორციელებული ორგანიზაციული ცვლილებების გათვალისწინებით, აღნიშნული პროცედურის რეგლამენტში განხორციელდა შესაბამისი, ტექნიკური ხასიათის ცვლილებები და საბოლოო სახით ჩამოყალიბდა შემოსავლების სამსახურის, 2017 წლის 29 დეკემბრის, N36181 ბრძანებით დამტკიცებული სახით;
- 2.** 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აუდიტის დეპარტამენტში ირიცხებოდა 367 აუდიტორი. 2017 წლის ბოლოს მათი რიცხვი შეადგენს 359-ს (ქალი - 199; მამაკაცი - 160);
- 3.** მომზადდა ტრენინგის თემების ნუსხა და აუდიტორებში ჩატარდა გამოკითხვა ტრენინგების საჭიროებათა გამოსავლენად; განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა მიხედვით დაიგეგმა ტრენინგები;
- აუდიტის დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ, მომზადდა და ყველა აუდიტორს სისტემატურად უტარდება ინსტრუქციული სწავლება აღნიშნულ საკითხებში;
 - აუდიტორებთან ჩატარდა ტრენინგები გასვლითი საგადასახადო შემონმების პროცედურების დამტკიცებულ რეგლამენტზე;
 - ასევე, ჩატარდა ტრენინგები მოგების გადასახადის ე.წ. „ესტონურ მოდელზე“ გადასვლასთან დაკავშირებით.
- 4. შემონმების პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, აუდიტის დეპარტამენტის ინიცირებით და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის დახმარებით, გადასახადის გადამხდელის ვებგვერდზე შექმნილია ჩანართი „აუდიტის გვერდი“;**
- ამ ღონისძიებით გადამხდელს მიეცა შესაძლებლობა, გაეცნოს მასზე გამოცემული შემონმების ბრძანებასთან დაკავშირებით გადმოგზავნილ დოკუმენტაციას და ამ გვერდიდან განახორციელოს მიმონერა აუდიტორთან, ხოლო აუდიტორს მიეცა შესაძლებლობა - განახორციელოს მიმონერა გადამხდელთან;
- 5.** მომზადდა და, შემდგომი შესაბამისი პროცედურული ქმედებების განხორციელების მიზნით, გაიგზავნა იურიდიულ დეპარტამენტში „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010 წ. N996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 68-ე მუხლში შესატანი ცვლილების შესახებ პროექტი („უცხოელი დიპლომატებისთვის განკუთვნილი საქონლის/მომსახურების დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლება“).
- 6.** საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა „განაწილებული მოგებისა“ და „ჩასათვლელი მოგების“ საკონტროლო ცხრილების პროექტები.



- 7.** შემუშავებულ იქნა და შემდგომი პროცედურული ქმედებების განხორციელების მიზნით, იურიდიულ დეპარტამენტს გადაეგზავნა 30 სიტუაციური სახელმძღვანელოს პროექტი;
- 8.** საგადასახადო შემონმებისას გამოკვეთილი პრობლემების დარეგულირების მიზნით, მომზადდა წინადადებები საგადასახადო კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე და გადაეგზავნა იურიდიულ დეპარტამენტს, შემდგომი პროცედურული ქმედებების განხორციელების მიზნით;
- 9.** შემუშავებულ იქნა ინვენტარიზაციისას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სააღრიცხვო (საბუღალტრო) ნაშთის გამოყვანის შესახებ მეთოდური მითითების პროექტი და გადაიგზავნა იურიდიულ დეპარტამენტში, შემდგომი პროცედურული ქმედებების განხორციელების მიზნით;
- 10.** ჩატარდა მოგების გადასახადის ახალი ე.წ. „ესტონური მოდელის“ ამოქმედებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემური საკითხების იდენტიფიცირების სამუშაოები, რომლებიც რეკომენდაციის შემუშავების მიზნით გადაეგზავნა უცხოელ ექსპერტებს;

11. 2017 წელს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), მსოფლიო ბანკის ჯგუფის (World Bank Group) და საერთაშორისო სავალუტო კორპორაციის (IFC) დახმარებით, აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობას იღებდნენ წამყვანი ევროპული ეკონომიკური ორგანიზაციების (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და საგადასახადო ადმინისტრაციების შიდა ევროპული ორგანიზაციის (IOTA)) ეგიდით გამართულ სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებზე, რაც ხელს შეუწყობს საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაციას. თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულნი OECD-ის სამუშაო ჯგუფების მუშაობაში. კერძოდ, მონაწილეობენ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სატრანსფერო ფასწარმოქმნის სახელმძღვანელოს მითითებების დახვეწაში. აგრეთვე, აღნიშნული ორგანიზაციის შიგნით, საერთაშორისო დაბეგვრის კუთხით ახალი საკანონმდებლო ინიციატივების განხილვაში. განეული სამუშაოს შესახებ, რეგულარულად ხდება შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელი პირებისთვის შესაბამისი ანგარიშის მომზადება და მათი ინფორმირება. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამშრომელთა მონაწილეობა, დიდი ოცეულის (G 20) მიერ ინიცირებულ დასაბეგრი ბაზის შემცირების და მოგების გადატანის (BEPS) პროექტის სამუშაო ჯგუფებში. აღნიშნული ტიპის შეხვედრები საგადასახადო ორგანოების წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს, უშუალოდ იყვნენ ჩართულები ყველა მიმდინარე პროცესში; ამასთან, დისკუსიების დროს, ისეთი ქვეყნების წარმომადგენლები, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, იტალია, გერმანია და სხვა, ჯგუფის წევრებს თავიანთ ქვეყანაში არსებულ ადაპტირებულ პრაქტიკას უზიარებენ, რაც კარგი შესაძლებლობაა საქართველოს წარმომადგენლისთვის - უფრო დეტალურად და სიღრმისეულად გაეცნოს, საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებში, მოწინავე ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობას და მიმდინარე პერიოდისთვის მათ წინაშე არსებული პრობლემატური საკითხების გადაჭრის გზებზე მსჯელობის პროცესს.

რა იგეგმება უახლოეს მომავალში:

- შემოსავლების სამსახურის სტრატეგიასთან დაკავშირებით შედგენილ საოპერაციო გეგმებზე დასახული ღონისძიებების განხორციელება;
- დამტკიცებული აუდიტის პროცესის რეგლამენტის მონიტორინგი;
- დამტკიცებული საგადასახადო შემოწმების აქტისა და მისი დანართის ფორმების დახვეწა/ საქმიანობაში დანერგვა;
- გადამხდელის ვებგვერდზე ჩანართის „აუდიტის გვერდი“ დანერგვა/მონიტორინგი;
- AMADEUS BVD და Bloomberg-ის ბაზებზე შესაბამისი დაშვების უფლების შეძენა, რაც აუცილებელია აუდიტის დეპარტამენტის საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების საკითხების შეფასების (ტრანსფერ-ფრაიზინგის) განყოფილებაზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისთვის;
- აუდიტის დეპარტამენტის საბოლოო პროდუქტის - საგადასახადო შემოწმების აქტის ხარისხის ამაღლება და ამასთან დაკავშირებით პრევენციული ღონისძიებების გატარება;
- აუდიტორთა რიცხოვნობის გაზრდა;
- თანამშრომელთა სატრენინგო სისტემის გაძლიერება;
- აუდიტის პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა.



გაფორმების ეკონომიკური ზონა თბილისი-2

საგადასახადო ადმინისტრირების დეპარტამენტი





გადასახადების ადმინისტრირების ეფექტურად წარმართვის მიზნით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, რის შედეგადაც გადასახადის ნებაყოფლობითი გადახდის პროცესმა შესაბამისი ასახვა იქონია საგადასახადო შემოსავლების ზრდაზე. რა თქმა უნდა, ნებაყოფლობითი კანონმორჩილების წახალისება მიმდინარე პერიოდშიც რჩება ჩვენი მთავარი ზრუნვის საგნად. პარალელურ რეჟიმში, კვლავ იკვეთება სხვადასხვა შესაძლებლობები, რომლებიც უზრუნველყოფენ კეთილსინდისიერი გადამხდელებისთვის პროცედურული ბარიერების შემცირებასა და კანონმორჩილების კიდევ უფრო წახალისებას.

მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს ღონისძიებების გატარება, გადასახადის გადახდისგან თავის არიდების ფაქტების პრევენციის და აღმოფხვრის მიზნით. საგადასახადო რისკების მართვის კუთხით, სისტემატურად ხორციელდება შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება გადამხდელთა სეგმენტების და საქმიანობის სახეების ჭრილში.

ჩვენი მიზანია, გადასახადების ადმინისტრირების სამართლიანი სისტემის ჩამოყალიბება და საგადამხდელო კულტურის ამაღლება. მიგვაჩნია, რომ თანაბარ, სამართლიან, სანდო და კონკურენტულ პირობებში, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე გადამხდელთა სიმრავლე აუცილებლად უზრუნველყოფს გადასახადებისგან თავის არიდების ფაქტების შემცირებას. ქვეყანაში ბიზნესის ოპერირების ძლიერი კულტურისა და ტრადიციების არსებობა კი წარმატებული ბიზნეს გარემოს არსებობის აუცილებელი პირობაა.

პატივისცემით,
გიორგი პატარიძე
ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი



მოგების გადასახადის ახალ მოდელზე გადასვლასთან დაკავშირებით, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაში, ინიცირებულ იქნა, მოგების დეკლარაციის მიხედვით, ანგარიშგების მოდულები. ასევე, შემუშავდა ანგარიშგების ახალი მოდულები დღგ-ისა და გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების შესახებ დეკლარაციების მიხედვით. მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა პროგრამული მოდულების და მონაცემთა საჭირო სქემების შესაქმნელად.

მიმდინარეობს შიდა სტრუქტურული ქვედანაყოფების კოორდინირებული მუშაობა ფიზიკური პირებისთვის ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და დარიცხვის ახალი მოდელის შემუშავებაზე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესახებ ცვლილებების პროექტებთან დაკავშირებით, კომპეტენციის ფარგლებში, ეტაპობრივად შემუშავდა შენიშვნები და წინადადებები.



ექსპორტიორი იურიდიული/ფიზიკური პირების წახალისების მიზნით, ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნების თაობაზე, „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ ავტომატურ პროგრამულ ლოგიკაში, შეიქმნა გადასახადის გადამხდელის შეფასების კრიტერიუმები, რის საფუძველზეც გამართივდა ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების პროცედურა.

მიმდინარეობს მუშაობა დღგ-ის ავტომატური დაბრუნების კონცეფციასთან დაკავშირებით.

გადასახადის გადამხდელის ზოგადი სტატისტიკური ანალიზისთვის, განხორციელდა რეგისტრაციის ბაზის პერიოდული დამუშავება.

2017 წლის განმავლობაში, თვეში ორჯერ, დამუშავდა დღგ-ის ბრუნვების შესახებ ინფორმაცია როგორც გადამხდელის, ასევე წლების ჭრილში.

ყოველდღიურ რეჟიმში, მუშავდება შემდეგი სტატისტიკური ინფორმაცია:

1. გადასახადის გადამხდელის მიერ, ბიუჯეტში ჩარიცხული თანხების შესახებ ინფორმაციის გადაგზავნა გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე;
2. სასაქონლო ზედნადებების კონტროლის და მის შედეგად გამოვლენილი სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაცია;
3. მიმდინარე კონტროლის პროცედურების შესახებ (ინვენტარიზაცია, დათვალიერება, ქრონომეტრაჟი, საკონტროლო შესყიდვა, სსა-ს კონტროლი) ინფორმაცია, სადაც გაშიფრულია მონაცემები გადამხდელის და გამოვლენილი სამართალდარღვევების მიხედვით;
4. სათამაშო ბიზნესის კონტროლის და მისი შედეგების შესახებ ინფორმაცია;
5. სტატისტიკური ცხრილები რისკების მართვის სისტემის გამოყენებით გაფორმებული სატვირთო საბაჟო დეკლარაციების შესახებ;
6. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ბიუჯეტში მობილიზებული თანხების და ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმის პარამეტრების შედარებითი ანალიზი; ამასთან, გადასახადების სახეების მიხედვით, ხორციელდება გასული წლის ანალოგიური პერიოდების შედარება მიმდინარე წლის მონაცემებთან.
7. 2017 წლის განმავლობაში, დაინიშნა 2,084 საგადასახადო შემოწმება; მათ შორის, 1,160 კამერალური შემოწმება (176 - სრული; 984 - თემატური) და 924 გასვლითი საგადასახადო შემოწმება (8 - სრული გასვლითი; 916 - სრული გეგმით).

8. მიმდინარე კონტროლის პროცედურების განსახორციელებლად, ჩატარდა 554 დონისძიება (სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია - 454, საკონტროლო შესყიდვა - 100).

2017 წლის განმავლობაში, ლიკვიდაციის პროცესი დაიწყო 555-მა სუბიექტმა, ხოლო რეორგანიზაციის პროცესი დაფიქსირდა 218 ორგანიზაციაში.


88 ობიექტის მიმართ, შესწავლის შედეგად, დაინიშნა ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საგადასახადო შემონმება. მარეგისტრირებელ ორგანოს წერილობით ეცნობა 383 სუბიექტის სალიკვიდაციო საგადასახადო შემონმების ან/და ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ.

უცხო ქვეყნების უფლებამოსილ ორგანოებთან სხვადასხვა სახის ინფორმაციის გადამონმების მიზნით, გაიგზავნა 8 წერილი, ხოლო მათ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე მომზადდა და გაიგზავნა 5 საპასუხო წერილი.

გადასახადის გადამხდელის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგში არსებული სავარაუდო დონის დასადგენად შემუშავდა ახალი პროგრამული მოდული.

მიმდინარეობს მუშაობა ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფი სუბიექტების სალიკვიდაციო პროცედურების განსაზღვრის პროექტზე.

- მოწესრიგდა მონაცემთა ბაზებში არსებული ინფორმაცია;
- შეიქმნა მონაცემთა საცავი (in-memory data warehouse);
- ჩამოყალიბდა BI მოდელი, რომელიც 90%-ით დასრულებულია;



- განისაზღვრა და ავტომატურად ხდება გადამხდელთა აქტიურობა/პასიურობის კრიტერიუმების განახლება;
- 90-95%-იანი სიზუსტით განისაზღვრა აქტიურ გადამხდელთა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია;
- მიმდინარეობს მუშაობა დღგ-ის ავტომატურად დაბრუნების პროექტზე, რომელზეც IMF-თან გვაქვს აღებული ვალდებულებები;
- მიმდინარეობს მუშაობა დღგ-ის, მოგების (განაწილებული), საშემოსავლო, წყაროსთან დასაკავებელი, აქციზის და ფ/პირების ქონების დეკლარაციების დახვეწის და მათი ავტომატური კონტროლის უზრუნველსაყოფად;
- მუშავდება სტრატეგიები, დარგობრივ ჭრილში, საგადასახადო რისკების მართვის კუთხით;
- მუშავდება სტრატეგია და ინფორმაცია არარეგისტრირებულ გადამხდელთა გამოვლენის და მათი კანონშესაბამისობის დონის გასაზრდელად.

ამჟამად, განიხილება 314 განცხადება; გადამხდელთა მიერ შემოთავაზებული პირობების გათვალისწინებით, საგადასახადო შეთანხმების გაფორმება მიზანშეწონილად არ ჩაითვალა 1,349 შემთხვევაში. საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესის“ დარღვევით იყო წარმოდგენილი 92 განცხადება და გადამხდელს ეცნობათ ხარვეზის თაობაზე.

„საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესის“ შესაბამისად, შემდგომი პროცედურების გავლის მიზნით, ფინანსთა სამინისტროში გაგზავნილ იქნა 324 განცხადება. შეთანხმების გაფორმების თაობაზე, მიღებულ იქნა 271 განკარგულება;

2017 წლის მანძილზე, საგადასახადო დავალიანების შემცირების მიზნით, სულ გაფორმდა **297** საგადასახადო შეთანხმების აქტი. საგადასახადო დავალიანების - **237,713, 362.87** ლარის სანაცვლოდ, შეთანხმებით გადასახდელი თანხა განისაზღვრა **52,414,135.13** ლარით;

მათ შორის:

გაუქმდა - 23 საგადასახადო შეთანხმება, სულ საგადასახადო დავალიანების 2,102, 671.37 ლარის ნაცვლად, საგადასახადო შეთანხმებით გადასახდელი თანხა შეადგენდა 1,085, 051.77 ლარს.

დასრულებულია - 227 საგადასახადო შეთანხმება, რომლის შედეგადაც საგადასახადო დავალიანება 133,801,129.87 ლარი შემცირდა 20,625,396.56 ლარამდე.

მიმდინარეა - 47 საგადასახადო შეთანხმება, გადამხდელთა მიერ საგადასახადო შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესრულების შემთხვევაში, სულ საგადასახადო დავალიანება - 101,809,561.63 ლარი შემცირდება 30,703,686.80 ლარამდე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ 2017 წლის 30 ივნისის №1182 კანონით განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, შესაძლებელი გახდა საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, მოსაკრებლის თანხების შემცირება.

2017 წელს, მოსაკრებლის თანხების შემცირების თაობაზე გაფორმებული საგადასახადო შეთანხმებების შესრულების მიზნით, სულ გადახდილია 38,000 ლარი;

მოსაკრებლის შემცირების მიზნით, საგადასახადო შეთანხმების გაფორმების თაობაზე, სულ შემოსულია 39 განცხადება;

ამჟამად განხილვაშია 15 განცხადება; გადამხდელთა მიერ შემოთავაზებული პირობების გათვალისწინებით, საგადასახადო შეთანხმების გაფორმება მიზანშეწონილად არ ჩაითვა 18 შემთხვევაში. საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესის“ დარღვევით იყო წარმოდგენილი 1 განცხადება და გადამხდელს ეცნობა ხარვეზის თაობაზე.

„საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესის“ შესაბამისად, შემდგომი პროცედურების გავლის მიზნით, ფინანსთა სამინისტროში გაგზავნილ იქნა 5 განცხადება. შეთანხმების გაფორმების თაობაზე, მიღებულ იქნა 2 განკარგულება;

მოსაკრებლის შემცირების მიზნით, სულ გაფორმდა 2 საგადასახადო შეთანხმების აქტი. მოსაკრებლის თანხების ოდენობა - 553,288.92 ლარი განისაზღვრა 38,000 ლარით.

2017 წლის 12 თვის მანძილზე, დამუშავდა 15,999 კორესპონდენცია. ასევე, განხორციელდა სხვადასხვა პროცედურები;

შინაბარსი	ჯამი
გამოცემული ყადაღის ბრძანებები	7,111
შედგენილი ყადაღის აქტები	2,725
ინფორმაციის გამოთხოვა მარეგისტრირებული ორგანოებიდან	9,010
ინფორმაციის მოთხოვნა გადამხდელისგან დებიტორული დავალიანების და სალაროში ფულის მოძრაობის შესახებ	5,918
შესწავლილი უიმედო დავალიანების მქონე გადამხდელები	809
სამსახურებრივი ბარათები გადახდევინების მე-3 პირზე მიქცევის შესახებ	214
საჯაროდ გამოქვეყნებული ყადაღის ბრძანება	1,893
ყადაღადღებული ქონების რეალიზაციის და იჯარის თაობაზე თანხმობები	225
ყადაღადღებული ქონების შეფასებაზე გაგზავნა	3,372
შუამდგომლობა ყადაღადღებული ქონების რეალიზაციის შესახებ	1,671
დავების დეპარტამენტში გაგზავნილი ცრუმაგიერი მფლობელობა	333
სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება	4

2017 წელს, გადახდევინების ღონისძიებების დაგეგმვის კუთხით, სულ შედგენილია **3,157** გრაფიკი თანხით – **116,877,232** ლარი; მათ შორის, უზრუნველყოფით – **608** გრაფიკი თანხით – **102,941,611** ლარი, ხოლო უზრუნველყოფის გარეშე (**50,000** ლარამდე) – **2,549** გრაფიკი თანხით **13,935,621** ლარი.

ბრაფიკები	რაოდენობა	თანხა
2017 წელი	3,157	116,877,232
სულ უზრუნველყოფით	608	102,941,611
მათ შორის		
საბანკო გარანტია	24	17,385,076
სადაზღვევო გარანტია		
ქონება/თავდებობა	584	85,556,535
უზრუნველყოფის გარეშე	2,549	13,935,621

ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ გამოიცა **6,808** ბრძანება, ხოლო ქონებაზე ყადაღის გაუქმების შესახებ – **4,289** ბრძანება; დაფარულია **310,122,269** ლარი.

პერიოდი	ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ბრძანების გამოცემა		ქონებაზე ყადაღის დადების ბრძანების გაუქმება	
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
იანვარი	623	43,166,923	248	21,162,633
თებერვალი	697	38,614,342	319	20,398,391
მარტი	722	102,943,356	444	58,981,263
აპრილი	130	17,014,908	340	22,120,619
მაისი	816	222,350,958	369	13,408,801
ივნისი	733	95,117,068	397	17,055,024
ივლისი	423	41,438,559	358	19,694,175
აგვისტო	493	75,165,116	328	16,144,513
სექტემბერი	463	34,473,918	278	76,422,445
ოქტომბერი	916	28,894,962	426	14,590,816
ნოემბერი	552	24,091,649	433	13,415,846
დეკემბერი	240	23,023,971	349	16,727,743
სულ	6,808	746,295,730	4,289	310,122,269

მესამე პირის მფლობელობაში არსებული ქონების მიმართ გადახდევინების მიქცევის მიზნით, გამოცემულ იქნა **223** საგადასახადო მოთხოვნა; მოთხოვნის თანხამ ჯამში **53,281,543** ლარი შეადგინა.

აღსრულების ეროვნულ ბიუროში გადაგზავნილ იქნა **845** საგადასახადო დავალიანების მქონე გადამხდელის ქონების დაყადაღების მასალები; დავალიანების თანხა **180,745,025** ლარს შეადგენს.

განხილული ელექტრონული განცხადებები – **3,106**;

მათ შორის:

გრაფიკის თაობაზე – **2,381**,

ყადაღის თაობაზე – **725**.

განხილული კორესპონდენცია მატერიალური ფორმით – **10,402**;

მათ შორის:

შემოსული დოკუმენტი – **5,721**,

შიდა დოკუმენტი – **3,767**,

სამართლებრივი აქტი – **914**.

2017 წლის განმავლობაში, განხორციელდა **200,319** გირავნობა/იპოთეკის რეგისტრაცია თანხით – **1,375,069,582** ლარი.

თვე	რაოდენობა	თანხა
იანვარი	11,301	140,015,273
თებერვალი	9,321	94,956,004
მარტი	11,367	105,745,156
აპრილი	20,929	122,060,621
მაისი	19,063	93,407,663
ივნისი	11,949	131,240,819
ივლისი	19,636	84,064,083
აგვისტო	12,477	73,394,758
სექტემბერი	21,615	76,454,227
ოქტომბერი	14,257	95,435,529
ნოემბერი	26,203	111,216,679
დეკემბერი	22,201	247,078,770
სულ	200,319	1,375,069,582

განხორციელდა, **189,985** გირავნობა/იპოთეკის გაუქმება თანხით - **1,203,031,554** ლარი.

თვე	რაოდენობა	თანხა
იანვარი	11,301	140,015,273
თებერვალი	9,321	94,956,004
მარტი	11,367	105,745,156
აპრილი	20,929	122,060,621
მაისი	19,063	93,407,663
ივნისი	11,949	131,240,819
ივლისი	19,636	84,064,083
აგვისტო	12,477	73,394,758
სექტემბერი	21,615	76,454,227
ოქტომბერი	14,257	95,435,529
ნოემბერი	26,203	111,216,679
დეკემბერი	22,201	247,078,770
სულ	200,319	1,375,069,582

საბანკო ანგარიშებზე წარდგენილ იქნა, ჯამში, **91,032** საინკასო დავალება თანხით - **1,516,019,643** ლ.

თვე	რაოდენობა	თანხა
იანვარი	6,644	268,008,386
თებერვალი	4,962	182,415,250
მარტი	5,689	112,443,425
აპრილი	11,756	175,324,694
მაისი	9,369	126,526,862
ივნისი	6,330	121,839,058
ივლისი	10,098	152,828,052
აგვისტო	6,536	59,013,425
სექტემბერი	9,017	63,117,069
ოქტომბერი	7,028	133,727,820
ნოემბერი	4,052	57,572,020
დეკემბერი	9,551	63,203,582
სულ	91,032	1,516,019,643

2017 წლის მონაცემებით, საინკასო დავალებებით ამოღებული დავალიანების თანხა **637,000,000** ლარს აჭარბებს. საინკასო დავალებით სულ შემოვიდა **637,248,806** ლარი;

თვე	თანხა
იანვარი	63,250,924
თებერვალი	40,249,863
მარტი	42,444,977
აპრილი	67,012,315
მაისი	54,436,921
ივნისი	50,361,866
ივლისი	56,964,285
აგვისტო	53,101,831
სექტემბერი	56,062,989
ოქტომბერი	47,912,303
ნოემბერი	51,463,971
დეკემბერი	53,986,561
სულ	637,248,806

საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ან/და ყადაღადადებული ქონების რეალიზაციიდან შემოვიდა სულ **2,295,525** ლარი.

განხილული ელექტრონული განცხადებები - **19,949**

მათ შორის:

გირავნობა/იპოთეკის თაობაზე - **13,153**

საინკასო დავალებების თაობაზე - **6,796**

განხილული კორესპონდენცია მატერიალური ფორმით - **4,863**

მათ შორის:

შემოსული დოკუმენტი - **2,228**

შიდა დოკუმენტი - **1,774**

სამართლებრივი აქტი - **861**





საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი





პატივცემულო მეგობრებო,

მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ყოველწლიური საჯარო ანგარიში 2017 წელს განეული საქმიანობისა და მიღწეული შედეგების შესახებ და ასევე, გაგაცნოთ ჩვენი დეპარტამენტის 2018 წლის პრიორიტეტები.

საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი პასუხისმგებელია გადასახადის გადამხდელთა მიერ, საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტების პრევენციისა და გამოვლენის მიმართულებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტურ განხორციელებაზე. შესაბამისად, ახორციელებს სისტემატურ საგადასახადო კონტროლს, მიმდინარე კონტროლის პროცედურების განხორციელების გზით.

ჩვენი ვართ, მიზანმიმართული, შედეგებზე ორიენტირებული გუნდი, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებს 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში დასახული მიზნებისა და ამოცანების სრულფასოვნად და ხარისხიანად შესასრულებლად. ამასთან, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის გუნდი, აქტიურად მუშაობს, სამართლიანი საგადასახადო გარემოს ფორმირების კუთხითაც. ჩვენი მიზანია, გადასახადის გადამხდელებს გავუმარტივოთ საგადასახადო ორგანოსთან ურთიერთობა, რაც თავის მხრივ, გახდის მათ, მეტად ინფორმირებულებსა და ჩართულებს იმ პროცესებში, რომლებიც ემსახურება გადასახადის გადამხდელთა საგადამხდელო კულტურის ამაღლებას, კეთილდღეობას და განვითარებას.

მსურს, ვისარგებლო მოცემული შესაძლებლობით და გულწრფელი მადლიერება გამოვხატო, ჩემი გუნდის თითოეული წევრის მიმართ, რომლებიც მუდამ მზად არიან, დეპარტამენტის საქმიანობაში შეიტანონ ქმედითი, შედეგზე გათვლილი წვლილი.

პატივისცემით,

მამუკა ჯანგულაშვილი

საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი


შემოსავლების სამსახურს, განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკით განსაზღვრული ამოცანების განმახორციელებელს და შესაბამისად, მისი საქმიანობა გავლენას ახდენს საქართველოს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე. სწორედ ამიტომ, შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეული, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სახით, ეფექტური ადმინისტრირებით უზრუნველყოფს იმ მიზნების და ამოცანების სრულფასოვნად და ხარისხიანად შესრულებას, რომლებიც დასახულია 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის გუნდი, რომლის ხედვაც არის მიზანმიმართული, შედეგებზე ორიენტირებული, აქტიურად მუშაობს სამართლიანი საგადასახადო გარემოს ფორმირების კუთხით, რათა ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ყველა პირის საგადასახადო ტვირთი იყოს თანაბარზომიერი. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ძალისხმევას არ იშურებს, ეფექტური ადმინისტრირების ფარგლებში მოახდინოს არაკეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელების იდენტიფიცირება, რათა დროულად აღკვეთილი იქნას, მათი მხრიდან საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტები, არ მიეცეთ შესაძლებლობა მოქმედი კანონმდებლობის მიღმა განახორციელონ ეკონომიკური საქმიანობა, დამალონ დასაბეგრი ბრუნვის მოცულობა, თავი აარიდონ ბიუჯეტში გადასახადების გადახდას და აღნიშნული ქმედებით, მოიპოვონ უპირატესობა, იმავე სექტორში მომუშავე სხვა კეთილსინდისიერ გადასახადის გადამხდელებთან შედარებით.

საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, 2017 წლის განმავლობაში განხორციელდა, მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც იგეგმება და ტარდება შემოსავლების სამსახურში არსებული ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემების ანალიზისა და გადასახადის გადამხდელების საქმიანობის შესახებ, სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

მიმდინარე კონტროლის პროცედურების განხორციელების შედეგად, გამოვლინდა როგორც, საგადასახადო, ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტები; კერძოდ:

საქონლის ტრანსპორტირებისას
ზედნადების გამოწერის გადამოწმება




■ გადამოწმებულ პირთა რაოდენობა
■ დაჭარიმებულ პირთა რაოდენობა


1. საქონლის ტრანსპორტირებისას ზედნადების გადამოწმება – **56,277**, დაჭარიმებულთა რაოდენობა – **9,577**, ჯარიმის თანხა – **8,913,100** ლარი; **235** გადასახადის გადამხდელზე შემდგომი შესწავლის მიზნით, სათანადო მასალები გადაგზავნილ იქნა, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში;

**ფულადი სანქციის რაოდენობამ
შეადგინა 8 913 100 ლარი**

2. დაწყებული ინვენტარიზაცია – **4,330** (მათ შორის სრული – **704**, შერჩევითი – **3,626**). დასრულებულია – **4,387** (მათ შორის – **757** სრული, შერჩევითი – **3,630**), სანქცია – **11, 577,116** ლარი (მათ შორის: სრული – **10,687,033** ლარი, შერჩევითი – **890,083** ლარი);




საკონტროლო, სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის, კონტროლის პროცედურა განხორციელდა – **79,791**, გამოვლენილი სამართალდარღვევა **49,079** (მათ შორის გაფრთხილება – **38,837**), სანქცია – **2,061,300** ლარი;



4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით შედგენილია შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმები (2,256 ცალი):

- ა) ვალუტის გამოყენების და ფასის ლარით გამოხატვის წესების დარღვევა – **1,317**,
- ბ) ნავთობის ტრანსპორტირების და შენახვის წესების დარღვევა - **56**,
- გ) აქციზური მარკის გარეშე შენახვა რეალიზაცია - **248**,
- დ) თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, სკოლაში, 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულება-ორგანიზაციებში და მათი კუთვნილი ტერიტორიებიდან 50 მეტრის დაშორებით, აგრეთვე ყველა სახის სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებაში- **621**,
- ე) სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენება - **14**;




5. გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევა (გამოვლენა) – **4,085**;

6. წინააღმდეგობის გაწევის გამო შედგენილია – **30** საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი;

7. დავალიერების მიმდინარე კონტროლის პროცედურის განხორციელების შედეგად გამოვლენილია აგს-ზე ლუქის გარეშე ან დაზიანებული ლუქით მუშაობის **30** შემთხვევა;

8. დაწყებული ექსპერტიზა - **2, 702** დასრულებულია - **2,490**.

დანყვებული და დასრულებული ექსპერტიზის შედეგები



9. განხილულია და სათანადო დასკვნა წარდგენილია საგადასახადო დავებთან დაკავშირებით წარმოდგენილ **3,634** საჩივარზე; გპაბ-ზე ასახულია **8,478** სამართალდარღვევის ოქმი; ასევე, ასახულია **551** ბრძანება (ოქმის გადაკვალიფიცირება, ბათილობა).

2017 წლის მონაცემებით, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტში, სულ შემოსულია, დავის განმხილველი ორგანოს **4,000** გადანყვებილება, **1,486** გადანყვებილება არ დაკმაყოფილდა, მათ შორის **216** გადანყვებილება 273-მუხლით, **480** გადანყვებილება 281-მუხლით, **608** გადანყვებილება 286-მუხლით, **45** გადანყვებილება 288-მუხლით, **113** გადანყვებილება 291-მუხლით, **14** გადანყვებილება 277-მუხლით, **1** გადანყვებილება 276-მუხლით, **9** გადანყვებილება 279-მუხლით, ხოლო **2,514** გადანყვებილება დაკმაყოფილდა გადამხდელის სასარგებლოდ, აქედან **1117** გადანყვებილება არის სსკ-ის 269-ე მუხლის საფუძ-

ველზე ჯარიმის პატიების თაობაზე, **325** შემთხვევაში, ფულადი ჯარიმა შეცვლილია გაფრთხილებით, **829** შემთხვევაში დაკმაყოფილებულია არარეგისტრირებულ პირზე სსკ-ის 273-ე მუხლის საფუძველზე დაკისრებული ჯარიმა, ხელახალი შესწავლა **53** შემთხვევა, სასკ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 65 შემთხვევაში, გადამხდელს დაკისრებული სანქცია შეეცვალათ შენიშვნით, **68** შემთხვევა არის, როდესაც საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტს დაევალა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება და მხოლოდ **125** შემთხვევა, როდესაც საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, შედგენილი ოქმი გაუქმებულია იმ საფუძველით, რომ არ დასტურდება საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, რაც მოიცავს იმ შემთხვევებსაც, როდესაც ეს უკანასკნელი (საქონლის რეალიზაცია, ამ რეალიზაციასთან დაკავშირებით თანხის გადახდა და სსა-ს გამოუყენებლობა) უბრალოდ არ/ვერ არის დაფიქსირებული ტექნიკური საშუალებებით. ხსენებული მონაცემები, რომელიც არ აღემატება 5.0 (4.97)%-ს.

2017 წლის განმავლობაში, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობიდან გამომდინარე, დეპარტამენტის მიერ, მომზადებულია სტატისტიკური მონაცემები, როგორც ყოველდღიურ (ოპერატიულ) რეჟიმში, ასევე ყოველკვირეული, ყოველთვიური, ყოველკვარტალური თათბირებისათვის.

საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ ხდებოდა, მატერიალური ფორმით შედგენილი შესაბამისი, საგადასახადო სამართალდარღვევების ოქმებით დაკისრებული თანხების, გადასახადის გადამხდელის, პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვა. ასევე, შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტიდან, ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოდან და სასამართლოებიდან შემოსული სათანადო გადანყვებილებების გადასახადის გადამხდელის, პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვა; შესაბამის შემთხვევებში ხორციელდებოდა, სამართალდარღვევათა ოქმების შეცვლა (ამ ოქმებით დაკისრებული სანქციის გადაკვალიფიცირება), ძალადაკარგულად ან ბათილად გამოცხადება.

შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტიდან, ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოდან და სასამართლოებიდან შემოსული სათანადო გადაწყვეტილებების საფუძველზე ტარდება ადმინისტრაციული წარმოებები.

დავების განხილვის ორგანოების მომართვის შემთხვევებში, ხორციელდებოდა საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, გადასახადის გადამხდელების მიერ, წარმოდგენილი საჩივრების შესწავლა, დამუშავება და სათანადო ინფორმაციების/დასკვნების მომზადება.

საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მედიაციის საბჭოზე ორგანიზებას ეწეოდა, დეპარტამენტის მიერ განხორციელებული, მიმდინარე კონტროლის (ინვენტარიზაციის) შედეგებზე შედგენილი ოქმების პროექტებთან დაკავშირებით, გადასახადის გადამხდელის წერილობითი/ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პოზიციების განხილვის პროცედურებს.

საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლები, დეპარტამენტის სახელით ესწრებიან და მონაწილეობას იღებენ სასამართლო განხილვის პროცესებში, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით (კონტროლის პროცედურებში შინაარსობრივი ჩართულობა), პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზებიდან გამომდინარე, ხდებოდა კანონმდებლობაში განსახორციელებელი სათანადო ცვლილებების პროექტების მომზადება და შესაბამისი დეპარტამენტისთვის გადაგზავნა, შემდგომი სამართლებრივი ქმედებების განხორციელების მიზნით.

განიხილებოდა, როგორც შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან, ასევე, სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან გადმოგზავნილი კორესპონდენცია. მათ შორის, კანონებსა თუ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში განსახორციელებელი ცვლილების თაობაზე.









მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის გუნდის მიერ განხორციელებული მორიგი წარმატებული წლის საქმიანობის ანგარიში.

2017 წლის განმავლობაში, ძირითად გამოწვევას წარმოადგენდა საგადასახადო დავების უფრო მცირე ვადებში სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფა; კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის სრულყოფის პროცესში უშუალო ჩართულობა და სასამართლოში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სახელით სახელმწიფო ინტერესის დაცვა.

დამუშავდა და გამოქვეყნდა გადამხდელთა საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილების აბსოლუტური უმრავლესობა (wiki.rs.ge); შემუშავდა საგადასახადო საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების კონტროლის მექანიზმი.

დავების დეპარტამენტმა წარმატებით გაართვა თავი საოპერაციო გეგმით დასახული ამოცანების შესრულებას, რასაც ადასტურებს სავალუტო ფონდის მუდმივმოქმედი მისიის ინდიკატორები („KPI“). საჩივრის განხილვაზე დახარჯული დრო („P7-20“) და მის შედეგებზე რეაგირების ხარისხი („P7-21“) გაუთანაბრდა „TADAT“-ის „B“ შეფასების ნიშნულს.

საჩივრის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით (<https://eservices.rs.ge/Login.aspx>), ავტორიზებულ გადამხდელს უკვე სახლიდან/ოფისიდან გაუსვლელად შეუძლია წარადგინოს საჩივარი და მიიღოს სამსახურის გადაწყვეტილება.

პატივისცემით,
რომან ბულაძე
დავების დეპარტამენტის უფროსი

„TADAT“-ის შეფასების კრიტერიუმში – საგადასახადო დავების დამოუკიდებელი, ქმედითი და ეტაპობრივი მოგვარების პროცესი (P7-19), დავების დეპარტამენტის მიერ მიღწეულ იქნა უმაღლესი „A“ შეფასება, ხოლო საჩივრის განხილვაზე დახარჯული დრო („P7-20“) და მის შედეგებზე რეაგირების ხარისხი („P7-21“) გაუმჯობესდა და გაუთანაბრდა „TADAT“-ის „B“ შეფასების ნიშნულს.

**დავების
დეპარტამენტში
აქტიურად დაინერგა
გადაწყვეტილებების
გასაჯაროვების
სისტემა.**

2017 წელს, დაიშტრიხა შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებული 13,535 გადაწყვეტილება, რომელიც განთავსებულია - <http://wiki.rs.ge> -ზე. საძიებო სისტემაში განთავსდა სასამართლოს და ფინანსთა სამინისტროს სისტემის მიერ მიღებული პრაქტიკის დამდგენი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

გადაწყვეტილებების გასაჯაროება აძლიერებს საგადასახადო ორგანოს გამჭვირვალობას და ერთიანი საგადასახადო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რაც იძლევა

შესაძლებლობას, რომ გადასახადის გადამხდელმა დავის შედეგი განჭვრიტოს. დავის შედეგის განჭვრეტადობა არის მაღალი სამართლებრივი კულტურის დამადასტურებელი, რაც აპრობირებულია ბევრ განვითარებულ ქვეყანაში.

შემოსავლების სამსახურის მიერ გამოქვეყნდა საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილებების 100 %, რაც ხაზს უსვამს ადმინისტრაციული ორგანოს მაღალ გამჭვირვალობას.

თანმდევე შედეგს წარმოადგენს არაპერსპექტიული სასამართლო დავების გამორიცხვა და სასამართლო ხარჯების დაზოგვა.



დავების დეპარტამენტში ხორციელდება პრობლემური პრაქტიკის სისტემური ანალიზი.

სამუშაოს ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს ის, თუ რამდენად ხდება საგადასახადო კანონმდებლობის მისადაგება პრაქტიკაში წარმოშობილი რეალობისადმი. მოცემულ ჭრილში ანალიზდება მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის, სიტუაციური სახელმძღვანელოები, სასამართლო გადაწყვეტილებები და დავების დეპარტამენტის მიერ მზადდება სათანადო წინადადებები.



დავების დეპარტამენტმა წარმატებით გაართვა თავი 2017 წლის საოპერაციო გეგმით დასახული ამოცანების შესრულებას, რასაც ადასტურებს სავალუტო ფონდის მუდმივმოქმედი მისიის ინდიკატორები („KPI“).



თანამშრომელთა წახალისება/დანაწილება ხდება სამუშაო აღწერილობით განსაზღვრული დანაწესებისა და შემუშავებული სამუშაო გეგმის ყოველთვიური შესრულებული საქმიანობის ანგარიშის გათვალისწინებით.

დავების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა სამუშაო აღწერილობების (Job Descriptions) განახლება და შესაბამისი დეპარტამენტისთვის მიწოდება, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა აყვანის ტრანსფერენტულობას და შესაბამისობას სამუშაო მოთხოვნილებებთან. ამასთან, თანამშრომელთა წახალისება და დანაწილებაც ხორციელდება „სამუშაო აღწერილობის“ კრიტერიუმებთან შესაბამისობაში, რაც ამაღლებს საკითხის გამჭვირვალობას.



შემუშავდა საგადასახადო საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების კონტროლის მექანიზმი.



კეთილსინდისიერების პრინციპის (“good faith”) გამოყენებით, სანქციისგან გათავისუფლდა 1,314 გადამხდელი.



გადამხდელებს შესაძლებლობა აქვთ, შემოსავლების სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების ნებისმიერი სერვისცენტრიდან განახორციელონ ჩართვა და დავების საბჭოზე მონაწილეობა მიიღონ საჩივრის განხილვაში;

2018 წლისთვის დასახული მიზნები

ელექტრონული საჩივრის ფორმის გამარტივება/დახვეწა, საჩივრების მატერიალური ფორმით წარმოდგენის დემოტივაცია და ელექტრონული საჩივრების წახალისების ხელშეწყობა.

ელექტრონულ სერვისები მნიშვნელოვნად გაზრდის სამსახურის ეფექტურობას და დაზოგავს გადასახადის გადამხდელის რესურსს.

შემუშავებული იქნება პროცედურული სახელმძღვანელოები სასამართლოში წარმოებულ საქმეთა პროფილის გათვალისწინებით.

აღნიშნული გაზრდის სამსახურის ეფექტურობას, მოაქცევს საქმიანობას ერთიან მეთოდოლოგიაში და მეტად სისტემურ ხასიათს შესძენს განხორციელებულ ქმედებებს.

კიდევ უფრო მაღალი შეფასების მიღება „TADAT“-ის კომპონენტებში

მაღალი შეფასების მიღება „TADAT“-ის POA 7-ის სამივე კომპონენტში: 1) P7-19. საგადასახადო დავების დამოუკიდებელი, ქმედითი და ეტაპობრივი მოგვარების პროცესის არსებობა; 2) P7-20. დავების გადაჭრის ვადები; 3) P7-21. საგადასახადო დავების გადაწყვეტილებათა აღსრულება. აღნიშნულ კრიტერიუმებში შეფასების ამაღლება გაზრდის სამსახურის ეფექტურობას.


ინფორმაცია განხილული საგადასახადო დავების შესახებ

პერიოდი: 01.01.2017-01.01.2018




1. ზოგადი სტატისტიკა




- შემოსული საჩივარი **9,300**
- განხილული საჩივარი **9,094**

2. შემოსული საჩივრების სტრუქტურა თვეების მიხედვით




3. შემოსული საჩივრების სტრუქტურა თვეების მიხედვით











4. განხილული საჩივრების სტრუქტურა თვეების მიხედვით




5. განხილული საჩივრების სტრუქტურა დეპარტამენტების მიხედვით







6. დავების განხილვის საბჭოზე გატანის გარეშე განხილული საჩივრების სტრუქტურა თვეების მიხედვით - სულ 4,459




7. მიღებული გადაწყვეტილების სტრუქტურა განხილული საჩივრების მიხედვით




8. მიღებული გადაწყვეტილების სტრუქტურა აუდიტის განხილული საჩივრების მიხედვით



9. GOOD FAITH პრინციპით მიღებული გადაწყვეტილებების სტრუქტურა თვეების მიხედვით




10. საჩივრის განხილვის საშუალო ხანგრძლივობა (დღეების რაოდენობა) თვეების მიხედვით




შენიშვნა: ჯამურ დღეთა რაოდენობა იყოფა განხილული საჩივრების რაოდენობაზე.

11. დასრულებულ საქმეთა მთლიანი რაოდენობა 30/60/90 დღის განმავლობაში



12. გასაჯაროებული გადაწყვეტილებების რაოდენობა თვეების მიხედვით



1. სასამართლო დავების სტატისტიკა

- ნაშთი 01.01.2017 წლისთვის
- გადამხდელის მიერ ინიცირებული
- სამსახურის მიერ ინიცირებული
- დასრულებული
- ნაშთი 01.01.2018 წლისთვის

საქმეთა რაოდენობა

2,645
 541
 1,915
 1,204
 3,897

2. გადახდისუნარობის საქმის წარმოების სტატისტიკა



- გადახდისუნარობის საქმეების ნაშთი 01.01.2017 წ.
- შემოსული
- დასრულებული
- ნაშთი 01.01.2018 წ

საქმეთა რაოდენობა


112
 54
 32
 134

3. 01.01. 2017 წლისათვის არსებული ნაშთის სტრუქტურა სასამართლო დავის სახეების მიხედვით – 2,645


4. საანგარიშო პერიოდში გადახდელის მიერ ინიცირებული დავები სახეების მიხედვით - 541




5. სამსახურის მიერ ინიცირებული საქმეების სტრუქტურა დავის სახეების მიხედვით - 1,915




6. დასრულებული საქმეების სტრუქტურა მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით - 1,204




6.1. დასრულებული აუდიტის სასამართლო დავები - 78




6.2. დასრულებული ყადაღის დავები - 928



7. 01.01.2018 წ. არსებული წაშლის სტრუქტურა



8. გადახდისუნარობის საქმის წარმოების სტატისტიკა





სარკინიგზო რენტგენო-სკანერი – გარდაბანი



იურიდიული დეპარტამენტი





მოგესალმებით, მეგობრებო!

მოხარული ვარ გაგაცნოთ გასული, 2017 წლის, ანგარიში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ.

იურიდიული დეპარტამენტი კვლავ განაგრძობს მჭიდრო თანამშრომლობას სამსახურის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას არსებული სამართლებრივი ბაზის სწორი და ერთგვაროვანი ინტერპრეტაცია; შემუშავდეს და განზოგადდეს სამსახურის მიდგომა გადამხდელთათვის მნიშვნელოვან თემებთან მიმართებაში; ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი მეთოდოლოგიური ბაზა პრობლემური საკითხების გადაჭრისას.

ჩვენი გუნდის საქმიანობა ძირითადად ორიენტირებულია საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზაზე, სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაზე, განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით, წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების ორგანიზაციულ უზრუნველყოფაზე, სხვადასხვა სიტუაციური სახელმძღვანელოებისა და მეთოდური მითითებების შემუშავებაზე. ასევე, დეპარტამენტის ფუნქციებს განეკუთვნება შემოსავლების სამსახურიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა და გადასახადის გადამხდელის/მისი წარმომადგენლის/სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა.

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს ინფორმაციას დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ, სწორედ ზემოაღნიშნული მიმართულებებით განხორციელებული სამუშაოების თაობაზე და სტატისტიკურ მაჩვენებლებს.

პატივისცემით,
ლევან ნითელაშვილი
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა;
- სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
- განსახორციელებელი/განხორციელებული ოპერაციის მიხედვით, საგადასახადო ანგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულებების თაობაზე, წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემასთან დაკავშირებით შემოსული დოკუმენტების განხილვა და გადაწყვეტილების მიღების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
- სამსახურში სამართალდარღვევის საქმისწარმოებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების და მეთოდური მითითებების შემუშავება;
- სამსახურიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;
- გადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა.



2017 წელს, იურიდიული დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ზოგადი სტატისტიკური მონაცემები:

იურიდიულ დეპარტამენტში მომზადებული/განხილული და შესაბამის უწყებებში გაგზავნილი წერილები	651
წერილები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე	36
საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველი საკითხები, რაც, უფლებამოსილების ფარგლებში, განხილულ იქნა შემოსავლების სამსახურში/იურიდიულ დეპარტამენტში	251
მომზადებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ/სამართლებრივი აქტის პროექტები	93
მომზადებული ნორმატიული ადმინისტრაციულ/სამართლებრივი აქტის პროექტები	81

შემოსავლების სამსახურის სისტემაში შექმნილი სათათბირო ორგანოები, რომელთა სამართლებრივ და ორგანიზაციულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს იურიდიული დეპარტამენტი:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული, განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით, საგადასახადო ანგარიშგების წესების ან შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულებების თაობაზე წინასწარი გადაწყვეტილების პროექტების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფები;
- საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის განმარტებებისა და სიტუაციური სახელმძღვანელოების განმხილველი საკოორდინაციო საბჭო.

სიტუაციური სახელმძღვანელოების შესახებ

სიტუაციურ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით:	
სულ განხილული სიტუაციური სახელმძღვანელოები	87
დამტკიცდა	68
არ დამტკიცდა	19

წინასწარი გადაწყვეტილებების შესახებ

წინასწარ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
განხილული მოთხოვნები წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე	39	31	46	38	50	47	35	37	44	54	49	47
უარი წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემაზე	0	2	1	2	0	0	1	0	0	1	1	0
მიმდინარე განხილვის რეჟიმში (მათ შორის საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გაგზავნილი შესათანხმებლად)	37	28	34	31	45	42	20	31	44	40	36	38
გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილება	2	1	11	5	5	5	14	6	0	13	12	9


მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც განხილულ იქნა წინასწარი გადაწყვეტილებების გამოცემისას და შემუშავდა სამსახურის ერთიანი მიდგომა:

- „კრედიტის დეფოლტის სკოპის“ (CDS) შესახებ ხელშეკრულებით მომსახურების მიმღები მხარის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის საკითხი;
- გადაზიდვისას შესაფუთი საშუალებების (ხის სეპარაციების) გამოყენებასთან მიმართებით დღგ-ის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის საკითხი;
- სანარმოს რეორგანიზაციის შემთხვევაში აქტივების გადაცემისას წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის საკითხი;
- ბარტერული ოპერაციის ფარგლებში საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის საკითხი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 79-ე ნაწილის შესაბამისად, უძრავი ქონების მიწოდების დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლების საკითხი;
- საქონლის (ბინის) მიწოდებამდე წინარე ხელშეკრულების ფარგლებში მყიდველისაგან მიღებული გადახდის დღგ-ით დასაბეგრ ავანსად განხილვის საკითხი;
- ორმაგი დაბეგვრისგან თავის არიდების თაობაზე საერთაშორისო ხელშეკრულების მიზნებისთვის კაპიტალში ინვესტირებული თანხის ოდენობის განსაზღვრის საკითხი;
- უკუდაბეგვრის დღგ-ის და გადახდილი დღგ-ის თანხების აღდგენისა და აღდგენილი დღგ-ის თანხის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის საკითხი;
- კინოფილმების საჯაროდ ჩვენების უფლების გადმოცემის სანაცვლოდ მიღებული შემოსავლის როიალტად განხილვის საკითხი;

- ჩასათვლელი დღგ-ის თანხის ოდენობის განსაზღვრის საკითხი იმ ძირითადი საშუალების მიწოდებისას, რომელთა შეძენის დროს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის მე-7-მე-9 ნაწილების გათვალისწინებით გადასახადის გადამხდელს არ მიუღია დღგ-ის ჩათვლა;
- სარეალიზაციოდ განკუთვნილ ძირითად საქონელთან ერთად, დამატებითი საზღაურის მოთხოვნის გარეშე სარეკლამო ტიპის პროდუქციის მიწოდებისას საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის საკითხი დღგ-ის და მოგების გადასახადთან მიმართებით (2017 წლის 1 იანვრამდე და შემდგომ პერიოდებში);
- არარეზიდენტი კომპანიისთვის სარეკლამო მომსახურების გაწევისა და დღგ-ის მიზნებისთვის მომსახურების გაწევის ადგილის განსაზღვრის საკითხი;
- სადაზღვევო სფეროში გაწეული საბროკერო მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის საკითხი;
- საქართველოს საწარმოს მიერ ფუნქციონალურ ვალუტად უცხოური ვალუტის გამოყენების შემთხვევაში, ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრის საკითხი;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ სწრაფი გადახდის აპარატით კლიენტებისგან კომუნალური და სხვა სახის გადასახდელების მიღებისთვის გათვალისწინებული საკომისიოს დღგ-ით დაბეგვრის საკითხი;
- სალიზინგო ურთიერთობის ფარგლებში, ლიზინგის გამცემის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე დაკისრებული სანქციის (ჯარიმის) გადახდის ოპერაციის შეფასება საგადასახადო მიზნებისთვის;
- არარეზიდენტი კომპანიისთვის საქართველოს საწარმოს მიერ პირგასამტეხლოს/ჯარიმის სახით გადახდილი განაცემის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის შესაბამისად, გადახდის წყაროსთან დაბეგვრის საკითხი.



შემუშავდა სხვადასხვა სამართლებრივი აქტების პროექტები; კერძოდ:

- „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი. პროექტი შეეხება მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის დღგ-ით დაბეგვრას. კერძოდ, რა შემთხვევაში განიხილება წინასწარ გადახდილი თანხა საკომპენსაციო თანხად. ამასთან, ცვლილებაში წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითები შეფასებასთან ერთად;
- „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი. პროექტით მტკიცდება საგადასახადო ანგარიშ/ფაქტურის ახალი ფორმა, რომელიც გამოიწერება საქონლის მიწოდებამდე ან მომსახურების გაწევამდე მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის წინასწარ გადახდის შემთხვევაში. ბრძანებას ემატება ახალი საგადასახადო ანგარიშ/ფაქტურის შევსების წესი. ცვლილება შედის ასევე, დღგ-ის დეკლარაციის ფორმასა და მისი შევსების წესშიც;
- „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი. პროექტი შეეხება ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას. მტკიცდება დეკლარაციის ფორმა და მისი შევსების წესი. ასევე, რეგულირდება მოსაკრებლის გადახდის საკითხი ისეთი შემთხვევებისთვის, როგორიცაა აზარტული ან მომგებიანი თამაშების მოწყობის ნებართვის მოქმედების ვადა სრულდება საანგარიშო პერიოდის (კვარტლის) განმავლობაში;
- „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი. პროექტი შეეხება „ვეროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაარსების შესახებ“ საერთაშორისო

შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად, EBRD-ის კუთვნილი დივიდენდებიდან, წყაროსთან დაბეგრული დაგადახდილი გადასახადის თანხების EBRD-სთვის დაბრუნებას;

- „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი - ლომბარდების მიერ წარმოსადგენი ინფორმაციის ფორმის დამატებასთან დაკავშირებით;
- „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონისპროექტი მომზადებულ იქნა გადასახადების ადმინისტრირების ნაწილში ცვლილების განხორციელების მიზნით და მოიცავდა მოგებისა და დღგ-ის დაბეგვრასთან, ასევე მოგების, სამემოსავლო და დღგ-ის ნაწილში გარკვეული საგადასახადო შეღავათების დაწესებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს;
- „გასვლითი საგადასახადო შემოწმების პროცედურის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 28 თებერვლის №4961 ბრძანება;
- „საგადასახადო კანონმდებლობის ცალკეული ნორმების გამოყენების თაობაზე სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 12 აგვისტოს №1475 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ შემოსავლების სამსახურის 2017 წლის 23 თებერვლის №4471 ბრძანება, რომელიც გამოცემულ იქნა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი რეჟიმის ამოქმედებასთან დაკავშირებით მომზადებული სიტუაციური სახელმძღვანელოების დამტკიცების მიზნით;
- მომზადდა არარეზიდენტი პირებისთვის დღგ-ის დაბრუნების წესთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების პროექტი;
- შესწავლილ იქნა საქართველოში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების HICD 2020 პროექტის ფარგლებში განხორციელებულ პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციები, ასევე შემოსავლების სამსახურის ფუნქციურ ანალიზთან დაკავშირებით. განხორციელდა შემოსავლების სამსახურის უფროსის N2742 ბრძანების ცვლილების პროექტის შედგენა.



დამუშავებული ხელშეკრულებები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები:

- საბაჟო გამშვებ პუნქტებზე, საბანკო/ფინანსური საქმიანობის განხორციელებისთვის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კომერციული ბანკებისთვის სარგებლობაში გადაცემის მიზნით, მომზადდა და ხელი მოეწერა შემოსავლების სამსახურსა და სს „ლიბერთი ბანკს“ შორის გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებას;
- შესწავლილ იქნა OECD-ის ორ პროექტთან (რომის ანგარიშის მესამე გამოცემა და გლობალური ცნობარის პირველი გამოცემა) დაკავშირებული კითხვარი. ზემოაღნიშნული კითხვარი, კომპეტენციის ფარგლებში, შევსებულ იქნა და გაიგზავნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შემდგომი რეაგირებისთვის;
- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, იძებულით აღსრულებას დაექვემდებარა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით საგადასახადო ორგანოს განხილვას დაქვემდებარებულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი; აგრეთვე ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ უფლებამოსილი თანამდებობის პირის დადგენილება ნებაყოფლობითი აღსრულებისთვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ. დადგინდა სააღსრულებო ფურცლის ფორმა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრული სააღსრულებო ფურცლის რეკვიზიტების გათვალისწინებით. აღნიშნული საკითხები ასახულ იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში. საგადასახადო ორგანოს მიერ შესაძლებელი გახდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის შეფარდებული სანქციის (ფულადი ჯარიმის) სამართლებრივად სწორი მიმართულებით ადმინისტრირება;



- საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილი გახდა საგადასახადო კოდექსის 145-ე მუხლის მე-6 ნაწილში აღნიშნული პირობების გაუთვალისწინებლად ჩამოწეროს დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად განადგურებული/დაკარგული სასაქონლო/მატერიალური ფასეულობები. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით განისაზღვრა, რომ გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილი იქნება ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის 32-ე და 37-ე მუხლებით დადგენილი პირობებისა და პროცედურების გაუთვალისწინებლად, ჩამოწეროს დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად განადგურებული/დაკარგულის სასაქონლო/მატერიალური ფასეულობები. განისაზღვრა კონკრეტული პროცედურები; აღნიშნული საკითხის სამართლებრივმა რეგულირებამ გაამარტივა გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის პროცესი სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერასთან დაკავშირებით;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1537 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში (ფასის ლარით გამოხატვის წესის დარღვევა), თუ სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას და სამართალდამრღვევი უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან/და ჩაბარებაზე და აღნიშნული დაფიქსირებული იქნება ტექნიკური საშუალებით (ფოტო ან/და ვიდეო გადაღების მეშვეობით), ოქმი ჩაბარებულად ჩაითვლება. ასევე, ცვლილება განხორციელდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებასთან დაკავშირებით იმ შემთხვევებზე, როდესაც სამართალდამრღვევი არ ესწრება ოქმის შედგენას, ოქმი გაიგზავნება ოქმის შემდგენისთვის ცნობილ მისამართზე, მათ შორის, შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის - გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებელის გვერდზე (თუ სამართალდამრღვევი გადასახადის გადამხდელია) და ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე. თუ ადრესატისთვის მისი ჩაბარება ვერ მოხერხდა, ოქმი განმეორებით იგზავნება მისი შემდგენისთვის ცნობილ მისამართზე. გზავნილის განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ოქმი საჯაროდ გავრცელდება შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებით და ჩაბარებულად ითვლება განთავსებიდან ე-20 დღეს. ეს საკითხი ასახულ იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში. აღნიშნული რეგულაციით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და ეფექტური გახდა ზემოაღნიშნული სამართალდარღვევის ადმინისტრირება.



გაფორმების ეკონომიკური ზონა ფოთი

ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი





მოგესალმებით,

ყველა კორპორაციის წარმატებულ ფუნქციონირებას თანამშრომლები განაპირობებენ. სწორედ ადამიანური რესურსია ყველა ტიპის საქმიანობის ეფექტურად განხორციელების მთავარი პერპენდუმი. ამიტომ, მოხარული ვარ, რომ თანამშრომლებთან მჭიდროდ გადაჭაჭვულ სტრუქტურულ ერთეულს - ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს წარმოვადგენ.

2017 წელს საფუძველი ჩავუყარეთ შიდა საკადრო სისტემების გამართვის პროცესებს, მათ შორის: ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწას, სამუშაოს შესრულების შეფასების ახალი სისტემების შემუშავებას, კომუნიკაციის არხების გამართვას, შიდა პროცესების სისტემატიზაციასა და თანამშრომელთა პიროვნული/პროფესიული კომპეტენციების განვითარების პროგრამების შექმნას.

პრიორიტეტულ მიმართულებათ დავისახეთ დასაქმების ბაზარზე პოზიტიური და კონკურენტული პოზიციონირება. შესაბამისად, მიმდინარე წელს, აქტიური მუშაობა დავიწყეთ პროფესიონალი კადრების მოსაზიდად.

2017 წელს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი აქტიურად ჩაუდგა სათავეში შემდეგი მიმართულებების განვითარებას:

- თანამშრომელთა რეტენცია;
- თანამშრომელთა შრომითი კმაყოფილების ზრდა;
- ორგანიზაციული კულტურის გაძლიერება;
- სამუშაო ძალების დაგეგმვა და ოპტიმიზაცია.

წინ ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება იგეგმება. მათ შორის, დაწყებულია სტრატეგიული ამოცანების სისრულეში მოყვანის პროცესი. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების გუნდი მზად ვართ თავდაუზოგავი შრომისთვის, შემოსავლების სამსახურის ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივის - თანამშრომლების შრომითი ეფექტურობის გაზრდის მისაღწევად.

პატივისცემით,

სალომე ჟორჟოლიანი

ადამიანური რესურსების მართვისა და
განვითარების დეპარტამენტის უფროსი

შემოსავლების სამსახურის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულია **3,646** თანამშრომელი, მათ შორის - **280** შტატგარეშე მოსამსახურე

- საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ, ადმინისტრირებული ვებგვერდის - hr.gov.ge მეშვეობით, შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე, შეფასების ეტაპებით (გადარჩევა/შეფასება/ ტესტირება/ გასაუბრება), შეირჩა და დაინიშნა 273 პირი;
- 2017 წლის განმავლობაში, დაინიშნა 606 თანამშრომელი, ხოლო სხვა თანამდებობაზე გადაყვანილ იქნა 809 პირი.

სტაჟირების ორგანიზება

- ერთიანი საკადრო პოლიტიკის გასატარებლად, კადრების რეზერვის შექმნის ხელშეწყობის, პოტენციური თანამშრომლის მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, გამოცხადებული კონკურსის შედეგად (გადარჩევა/ტესტირება/გასაუბრება), შეირჩა და სწავლება (თეორიული/პრაქტიკული მეცადინეობის ფორმა) გაიარა 182 სტაჟიორმა;
- საჯარო დაწესებულებაში დასაქმების მსურველ პირთათვის, პროფესიული გამოცდილების შეძენის შესაძლებლობის შექმნის, შესაბამისი პროფილის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში სტაჟირება გაიარა საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების 26 სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა;
- დღეის მონაცემებით, მიმდინარეობს საბაჟო დეპარტამენტის 189 სტაჟიორის სწავლების პროცესი.

პრაქტიკის გავლის ორგანიზება

- შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში, პრაქტიკა გაიარა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლისა და პროფესიული კოლეჯის 361 სტუდენტმა;



დასაქმების ფორუმში მონაწილეობა

- ახალგაზრდა თაობის, შემოსავლების სამსახურით დაინტერესებისა და პოტენციური თანამშრომლების მოზიდვის მიზნით, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმებში.

სწავლება

- ტრენინგების საჭიროების კვლევის (TNA) შედეგების გათვალისწინებით
- პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება/განვითარების ტრენინგი გაიარა 380 თანამშრომელმა;
- კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარების ტრენინგი გაიარა 198 თანამშრომელმა.



საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლება

- საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სასწავლო კურსებში მონაწილეობა მიიღო და საზღვარგარეთ კვალიფიკაცია აიმაღლა შემოსავლების სამსახურის 155 თანამშრომელმა.

ელექტრონული სწავლების პორტალი /e-learning/

- შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სწავლების პორტალის - ac.rs.ge მეშვეობით:
- სასწავლო კურსი - „პერსონალური მონაცემების დაცვა“, „საგადასახადო საიდუმლოება“ გაიარა/გადის სამსახურის სტრუქტურული ერთეულის ყველა თანამშრომელი;
- საბაჟო მიმართულებით, სხვადასხვა სასწავლო კურსი გაიარა 244 თანამშრომელმა.

შეფასების სისტემის დანერგვა

2017 წლის ბოლოს, დავიწყეთ შესასრულებელი სამუშაოს აღწერისა და ანალიზის პროცესი, რომელიც გულისხმობს ყველა სტრუქტურულ ერთეულზე სამუშაო აღწერილობის ფორმის შემუშავებას. პროცესის მიზანია სისტემატიზირებული შიდა ინსტრუქციების მომზადება და ყველა თანამდებობაზე რელევანტური შეფასების კრიტერიუმების შემუშავება. 2018 წელს, ახალი შეფასების მეთოდების შექმნა და დამტკიცება იგეგმება.



საბაჟო გამშვები პუნქტი ვარნახი

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტი

#ჩვენთანურთიერთობამარტივია



გამოწვევებით, სიახლეებით, სირთულებით, სასიამოვნო და საამაყო მოგონებებით სავსე, თუმცა ჩვენი სამსახურისთვის დიდი დანაკარგისა და ტკივილის მომტანი ბოლო კვირით დასრულებული კიდეც ერთი, უმნიშვნელოვანესი წელი ჩაიწერა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ისტორიაში.

2017 - შემოსავლების სამსახურის რეფორმირების, გადასახადის გადამხდელთათვის ახალი, მოქნილი, სწრაფი და ხელმისაწვდომი სერვისების შეთავაზების წელი იყო. აღნიშნულ კონტექსტში, ჩვენ, შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის გუნდმა გადასახადების გადამხდელს მისთვის მნიშვნელოვანი, საინტერესო და აქტუალური ინფორმაცია კომუნიკაციის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი, სწრაფი, ეფექტური და ამავე დროს უახლესი გამოწვევების შესაბამისად, მათ შორის ციფრული მარკეტინგის თუმცა უახლესი, მაგრამ უკვე კარგად აპრობირებული, დადებითი ეფექტების მქონე ხერხების გამოყენებით შევთავაზეთ. მიგვაჩნია, რომ ჩვენი მოვალეობაა გადამხდელს გავუმარტივოთ ურთიერთობა შემოსავლების სამსახურთან, ხელი შევუწყოთ ბიზნესსექტორსა და ჩვენ სამსახურს შორის ნდობის გაღრმავებასა და მეტი კომუნიკაციის უზრუნველყოფას, მოვახდინოთ გადასახადების გადამხდელთა სწრაფი და ეფექტური ინფორმირება, რაც თავის მხრივ შეცდომებითა და საკანონმდებლო ვალდებულებათა შეუსრულებლობით გამოწვეული პრობლემების პრევენციის უმთავრესი პირობაა. შესაბამისად, კვლავაც ვრჩებით საზოგადოებასთან კომუნიკაციის 24/7 რეჟიმში რაც ნიშნავს იმას, რომ შემოსავლების სამსახურის სლოგანი 2018 უცვლელი რჩება:

ჩვენთან ურთიერთობა მარტივია

პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით
სათია მოისწრაფიშვილი
 საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის
 დეპარტამენტის უფროსი

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის 2017 წლის ანგარიშში აღწერილია დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი, ორგანიზებული და გაშუქებული ყველა ღონისძიება; სამინისტროში გატარებული წარმატებული რეფორმების ფარგლებში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს მიერ განხორციელდა სხვადასხვა სახის, შემეცნებითი, სოციალური და საინფორმაციო კამპანიები.

26 იანვარი საბაჟოს საერთაშორისო დღეა

2017 წელს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) წევრ ქვეყნებთან ერთად, საბაჟოს საერთაშორისო დღე აღნიშნა. ღონისძიება გაიმართა სლოგანით – „მონაცემთა ანალიზი საზღვრის ეფექტიანი მართვისთვის“;



23 აპრილს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა 10 წლის იუბილე აღნიშნა

საზეიმო ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ასევე, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ;



შეხსენებითი კამპანია

გადამხდელთა ინფორმირების მიზნით, მომზადდა და ტელეკომპანიების სამაუწყებლო ბადეში განთავსდა სოციალური ვიდეო რგოლი თემაზე – „**1 ივლისიდან ლარით ფასდადება სავალდებულო ხდება**“.

კამპანიის ფარგლებში, განხორციელდა შეხვედრები ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან. სასტუმროში „რადისონ ბლუ ივერია“ პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი და შემოსავლების სამსახურის უფროსი გიორგი თაბუაშვილი საქართველოს ბიზნეს და დამსაქმებელთა ასოციაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ. აღნიშნული კამპანია აქტიურად გაშუქდა მედია საშუალებების მიერ;

აქტიურად განხორციელდა შეხსენებითი კამპანია

- ფიზიკური პირების მიერ ქონების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვადისა და წესების შესახებ;



საინფორმაციო კამპანია - მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესის თაობაზე

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა გადასახადის გადამხდელთათვის, მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესის თაობაზე, ღია კარის დღეები გამართეს. აღნიშნული კამპანია აქტიურად გაშუქდა მედია საშუალებების მიერ;



საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ინიციატივით, მედიის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და მათი უკეთ ინფორმირების მიზნით მედიატური მოწვევა. ჟურნალისტებმა ფოტოს გაფორმების ეკონომიკური ზონა დაათვალიერეს და სისტემაში დანერგილი ელექტრონული სერვისების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს;



ეროვნული უმცირესობების უკეთ ინფორმირების მიზნით, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო აქტიურად თანამშრომლობს აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან გაზეთებთან. 2017 წლის განმავლობაში, 60 საინფორმაციო სტატია გამოქვეყნდა;

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ხელშეწყობითა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინიციატივით, მიკრობიზნესის სტატუსი 26 მსჯავრდებულს მიენიჭა. სხვადასხვა მედია საშუალებებით, აქტიურად განხორციელდა მოქალაქეთა ინფორმირება;



შემეცნებითი კამპანია

საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის 5 საგანმანათლებლო ტური გაიმართა;

ინტელექტუალური ბიზნეს ოლიმპიადის ფარგლებში, რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს ბიზნეს აკადემიის მიერ, შემოსავლების სამსახურს, როგორც წლის საუკეთესო პარტნიორს, სამახსოვრო სერტიფიკატი გადაეცა. გამარჯვებული გუნდის წევრებმა შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვები პუნქტები, მოქალაქეთა მომსახურების სერვისცენტრები და გაფორმების ეკონომიკურ ზონები მოინახულეს. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური მომავალშიც აქტიურად იქნება მსგავსი პროექტების პარტნიორი;

სამართალდარღვევათა აღკვეთისა და პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით, მუდმივად ხდება საზოგადოების ინფორმირება საქართველოს ტერიტორიაზე საგადასახადო და საბაჟო კანონდარღვევების დროული გამოვლენის შემთხვევების შესახებ.

2017 წლის განმავლობაში, გამოქვეყნდა 404 პრესრელიზი.



შემოსავლების სამსახურის, **Facebook** გვერდზე, მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა შინაარსის საინფორმაციო/თემატური ბანერების განთავსება; მომზადდა და განთავსდა **69 საინფორმაციო ბანერი**.




შემოსავლების სამსახურის ვებგვერდსა და **Facebook** გვერდზე მუდმივად ქვეყნდება **მოდრავი სერვისცენტრის - RS CAR** - ყოველთვიური გრაფიკი



► 2017 წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის **Facebook** გვერდს ჰყავდა **34 104 მომხმარებელი**

► 01.01.2017 – 31.12.2017 ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო გამოვლინების რაოდენობრივი მაჩვენებელი მედია სივრცეში. (მედია ინტერვიუ/ საინფორმაციო რელიზი/სატელევიზიო სიუჟეტი)





შემოსავლების სამსახური სისტემატურად მონაწილეობს სისხლის უანგარო დონაციის აქციებში



მუდმივად ხდება საზოგადოების ინფორმირებულობა მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების თაობაზე. დღეის მონაცემებით ამ სტატუსით **281 გადამხდელი სარგებლობს**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (**WCO**) ორგანიზებით, თბილისში, სასტუმრო „ბილტმორ თბილისში“ მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის საინფორმაციო ტექნოლოგიების მე-16 კონფერენცია და გამოფენა (**2017 World Customs Organization IT Conference and Exhibition**) გაიმართა. ღონისძიების აქტიური საინფორმაციო კამპანია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის მხარდაჭერით განხორციელდა.



სატელევიზიო ინტერვიუები აქტუალურ თემაზე

დეკლარაციის წარდგენის ვადა 1 ნოემბერს იწურება



ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა გადასახადის გადამხდელებს, იმპორტის, ექსპორტის, ასევე საკანონმდებლო ცვლილებებისა და სიახლეების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაეროს ნარკოტიკებთან ბრძოლის ოფისის ორგანიზებით, თბილისში რეგიონული შეხვედრა გაიმართა



საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო აქტიურად არის ჩართული ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის განახლებისა და სრულყოფის მიზნით შექმნილი ჯგუფის მუშაობის პროცესში.



ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და გუნდური უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, შემოსავლების სამსახურის მარკეტინგის სამმართველოს დეპარტამენტის ორგანიზებით, კარტინგით რბოლაში სამოყვარულო ტურნირი ჩატარდა.



საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო 24/7 რეჟიმში მუშაობს;

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მარკეტინგის სამმართველომ, სოციალური საწარმოს „ბაბალე“ ბენეფიციარებთან ერთად განახორციელა სოციალური პროექტი, რომლის ფარგლებში შეძენილი სააღდგომო საჩუქრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიერ იყო დამზადებული.



2017 წლის 12 თვის განმავლობაში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მარკეტინგის სამმართველოს მიერ, მომზადდა სხვადასხვა ბრენდირებული ნივთი (საგადასახადო და სამაგიდე კალენდარი, სასაჩუქრე და ყოველდღიური მოხმარების ბლოკნოტები, კალამი, სასაჩუქრე ჩანთა და ა.შ.);



შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტი მომავალშიც დიდ ყურადღებას დაუთმობს პრიორიტეტული ამოცანების (საზოგადოების მუდმივი ინფორმირება, გამარტივებული ელექტრონული სერვისებისა და სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, გადამხდელეთან/დაინტერესებულ პირებთან შეხვედრები/ღია კარის დღეები, საგადასახადო და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების მონიტორინგი, მომავალი თაობის ცნობიერების ამაღლება გადასახადის გადახდის მნიშვნელობასთან დაკავშირებით და სხვა) შესრულებისა და ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში გაცვლის პროცესს.







მოგესალმებით, ფინანსური დეპარტამენტის სახელით!

მოხარული ვარ, რომ შეძლევას საშუალება, წარმოგიდგინოთ ფინანსური დეპარტამენტის მიერ, 2017 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში. ჩვენი დეპარტამენტის ფუნქციაა, ხელი შეუწყოს სამსახურის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, უზრუნველყოს მათი მუშაობა როგორც ფინანსური, ასევე მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერით. დეპარტამენტის თანამშრომელთა ყოველდღიური გულმოდგინე ძალისხმევის შედეგად, სამსახურის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტის გზაზე, საანგარიშო წლის განმავლობაში, შეუფერხებლად ხორციელდებოდა ყველა ის პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც დასახული/ინიცირებული იყო სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ. ამასთან, ქვეყნისა და სამსახურის იმიჯის პირუთვნელად დაცვის ვალდებულებიდან გამომდინარე, ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა სამსახურის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და მოდერნიზაცია. ზემოხსენებული ღონისძიებების ძირითად საფუძველს და მთავარ მიზანს წარმოადგენდა ვიზიტორების და გადამხდელებისთვის შემოსავლების სამსახურის მიერ შეთავაზებული სერვისების მაქსიმალურად ხარისხიანად მიწოდების საკითხში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული საქმიანობის ხელშეწყობა.

პატივისცემით,
გიორგი გომარული
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

სსიპ შემოსავლების სამსახურის 2017 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენდა **143,700,000** ლარს, რომელიც შესრულდა **99,5%-ით**; კერძოდ:

დასახელება	გეგმა	საბაჟო შესრულება	%
სულ 2017 წლის ბიუჯეტი	143,752.0	142,976.7	99.5%
მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტი	33,600.0	32,957.3	98.1%
მ.შ საკუთარი სახსრები	110,152.0	110,019.4	99.9%

კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსავლების 2017 წლის გეგმა განსაზღვრული იყო **97,200,000** ლარით, რომელიც შესრულდა **11,6%-იანი** გადაჭარბებით და ფაქტიურად მობილიზებულმა შემოსავალმა **108,500,000** ლარი შეადგინა.

საგადასახადო/საბაჟო მომსახურების სრულყოფის და განვითარების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, ფინანსური დეპარტამენტი, უწყვეტ რეჟიმში, ახორციელებდა სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებს, რაც მოიცავდა როგორც მომსახურების ოფისებში სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, ისე სხვადასხვა პროგრამების დანერგვას, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვას და სამსახურის საჭიროების შესაბამისად სხვადასხვა მიმდინარე ღონისძიებების დაფინანსებას; კერძოდ:

ა) მომსახურების სტანდარტების გაუმჯობესების და ვიზიტორთა შეუფერხებელი გადაადგილების მიზნით, სარემონტო/სარეაბილიტაციო/კეთილმოწყობის სამუშაოები განხორციელდა შემდეგ ობიექტებზე:

- ➔ **გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი“** – სრულად გარემონტდა გადამხდელთა მომსახურების დარბაზი, განხორციელდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, მოეწყო ჩამდინარე წყლების ახალი სისტემა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა სახანძრო უსაფრთხოებისთვის საჭირო წყლის რეზერვუარს (აუზს); ასევე მოწესრიგდა შენობის ფასადი;
- ➔ **გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმი“:**
 - ✓ საქართველოს საბაჟო ინფრასტრუქტურას შეემატა კიდევ ერთი ევროპული სტანდარტების შესაბამისი ფიტოსანიტარიული კონტროლისთვის განკუთვნილი შენობა. კერძოდ ადგილის ტერიტორიაზე აშენდა და შესაბამისი სტანდარტების მიხედვით მოეწყო ახალი შენობა, რომელიც აღიჭურვა საჭირო დანადგარებით და სტანდარტების შესაბამისი ინვენტარით;
 - ✓ განხორციელდა გაფორმების ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზე არსებული სასაწყობო ფართების მოდერნიზაცია და რემონტი; გარემონტდა სკანერის პულტის შენობა და განხორციელდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ➔ **გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისის აეროპორტი“** - განხორციელდა შიდა სარემონტო სამუშაოები;
- ➔ **საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფი“** - რამდენიმე ეტაპად განხორციელდა შიდა სარემონტო სამუშაოები, კერძოდ: მოწესრიგდა ვიზიტორთა შემოსვლელი/გამსვლელი გვირაბების, მომსახურების განვითარების და დარბაზების ვიზუალური მხარე; ეზოს ტერიტორიაზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა სხვადასხვა ლითონკონსტრუქციებს; დაწყებულია და 2018 წლის გაზაფხულზე დასრულდება სახურავის სრული რეაბილიტაცია;
- ➔ **საბაჟო გამშვები პუნქტი „ფოთის პორტი“** - განხორციელდა ფიტოსანიტარიული კონტროლისთვის განკუთვნილი შენობის ევროპული სტანდარტების შესაბამისად მოდერნიზება;
- ➔ **ფოთის სარკინიგზო სკანერის პულტის შენობა** - განხორციელდა ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა;
- ➔ **საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“** - განხორციელდა შიდა სარემონტო, ეზოს კეთილმოწყობის და გაბიონის ღობის მოწყობის სამუშაოები;
- ➔ **საბაჟო გამშვები პუნქტი „ვალე“** - განხორციელდა შიდა სარემონტო და ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები;

- **საბაჟო გამშვები პუნქტი „გუგუთი“** - განხორციელდა შიდა სარემონტო და ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- **საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“** - განხორციელდა შიდა სარემონტო და ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები; ასევე სრულად შეიცვალა ასფალტის საფარი;
- **საბაჟო გამშვები პუნქტი „სადახლო“** - შიდა და გარე ტერიტორიებზე სხვადასხვა სარემონტო სამუშაოები განხორციელდა;
- **საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდი“** - შიდა და გარე ტერიტორიებზე სხვადასხვა სარემონტო სამუშაოები განხორციელდა;
- **საბაჟო გამშვები პუნქტი „ახვერპი“** - ტერიტორიაზე მოეწყო სხვადასხვა დამხმარე ნაგებობები, ასევე მოწესრიგდა ეზო, მოეწყო გარე განათების ლამპიონები, შეიცვალა ღობე;
- **საბაჟო გამშვები პუნქტი „კარნახი“** - დასრულდა ფიტოსანიტარიული კონტროლისთვის განკუთვნილი შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოები;
- **ვაკე-საბურთალოს სერვისცენტრი** - განხორციელდა გადამხდელთა მომსახურების დარბაზის კაპიტალური რემონტი;
- **მცხეთის სერვისცენტრი** - განხორციელდა შიდა სარემონტო სამუშაოები და ფასადის რეაბილიტაცია;
- **გლდანი-ნაძალადევის სერვისცენტრი** - განხორციელდა შიდა სარემონტო სამუშაოები;
- **საგარეჯოს სერვისცენტრი** - განხორციელდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები;
- **ოზურგეთის სერვისცენტრი** - განხორციელდა შენობის სრული რეაბილიტაცია;
- **გორის სერვისცენტრი** - განხორციელდა შიდა სარემონტო სამუშაოები;
- **ხაშურის სერვისცენტრი** - განხორციელდა შიდა სარემონტო სამუშაოები;
- **თელავის სერვისცენტრი** - განხორციელდა შიდა სარემონტო სამუშაოები;
- **ქუთაისის სერვისცენტრი** - განხორციელდა ფასადის და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები.

ასევე, შემოსავლების სამსახურის შეუფერხებლად მუშაობის უზრუნველსაყოფად, განხორციელდა:

- **საბაჟო დეპარტამენტის შენობა (ორხევი)** - დასრულდა შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- **ორხევში კინოლოგიის ეზოს კეთილმოწყობა** - მოეწყო სამსახურებრივი ძაღლების ახალი სავარჯიშო მოედანი (განხორციელდა ანგარის მოწყობა და ტერიტორიის მოშანდაკება);
- **აუდიტის დეპარტამენტის შენობა (თბილისი, გულუას N6)** - განხორციელდა მთელ შენობაზე არსებული მინის ფასადის გამაგრების სამუშაოები;
- **ალექსიძის N1-ში მდებარე შენობა** - სრულად გარემონტდა ფასადი, შეიცვალა ასფალტის საფარი და განხორციელდა ეზოს კეთილმოწყობის სხვადასხვა სამუშაოები.

შემოსავლების სამსახურის ობიექტების სამშენებლო/სარემონტო სამუშაოებზე, ასევე სამსახურის სხვადასხვა ტექნიკითა და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვის მიზნით (არაფინანსური აქტივების ზრდა), 2017 წელს, ჯამში, დაიხარჯა დაახლოებით 7,000,000 ლარი. აქედან, საბაჟო/ საგადასახადო კონტროლის გაუმჯობესების და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, შეძენილ იქნა:

ა) კომპიუტერული ტექნიკა და მონაცემთა ბაზების უზრუნველყოფის სხვადასხვა პროგრამები, კერძოდ: ჩანაცვლდა დაახლოებით 700 პერსონალური კომპიუტერი; შემოსავლების სამსახურის ყველა ობიექტზე, ე.წ. „ჭკვიანი სვიჩების“ მოწყობის მიზნით, შესყიდულ/დამონტაჟებულ იქნა შესაბამისი რაოდენობის მოწყობილობები; აუდიტის პროგრამის შექმნის მიზნით, შეძენილ იქნა შესაბამისი ლიცენზიები; მონაცემთა ბაზების დაცვის სისტემის გაძლიერების უზრუნველსაყოფად შესყიდულ/დანერგილ იქნა დამატებითი პროგრამული პაკეტები; განხორციელდა სხვადასხვა საბაჟო/საგადასახადო სპეციალტურვილობის შესყიდვა, მათ შორის: განახლდა სამსახურის ქოლცენტრის აღჭურვილობა (დაინერგა ახალი მოდულები, შეძენილ იქნა დამატებითი IP ტელეფონები და ა.შ.); საგადასახადო მონიტორინგის მობილური ჯგუფები აღიჭურვა ციფრული რაციებით; სგპ „თბილისის აეროპორტში“ დაემატა ხელბარგის ერთი ახალი მაღალტექნოლოგიური სკანერი; საბაჟო გამშვებ

პუნქტებზე ვიდეო სათვალთვალო არეალის და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეძენილ იქნა დამატებითი ვიდეო სათვალთვალო კამერები; ექსპლუატაციაში შევიდა სგპ „ნინონმინდის“ სატვირთო ავტომობილების სკანერი; სგპ „ფოთის პორტის“ ახალი შენობა აღიჭურვა ახალი ავეჯით/ინვენტარით და ა.შ.

ბ) საანგარიშო პერიოდში, საბაჟო გამშვებ პუნქტებზე დაინერგა სატვირთო ავტომობილების რიგის რეგულირების სისტემა, რომელიც გამორიცხავს საბაჟო გამშვებ პუნქტებზე, მათ მიმდებარე ტერიტორიებზე და სახელმწიფო გზებზე დიდი ოდენობით სატვირთო ავტომობილების დაგროვებას და საგზაო მოძრაობის შეფერხებას. სისტემა წარმოადგენს სამართლიან და გამჭვირვალე პროცესს, რომლის მიხედვითაც უპირატესობა ენიჭება იმ ავტომობილს, რომელიც პირველი მივიდა დანიშნულების ადგილზე. ამასთან, ყველა დაინტერესებულ პირს აქვს ინფორმაცია რიგის პროცესის მიმდინარეობის შესახებ. სისტემა პროგრამულად ცენტრალიზებულად იმართება და გამორიცხავს გარეშე პირების ზემოქმედების შესაძლებლობას. გარდა ამისა, სისტემის მუშაობის პრინციპი უზრუნველყოფს სატვირთო ავტომობილების სპეციალურ ავტოსადგომზე პარკირების საკითხს, რომელიც გამოწვეულია მძღოლის დაინტერესებით - დროულად მოხვდეს სპეციალურ ავტოსადგომზე. საანგარიშო პერიოდში სისტემა დაინერგა საბაჟო გამშვები პუნქტების - სარფის, წითელი ხიდის და ლაგოდეხის მიმართულით, 6 სხვადასხვა ლოკაციაზე.

შემოსავლების სამსახურის სარგებლობაში არსებული ქონების მართვის მიმართულებით, გათვალისწინებულ იქნა ბიზნესის დაინტერესება და გამოცხადდა აუქციონები (შედგა) შემდეგ ობიექტებზე: მომსახურების სერვისცენტრებში, საბაჟო გამშვები პუნქტებისა და გაფორმების ეკონომიკური ზონების ტერიტორიებზე ყავის/ტკბილეულის აპარატების განთავსება; სგპ „სარფი“ - თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საწყობის განთავსება; გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმი“- თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საბაჟო საწყობი, სგპ „წითელი ხიდი“ - სავაჭრო ობიექტის განთავსება.

ფინანსური დეპარტამენტი საარქივო საქმიანობის მიმართულებით, კომპეტენციის ფარგლებში, აქტიურად იყო ჩართული, საანგარიშო წლის განმავლობაში, ქვეყანაში მიმდინარე მიწის ნაკვეთების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ რეფორმაში; კერძოდ „სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის შესრულების მიზნით, საჯარო რეესტრიდან, მოცემულ პერიოდში, შემოსულია **85,982** წერილი, ხოლო მიღებული წერილების საპასუხოდ, აღნიშნულ პერიოდში ეტაპობრივად გაგზავნილია **83,734** წერილი.

ფინანსური დეპარტამენტის საარქივო სამმართველოში, გასული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ელექტრონულად დამუშავდა და დაარქივდა სულ 275 745 გადამხდელის სარეგისტრაციო/დაბეგვრის საქმის დოკუმენტები.

ფინანსური დეპარტამენტის მიერ, ქვეყნის მასშტაბით, ხორციელდებოდა სხვადასხვა ლოკაციაზე განლაგებული შემოსავლების სამსახურის სარგებლობაში არსებული დაახლოებით 65 ობიექტის მოვლა/პატრონობა, რაც მოიცავს ამ ობიექტების მოვლა/დასუფთავებაზე ზრუნვას, აქ განლაგებული ინვენტარის, გათბობა/გაგრილების სისტემების, ელექტროენერგიის ძირითადი და ალტერნატიული წყაროების დანადგარების, სატრანსპორტო და სხვადასხვა სპეც. ტექნიკის უწყვეტად მუშა მდგომარეობაში ყოფნას და გამართულად ფუნქციონირებას. გარდა ამისა ფინანსური დეპარტამენტის წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა მოიცავდა შემოსავლების სამსახურის დაახლოებით 4 000-მდე თანამშრომლის შეუფერხებლად მუშაობისათვის საჭირო, შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ/ტექნიკურ უზრუნველყოფას.



გაფორმების ეკონომიკური ზონა თბილისი

პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტი



მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, 2017 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში. გაგაცნოთ ჩვენს მიერ განხორციელებული ღონისძიებები და მიღებული შედეგები. მოგეხსენებათ, რომ პროფესიული ეთიკისა და მონიტორინგის დეპარტამენტი წარმოადგენს სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის, შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების მოთხოვნათა დაცვაზე კონტროლს, შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა მიერ, მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მონიტორინგს, სამსახურებრივი შემოწმების პროცესში გამოვლენილი მიზეზების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას.

ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, შემოსავლების სამსახურის სისტემის თანამშრომელთა მიერ, სამსახურებრივი ეთიკის ნორმათა შესრულების ხელშეწყობისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რათა თანამშრომელთა და გადასახადის გადამხდელთა ურთიერთობა გახდეს უფრო ეფექტური, ხარისხიანი და მარტივი. კანონის შესაბამისობაში, ვაგროვებთ, ვაანალიზებთ და ვაფასებთ მიღებულ ინფორმაციას. დროულად და ეფექტურად ვრეაგირებთ საჩივრებსა თუ წინადადებებზე.

ჩვენ, ვზრუნავთ თანამედროვე ტიპის, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, განათლებული და კეთილსინდისიერი თანამშრომლების ფორმირებაზე. ამ მიმართულებით, 2018 წელს ვგეგმავთ, კიდევ უფრო ფართომასშტაბიან აქტივობებს.

პატივისცემით,
მევლუდ შუბითიძე

პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი



პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს

- ▶ შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე კონტროლის განხორციელება;
- ▶ შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის, შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების მოთხოვნათა დაცვაზე კონტროლი;
- ▶ შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა მიერ მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემოწმება;
- ▶ სამსახურებრივი შემოწმებისას ან შემოსულ განცხადებაზე რეაგირებისას გამოვლენილ დარღვევებზე დისციპლინური დევნის წარმოება;
- ▶ სამსახურებრივი შემოწმების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების ხელშეწყობი მიზეზების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
- ▶ სათანადო რეკომენდაციების მომზადება შემოსავლების სამსახურის სისტემის თანამშრომელთა მიერ, სამსახურებრივი ეთიკის ნორმათა შესრულების პროცესის ხელშეწყობისათვის;
- ▶ შემოსავლების სამსახურის სისტემაში, თანამშრომელთა ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების გამოვლენა;
- ▶ კომპეტენციის ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის გაცემა, გადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა;



პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტი მუდმივად ახორციელებს

- ▶ შემოსავლების სამსახურის ბალანსზე რიცხულ ა/მანქანებზე დამონტაჟებული GPS მოწყობილობების საშუალებით, ა/მანქანების დანიშნულებისამებრ გამოყენების კონტროლს;
- ▶ შრომის კანონმდებლობის, საშემსრულებლო დისციპლინის, შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების მოთხოვნათა დაცვაზე კონტროლს;
- ▶ გასვლით შემოწმებებს შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში;
- ▶ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემოწმებას და გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გატარებას;
- ▶ შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაგების მეშვეობით შემოსავლების სამსახურის ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლის შემოწმებას ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, სამსახურის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გატარებას;
- ▶ ყოველი მომდევნო თვის 20-25 რიცხვისთვის, მზადდება სამსახურებრივი დასწრების მონიტორინგი. გამოვლენილი დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში, ტარება შესაბამისი ღონისძიებები.

გატარებული დისციპლინური ღონისძიებების ზოგადი სტატისტიკა

შენიშვნა	20	
გაფრთხილება	15	
არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება	2	დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ნაცვლად, 15 შემთხვევაში გამოყენებულ იქნა სიტყვიერი გაფრთხილება
სამსახურიდან გათავისუფლება	3	



**უზენაესი სასულიერო განათლების
მინისტრის განცხადება**

 032 2 299 299

 გორგასლის ქ. № 16, 0114

 info@rs.ge

 www.rs.ge

 032 2 299 299

 გორგასლის ქ. № 16, 0114

 info@rs.ge

 www.rs.ge